# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 21 აპრილი 1998 №58 (593) ფასი 50 თეთრი




# ქინქლაძეს არსენი ჰაიბერიზე ელის...



გუშინწინდელი გაზეთ „სანის“ საკვირაო დამატება — „ნიუს ოვ ზე უორლდი“ გადავფურცლე და უმალ ლონდონის „არსენალის“ მწვრთნელ არსენ ვენგერის ნაუბარს ვკიდე თვალი. რას ამბობს ეს კაცი ახალს-მეთქი, ვიფიქრე, კითხვა დავიწყე. მოულოდნელობისგან სახტად დავრჩი. არსენ ვენგერის სიტყვებია: — გიორგი ქინქლაძეს ვყიდულობთ. თვითმფრინავის ბილეთები უკვე ავუღეთ და ორ დღეში ლონდონში უნდა ჩამოფრინდეს, მის დასახვედრად ვემზადებით. ქინქლაძეს ოთხწლიან კონტრაქტს ვთავაზობთ, 25 ათას ამერიკულ დოლარს კი ყოველკვირეულად გადავუხდით. მის გარდა კიდევ ორ ფრანგს ვეპატიჟებით, მაგრამ მათ გვარებს ჯერჯერობით არ დავასახელებ — ამბობდა „არსენალის“ მწვრთნელი. ხომ გითხარით, გამიკვირდა, ქინქლაძე უკვე „აიაქსში“ მეგონა, მოულოდნელად კი... არსენ ვენგერის სიტყვებში რა არის სიმართლე და რა მავანთა თვალისასახვევად ნათქვამი, ამას უახლოეს დღეებში შევიტყობთ. რაც გაზეთში წავიკითხე, ის მოგახსენეთ. არა მგონია, ვენგერს, თუნდაც ჟურნალისტს, გიოს ამბისთვის ამხელა კუდი გამოება. ეტყობა, მართლაც რაღაცას ფიქრობენ.

**დავით მჭედლიშვილი ლონდონიდან**

## ...გიოს კი უკვირს, მე ხომ თითქმის აიაქსელი ვარო

*გიო ქინქლაძის „არსენალში“ გადასვლისა რაღა მოგახსენოთ. ალბათ, თქვენც აფორიაქდებოდით არსენ ვენგერის განცხადებულის წაკითხვის შემდეგ. ჩვენსას ნულარ იკითხავთ. ლამის იყო, ტელეფონის ყურმილს ჩამოვეკიდეთ, მანჩესტერში გიოსთან დალაპარაკების მოლოდინში. ბოლოს საწადელს, როგორც იქნა, მივაღწიეთ, გიორგი მოვიხელთეთ თუ არა, ვენგერის სიტყვები გავუმეორეთ.*

— არა, არ დაიჯეროთ! ტყუილია, რა დროს „არსენალია“ — ეტყობოდა, თავად გიოც საქმის კურსში იყო — ორიოდ დღის წინ მართლაც ვიყავი ლონდონში, ოღონდ, არა ვენგერთან და „არსენლის“ ხელმძღვანელობასთან მოსალაპარაკებლად. საქმე ისაა, რომ ჩემი მენეჯერის ოფისი სწორედ „ჰაიბერიზე“ მდებარეობს. მასთან ვიყავი სალაპარაკოდ, პირადი საქმეების მოსაგვარებლად. ჰოდა, ოფისიდან გამოსული უამრავმა ჟურნალისტმა შემამჩნია, თავი კი ავარიდე, სიტყვაც არ დამცდენია, მაგრამ გაზეთის ფურცლებს მაინც ვერ ავცდი. ლონდონში, თანაც სტადიონზე რომ დამინახეს, ეტყობა, იფიქრეს, არიქა, ქინქლაძე „არსენალში“ მოდისო.

— **კი მაგრამ, ვენგერს რა რჯიდა ეთქვა, გიოს გადმობირებას ვცდილობთო.**

— არც ეგ ვიცი. „არსენალის“ მწვრთნელთან საერთოდ არ მილაპარაკია.

— **კარგია, რომ გაგვარკვიე. „აიაქსზე“ ახალი რა არის? მათი განცხადებები ხომ ნაღდია?**

— თითქმის ყველაფერი მოგვარებულია. „სიტი“ და „აიაქსი“ დეტალურად შეთანხმებულნი არიან. ფასი ორივე მხარისთვის ხელსაყრელია. ახლა ჩემზეა, ჩემი პირადი პირობებიღა დარჩა შესათანხმებელი. ჰოლანდიელებთან ჯერ არ მისაუბრია. გააჩნია შემოთავაზებას.

**კობა ინასარიძე**

# დინამო უყიფიანოდ

თბილისის „დინამოს“ მწვრთნელი დავით ყიფიანი რომ თანამდებობიდან საკუთარი სურვილით გადადგომას აპირებდა, ადრე გაცნობეთ. ყიფიანმა გუნდიდან შესაძლო წასვლა იმით ახსნა, რომ ბოლო ხანს პირადად მის და მთლიანად თბილისის „დინამოს“ მიმართ გახშირდა აუტანელი ლანძღვა-გინება, ბოღმიანი და ღვარძლიანი გამონათქვამები. საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში „დინამოსადმი“ შური და ღვარძლია გამეფებულიო — ეს ყიფიანის სიტყვებია, რომელიც მისივე თქმით, იძულებულია მწვრთნელობას შეეშვას. ყოველივეს ყიფიანის ჯანმრთელობის გაუარესებაც დაერთო, მწვრთნელს გულმა შეუტია, რის გამოც ვერც ფოთში, „კოლხეთთან“ უხელმძღვანელა აწ უკვე ყოფილ შეგირდებს. საქმე ის გახლავთ, რომ „დინამოს“ უფროსობის გადაწყვეტილებით დავით ყიფიანი მიმდინარე სეზონის ბოლომდე განთავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან. მის მოვალეობას კი, ასევე დროებით, თანაშემწე ნოდარ აკობია შეასრულებს. ისე, ნამდვილად საწყენია, დავით ყიფიანი მწვრთნელობას ჯანმრთელობის გამო თუ მიატოვებს. არადა გულთან ხუმრობაც არ შეიძლება. ალბათ, დინამოელთა ნათქვამიც დროულია, სჯობს, ყიფიანმა სეზონის ბოლომდე დაისვენოს, მერე კი... მის თანამდებობაზე დაბრუნების საკითხს „დინამოს“ დირექტორატი გაარჩევს, როცა ამის დრო მოვა. დღეს კი ხუთის ნახევარზე კლუბის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია პრეს-კონფერენციას გამართავს და ეცდება ბოლო დროის დინამოურ მოვლენებს მეტი ნათელი მოჰფინოს.

# იქ, სადაც ჩვენც უნდა ვყოფილიყავით

**მაკედონია 2:1 იამაიკა**

**1:0, 2:0 ხრისტოვი (17, 45), 2:1 ჰოლი (69პ)**

**ირანი 0:2 უნგრეთი**

**0:1 კორსოში (16), 0:2 ილეში (58)**

მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილენი, ირანი და იამაიკა გუშინ უნგრეთმა და მაკედონიამ დაამარცხეს. ეს თეირანის ოთხთა ტურნირის პირველ დღეს მოხდა. შეგახსენებთ, რომ ამ ტურნირზე თავდაპირველად საქართველო იყო მიწვეული.

ირანელთა ხორვატი მწვრთნელი ტომისლავ ივიჩი მოედნიდან სტვენით გააცილეს. 50 ათასმა ირანელმა მაყურებელმა ვერ აიტანა თავისი ეროვნული გუნდის ჩაჩანაკად ცნობილ უნგრეთთან დამარცხება.

ქომაგები ივიჩის გასაგონად ვალდირ ვიერას სახელს ყვიროდნენ. ვიერა ის ბრაზილიელია, ირანი 1978 წლის შემდეგ პირველად რომ გაიყვანა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, დეკემბერში მოხსნეს.

იამაიკას მსოფლიოს ჩემპიონატზე დებიუტი ექნება. საამისოდ გუნდი დიდ მზადებაშია და მაკედონიასთან წაგებაც ამ მზადების ეტაპი გახლდათ.

წესით თეირანში მაკედონია კი არა, განა უნდა ჩასულიყო. სწორედ განა ამჯობინეს მასპინძლებმა თავის დროზე საქართველოს, მაგრამ აფრიკელებმა ახლა, უქმეებზე, ტურნირის წინა დღეს განაცხადეს მონაწილეობაზე უარი და ირანელებსაც მყისიერად ახალი მონაწილის მოძიება მოუხდათ.

უნგრელებთან შეხვედრაში ირანს შეტევაში სიმწვავე აკლდა, ხოლო დაცვაში სიმტკიცე. ევროპელებმა ატილა კორსოშის გოლით გახსნეს ანგარიში. მასპინძლებს 38-ე წუთზე შეეძლოთ ანგარიშის გათანაბრება, მაგრამ გერმანულ „კიოლნში“ მოთამაშე ფორვარდმა ხოდადად აზიზიმ საუცხოო შესაძლებლობა გაუშვა ხელიდან.

შესვენების შემდეგ ირანი გაყოჩაღდა, მაგრამ ზუსტი საბოლოო დარტყმა ვერაფრით შეასრულა, უნგრელები კი კონტრშეტევებით აქტიურობდნენ და მიაღწიეს კიდეც საწადელს — ბელა ილეშმა მეორე გოლი გაიტანა.

მაკედონიამაც აშკარა უპირატესობით აჯობა იამაიკას. გამარჯვებულთაგან ორივე გოლი „ბარნსლის“ ფორვარდმა გეორგი ხრისტოვმა პირველ ტაიმში გაიტანა.

მეორე ნახევარში იამაიკელებმაც ინგლისში მოთამაშე ფეხბურთელებით სცადეს საქმის გამოსწორება. მოედანზე „უიმბლდონის“ მარკუს გეილი და „პორტსმუთის“ პოლ ჰოლი შევიდნენ. მათ მართლაც შეუქმნეს ყოფილ იუგოსლაველებს გარკვეული პრობლემები, 69-ე წუთზე კი ჰოლი წააქციეს საჯარიმოში, რისთვისაც პენალტი დაინიშნა. პენალტი თავად ჰოლმა შეასრულა.

ხვალ, ფინალში მაკედონია უნგრეთს შეხვდება, ირანი კი მესამე ადგილისთვის იამაიკას შეებრძოლება.

# ფატუმა და კატუნა

ასმეორედ გაიმართა ბოსტონის პრესტიჟული მარათონი. ასმეორედ გაირბინეს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მარათონელებმა ბოსტონის ქუჩებში. ასმეორედ გამოვლინდა მსოფლიოში განთქმული და ერთ-ერთი უძველესი მარათონის გამარჯვებული.

გუშინ, 20 აპრილს, ნაპოლეონ ბონაპარტის და ადოლფ ჰიტლერის დაბადების დღეს, კენიელმა მოზის ტანუიმ ბოსტონის მარათონი ვაჟებს შორის მოიგო, ეთიოპელმა ფატუმა რობამ კი ქალთა შორის იმარჯვა.

ბოლო რვა წლის განმავლობაში ბოსტონის ქუჩებში გამართულ მარათონებს კენიელი გამარჯვებულები ჰყავს. ახლაც, 2 საათის, 7 წუთის და 34 წამის შეუჩერებელი სირბილის შემდეგ კენიელმა მოზეს ტანუიმ, რომელსაც 1996 წელს ბოსტონის საიუბილეო მე-100 მარათონშიც უმარჯვია, პირველმა გადაკვეთა ფინიშის ხაზი.

— ფინიშამდე ცოტაღა იყო დარჩენილი, როცა გავაცნობიერე, რომ დაღლილი მეტოქენი წინააღმდეგობას ველარ გამიწევდნენ. მე ჩემი გავაკეთე, შეჯიბრების მოგება გულით მეწადა და ავისრულე კიდეც ნატვრა — გახარებულ კენიელ მარათონელს გარსშემორტყმულმა ჟურნალისტებმა სულის მოთქმა არ აცალეს.

ტანუის თანამემამულე ჯოზეფ შებეტი მცირედით ჩამორჩა, მესამე კი სამხრეთაფრიკელი გერტ ტისი გახლდათ.

სუსტი სქესის წარმომადგენლებს შორის დიდი კონკურენციის გარეშე იმარჯვა მსოფლიოს ჩემპიონმა და ატლანტის ოლიმპიადაზე ქალთა მარათონის გამარჯვებულმა, ეთიოპელმა ფატუმა რობამ — 2 საათი, 23 წუთი და 21 წამი. მეორე-მესამე ადგილები ევროპელებმა იგდეს ხელთ — პოლონელი რენატა პარადოვსკა გამარჯვებულს 3 წუთით და 54 წამით ჩამორჩა, მესამე კი რუმინელი ანუტა კატუნა გახლდათ.

# ვინ აბა ყინულის მწვერვალზე?
## ხვალ NHL პლეი ოფს იწყებს

როგორც იქნა, დასრულდა უმძიმესი შვიდთვიანი მარათონი, რომელსაც ნჰლ-ის ჩემპიონატი ჰქვია. ჰოკეის ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოს — სტენლის თასს პლეი ოფში 16 ილბლიანი შეეცილება ერთმანეთს. ცხადია, ფავორიტთა გარდა არიან გუნდებიც, რომელთათვისაც პირველი ეტაპის გავლა უდიდესი მიღწევა იქნება. თუმცა ტურნირი, სადაც გავარდნის პრინციპი მოქმედებს, ყოველთვის სიურპრიზებითა და მოულოდნელობებითაა სავსე, მწვერვალს კი მხოლოდ და მხოლოდ საუკეთესო დაიპყრობს.

ამგვარად, პლეი ოფის პირველ რაუნდში, რომელიც ხვალ, 22 აპრილს დაიწყება, ერთმანეთს შეხვდებიან:

**აღმოსავლეთი:** ნიუ ჯერსი — ოტავა; პიტსბურგი— მონრეალი; ფილადელფია — ბუფალო; ვაშინგტონი — ბოსტონი

**დასავლეთი:** დალასი — სან ხოსე; კოლორადო — ედმონტონი; დეტროიტი — ფინიქსი; სტ. ლუისი — ლოს ანჯელესი



ბუფალოელი მეკარე ჰაშეკის და ფილადელფიელი ლინდროსის (88) მეტოქეობა პლეი ოფში უფრო ფიცხელი იქნება

| რუსთავი | | ტორპედო |
|---|---|---|
| 1948 | დაარსდა | 1949 |
| | პირველ | |
| ოთხ | | ხუთ |
| გორდა მეტალურგი | ჩემპიონატში ერქვა ამ გაზაფხულამდე | ქუთაისი |
| 10719 — ფოლადი | სტადიონი | გივი კილაძე — 28800 |
| 90, 92 | ბრინჯაოს პრიზიორი | 91, 94 |
| 95 | თასის ფინალისტი | — |
| 271 132 36 113 509:393 | A ჯგუფში | 268 133 52 83 525:400 |

1 მ. ძორიძე
6 ცომაია
2 მენთეშაშვილი 5 მ. სახვაძე
3 პატარიძე
4 კუდინოვი
8 კ. ალადაშვილი 10 ყიფიანი
7 გამცემლიძე
11 ბ. შენგელია 9 ჩუხუა

10 მეგრელაძე
6 ჩხეტიანი
7 კვეტენაძე
11 ჩხაიძე 9 დ. ჯანაშია
8 შ. ხუჯაძე
4 ვაშაკიძე
5 მაღლაკელიძე 2 შეყრილაძე
7 ჩხაბერიძე
1 ასლანაძე

# ხვალ როგორც არასდროს

## უჟავო ზავი

„რუსთავმა", მაშინდელმა „გორდამ", ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში მესამედ „ტორპედოსთან", მაშინდელ „ქუთაისთან" წააგო.

ნიკა ჩხეიძე, როსტომ თორლაშვილი, იასონ ბზიკაძე, გრიგოლ თევზაძე, გიორგი ნადირაძე, დავით პაიკიძე, ვასილ შენგელია, გიორგი სუხიაშვილი, თემურ ფაიქიძე, დავით ჯანაშია და გიორგი დარასელია. აი ისინი, ვინც „ტორპედოს" ღირსებას იცავდნენ. ყველანი საუკეთესო ფორმაში იყვნენ. მეტადრე ჩხეიძე, ნადირაძე და თორლაშვილი, ორიოდ კვირის წინ ნაკრების პირველ მატჩში ლიტველებთან სათამაშოდ რომ გახლდნენ მიწვეულნი.

ალექსანდრე მეშკოვი, გიორგი ფირცხალავა, დიმიტრი კუდინოვი, ხვიჩა ქასრაშვილი, ტარიელ და ავთანდილ კაპანაძეები, თამაზ მეტრეველი, მამუკა ფანცულაია, გიორგი კილასონია და ვასილ მიქაშავიძე — „გორდა" დანაკლისით მიეახლა ქუთაისს — ედუარდ ავაქიანი და მამუკა აფციაური აკლდა.

ვისაც არ უნახავს, ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, როგორი თამაში გამოვიდოდა. „გორდა" აქამდე პირველ ადგილზე გამაგრებულიყო, „ქუთაისს" კი მეორედან ორიოდ საფეხურით „ივერიასთან" წინა ტურის სენსაციური საშინაო მარცხით დაეხია.

ის დიდებული მატჩი „ქუთაისმა" 3:0 მოიგო, „გორდა" დააქვეითა, თვითონ აჩოჩდა და ცხრილში რუსთაველებს გაუამხანაგდა. ეს მეცამეტე ტურში მოხდა — კარგა ხნით ადრე, ვიდრე „იბერია" საბოლოოდ გალიდერდებოდა.

10 ივნისს ქუთაისში ზეიმი იყო. ჩემპიონატის საუეთესო მეკარედ შერაცხულმა ნიკა ჩხეიძემ მამუკა ფანცულაიას პენალტი აუღო, დიდებული თამაშით მასპინძლებს გამარჯვების სული შთაბერა და დიდი ანგარიშით „ქუთაისს" პირველად მოაგებინა, „გორდა" კი პირველად დაამარცხა.

ეს იყო და ეს. მას შემდეგ „ქუთაისს" 4 თამაშში ქულაც არ აულია „გორდასთან". საერთო ბალანსში დღემდე შემორჩენილი უპირატესობაც რუსთაველებმა იმ წლებში დაიბევეს. 1992 წლიდან მოყოლებული კი მოგებათა გაცვლა-გამოცვლას ჩაეყარა საფუძველი. თუკი ეს ლამის დაფიცებული წაგება-მოგება თავიდან ბუნებრივად გარდაუვალი იყო, ბოლო წლებში ხელოვნურად დაკანონებული გახდა. გუნდები ქულებს არ ფანტავენ, სამ-სამი ქულის ძმურად დანაწილების ტაქტიკას ამჯობინებენ. არგუმენტად ისიც გამოდგება, 14 შეხვედრიდან ფრედ არცერთი რომ არ გასრულებულა.

ბოლო წლებში „რუსთავი" — „ტორპედო" მომეტებულად ჭარბგოლიანი იყო ხოლმე. 3:2, 4:3, 3:4 თუ 3:1 უცხო არ გახლდათ, თან რაც ყველაზე საინტერესოა, ანგარიშში სხვაობა საგრძნობლად დიდი და კატასტროფული იშვიათად თუ ყოფილა. არადა, გუნდებს არაერთხელ მისცემიათ მეტის შანსიც.

## გასახდელში რა უნდოდა

„რუსთავ" — „ტორპედოს" ძმობა ერთხელ სკანდალამდე, ერთხელაც კურიოზამდე მივიდა. შარშან მეხუთე ადგილს ვერაცილებულმა „ტორპედომ" დასარჩენად მებრძოლ „მეტალურგს" სათადარიგო შემადგენლობა რომ გამოუყვანა და თავიდან მაინც კი ეომა, ამას დიდი აურზაური მოჰყვა. იმ თამაშზე ვრცლად ვწერდით. ქუთაისელებმა ფანდი იხმარეს, თამაშზე ძირითადებიც იახლეს, მაგრამ ამათი მონაწილის ბარათები სახლში დაგვრჩაო. იმ თამაშს, მიუხედავად იმისა, რომ საბრძოლო იყო, ალალი მაინც ვერ ეთქმოდა. ამის პასუხად პირველ წრეში რუსთაველებმა ქუთაისში ფარმ-კლუბი „ხალიბი" ჩაიყვანეს. „ტორპედოსაც" ბალღთა ძლევა არ გასჭირვებია — 4:0 მოიგო — მითუმეტეს, რუსთაველებს შესვენებაზე ერთ-ერთი მოთამაშე გასახდელში დარჩათ ჩაკეტილი და რამდენიმე წუთს არც შეუნიშნავთ უმცირესობაში, ისე თამაშობდნენ.

## ხვალ სხვაა

ამ წინა თამაშებთან ხვალინდელ მატჩს საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს. ახლა ორივე გუნდი თავგამოდებით იბრძვის მიზნის მისაღწევად. ორივეს მოგება სჭირდება, ერთს ჯგუფში დასარჩენად და მეორეს — ევროსაგზურის მოსაპოვებლად. ამ წყვილში პირველი ფრეც, ნუ გაგიკვირდებათ, ხვალ რომ შედგეს. ფრე ხომ უშელავათო ბრძოლაში იბადება.

**ვახტანგ ბზიკაძე**



სადილიანი, პატარიძე და სოსო გიგიაძე. მათგან ხვალ პატარიძე თუ ითამაშებს

რუსთავი
„ფოლადი"
22 აპრილი

**რუსთავი ?:? ტორპედო**

მსაჯები: მ. მალაღურაძე;
ზ. დოლიძე (ორივე თბილისი),
ლ. რაზმაძე (გორი);
თ. ლორთქიფანიძე (თბილისი)

**სტატისტიკა**

**რუსთავი — ტორპედო**

14 8 0 6 23:23

1990 ქუთაისი 3:0 გორდა
*ნადირაძე, ფაიქიძე, დვალიშვილი*
გორდა 2:1 ქუთაისი
*ფანცულაია, მიქაშავიძე; თორლაშვილი*
1991 გორდა 1:0 ქუთაისი
*გ. კილასონია*
91-92 გორდა 2:1 ქუთაისი
*გ. კილასონია, მიქაშავიძე; კიკლიაშვილი*
ქუთაისი 0:1 გორდა
*ა. კაპანაძე*
92:93 ტორპედო 3:0 გორდა
*ჯანაშია, ხუნდაძე, იონანიძე*
გორდა 3:1 ტორპედო
*ლუდუშაური 2, გ. კილასონია; ხუნდაძე*
94-95 მეტალურგი 3:2 ტორპედო
*კ. ალადაშვილი 2, გ. კილასონია; ხუნდაძე, მ. მეგრელაძე*
ტორპედო 2:1 მეტალურგი
*ვაჩიბერაძე, ხუნდაძე; ტარტარაშვილი*
95-96 ტორპედო 2:0 მეტალურგი
*აშვეთია, ნოზაძე*
მეტალურგი 4:3 ტორპედო
*ჩალაძე, ზირაქიშვილი, კ. ალადაშვილი, ჯელაძე; აშვეთია 2, შენგელია*
96-97 ტორპედო 4:3 მეტალურგი
*აშვეთია, ვ. გიგიაძე, გ. მეგრელაძე, მ. მეგრელაძე; ჯელაძე, მენთეშაშვილი, კედელაშვილი*
მეტალურგი 3:1 ტორპედო
*კალუჟა 2, მელაძე; ჯინჭარაძე*
97-98 ტორპედო 4:0 მეტალურგი
*იონანიძე, მეგრელაძე, მეტრეველი, კვეტენაძე*

**დარსაძე — ტორპედო**

2 0 2 0 3:3

თასი ტორპედო 1:1 ანცი
თასი ანცი 2:2 ტორპედო

**რუსთავი — ფრუიძე**

9 2 2 5 13:18

91-92 სამგურალი 0:0 გორდა
გორდა 5:2 სამგურალი
92-93 მარგვეთი 1:0 გორდა
93-93 მარგვეთი 3:0 მეტალურგი
მეტალურგი 1:1 მარგვეთი
94-95 სამგურალი 2:1 მეტალურგი
96-97 ტორპედო 4:3 მეტალურგი
მეტალურგი 3:1 ტორპედო
97-98 ტორპედო 4:0 მეტალურგი

24 ტური

# ანონსი

***ხვალ დიდი ბრძოლებია მოსალოდნელი. უეფას თასის საგზურთა მაძიებელ „კოლხეთს" და „ოდიშს" „დილასთან" და „მერანთან" მძიმე მატჩები ელით. განსაკუთრებით მამაცურად გარჯა ტორპედოელებს მოუწევთ, რადგან, თუკი მეგრელთა მეტოქენი წაგებით ბევრს არას კარგავენ, რუსთაველები გავარდნის შანს კიდევ უფრო იზრდიან.***

ლანჩხუთი
„ევგრაფი შევარდნაძე"
22 აპრილი

**გურია ?:? ლოკომოტივი**

მსაჯები: პ. დოგრაშვილი;
ნ. რუსიშვილი,
გ. კიკაჩეიშვილი;
ჟ. მაქარაშვილი (ოთხივე ქუთაისი)

ზესტაფონი
ცენტრალური
22 აპრილი

**მარგვეთი ?:? ბათუმი**

მსაჯები: ა. შილაკაძე (თბილისი);
ა. ორდჟენიძე (ონი),
ლ. მიქელაძე (სამტრედია);
დ. მენთეშაშვილი (თბილისი)

გორი
ცენტრალური
22 აპრილი

**დილა ?:? კოლხეთი**

მსაჯები: თ. ლაცაბიძე (სურამი);
ს. შალამბერიძე (თბილისი),
ა. მეშკოვი (რუსთავი);
ტ. ადეიშვილი (ზესტაფონი)

თბილისი
ეროვნული
22 აპრილი

**დინამო ?:? თსუ**

მსაჯები: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი);
ს. კახიანი,
მ. ელიკაშვილი;
ე. სილაგავა (სამივე თბილისი)

წყალტუბო
„26 მაისი"
22 აპრილი

**სამგურალი ?:? სიონი**

მსაჯები: გ. ასკაროღლი (ქარელი);
ვ. ჩოჩიშვილი,
დ. თოდუა (ორივე თბილისი);
ს. ლორთქიფანიძე (ტყიბული)

თბილისი
„შევარდენი"
23 აპრილი

**ვიტ ჯორჯია ?:? მაღაროელი**

მსაჯები: ს. კახიანი;
კ. თბილელი (ორივე თბილისი),
თ. ჩაგელიშვილი (ქარელი);
ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

თბილისი
„სინათლე"
24 აპრილი

**მერანი ?:? ოდიში**

მსაჯები: ლ. ფანიაშვილი;
ზ. მენთეშაშვილი,
ა. ქარქაშაძე (სამივე თბილისი);
შ. ბერიძე (ასპინძა)

# თემურს — პენისა, დემეს — ლეესი, ფული ფეხბურთელსაც ანათებს

თურქეთისა და გოჩა ჯამარაულის „ტრაბზონმა" ჩემპიონატის ბოლო მატჩში წარმოუდგენელი მარცხი იწვნია — შინ „ისტანბულთან" განადგურდა 0:3. რამდენიმე ტურის წინ ჩემპიონობის ერთ-ერთ ყველაზე რეალურ კანდიდატს ახლა ისღაა აქვს საკითხავი, მესამე ადგილს თუ შეინარჩუნებს, თორემ ჩემპიონობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ეს სატურნირო ცხრილიდან და დარჩენილ თამაშთა კალენდრიდანაც კარგად ჩანს. „ტრაბზონი" ამჯერადაც უპირველადგილო დარჩა და ქართველების კრიტიკის ობიექტადაც იქცა. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ისიც კმარა, რაც ამათ ჯამარაულს დამართეს. ბიჭი იქამდე მიიყვანეს, რომ გოჩა „ტრაბზონში" დაბრუნებას საერთოდ არ აპირებდა. ბოლოს მაინც მოულბა გული, სულ უქმად ყოფნას უკანვე მიბრუნება ამჯობინა, თანაც კონტრაქტით ამ სეზონის ბოლომდე ეკუთვნის თურქეთში თამაში. ერთი სიტყვით, ამდენის თქმას არც ვაპირებდით, მაგრამ გვინდა არ გვინდა, უნებურად მაინც გადავავლებთ ხოლმე თვალს თურქული ჩემპიონატის მიმდინარეობას, ოღონდ გოჩა ჯამარაულიც მოშორდეს იქაურობას და იქითკენ გავიხედავთ?.. თუ, რაღა თქმა უნდა, მოულოდნელად სხვა ქართველმაც არ ამოჰყო თავი ოსმალოთა „ტყვეობაში". რაც შეეხება „ისტანბულთან" მარცხს, „ტრაბზონისთვის" თურმე მეკარე გაუძევებიათ, ათი კაცით მობურთალებს კი ვერც ჯამარამ უშველათ, მეოთხედგილოსან „ისტანბულთან" დამარცხდნენ და ამათთანვე ცხრაქულიანი სხვაობა ექვსამდე დაიყვანეს. ამიტომაც ვთქვით, „ტრაბზონის" ჩემპიონობას აღარ ეჩივით, პრიზიორობას თუ გამოჰკრეს ხელი, ისიც კარგი იქნებაო.

ახლა ცოტას ჰოლანდიაზეც გეტყვით. შოთამ მორიგი ჰეთ-თრიქი შეასრულა, „აიაქსმა", „გრასჰოპერისა" არ იყოს, „გრონინგენს" 4:2 სძლია. ჩვენებური კი 22 გატანილი გოლით მხოლოდ „ვიტესში" მოთამაშე მახლასს ჩამორჩება. თუმცა, თუ გოლების გატანის ასეთ სიხშირეს არ დაარღვევს, შესაძლოა, მახლასიც უკან მოიტოვოს.

მისი ტუუპისცალი ბრედაში მესამე ქართველის „ფეიენოორდს" დაუპირისპირდა და წაგო — 1:3. გოლი არც არჩილს შეუგდია, არც გიორგი დემეტრაძეს. არველაძემ მთელი მატჩი ითამაშა, დემემ კი ოდენ ბოლო 10 წუთი. ამ დროისთვის მატჩის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო, დემეტრაძესაც იმდენი აღარ მოეთხოვებოდა, რამდენსაც სხვა ანგარიშებისას სთხოვენ ხოლმე. როგორც გიორგის განუცხადებია, როტერდამიდან დაბრუნებას აღარ აპირებს, ბეენჰაკერი ჩემით კმაყოფილია, მაგრამ დიდი ფული რომ არა აქვს გადახდილი, ამიტომაც ძირითადში იშვიათადღა მათამაშებსო — თავადვე ამბობს. ეს პრაქტიკულად იგივეა, რა დღეშიც თემურ ქეცბაიაა. დალგლიშისა ვერ გაგვიგია, თემურს სხვა გუნდში გადასვლაშიც ხელს უშლის, ამავდროულად კი სკამსაც ახეხინებს. მწვრთნელს სასწაულმოქმედი ჰგონია, ეტყობა, ფიქრობს, შეცვლაზე შევიყვან და გოლით გამახარებსო. ქართველსაც ხან გამოსდის ფოკუსი, ხანაც არა. „მანჩესტერთან" ქეცბაია ძალიან ახლოს იყო მორიგ, გადამწყვეტ გოლთან, მაგრამ წამით შეყოვნდა და „ნიუკასლი" თითობურთიან ფრეს დააჯერა. ამ ქულით ქეცბაიას გუნდმა ოდნავ ამოისუნთქა, მაგრამ სახიფათო ზონას ჯერაც არ მოშორებია, აი, დარჩენილ მატჩებში ორჯერ თუ იმარჯვებენ, უკვე სხვა საქმე იქნება.

მოკლედ, ზემოთჩამოთვლილი ოთხი ევროპული ქვეყნიდან იქ მოთამაშე ყველა ქართველს აქვს თავისი პრობლემა. ჯამარაულზე ყველაზე მეტი ვთქვით, დემეტრაძესა და ქეცბაიას ძირითადში არ აყენებენ, თემური სულაც გავარდნის ზღურბლზე. შოთა მახლასს ეჭიდება, აჩის კი სხვებზე მეტად ულხინს, მისი „ბრედა" ოქროს შუალედშია, თუმცა სანერვიული მასაც აქვს, ღმერთმა ქნას, მეტად არავის გაუჭირეოს, ვიდრე აჩის — ის იმაზე ფიქრობს, თუ რომელი დაინტერესებული კლუბის წინადადებას დაყაბულდეს, არჩევანის წინაშე დგას, ნაბიჯს კი მომავალი სეზონის მოახლოებისას გადადგამს... ისე, მიწვევები სხვა ქართველებსაც აქვთ.

**კობა ინასარიძე**

# 23 ტური

# ფიცხელი ბრძოლები გველის?

ბოლო შვიდ ტურში ფიცხელი ბრძოლები გველის. მიუხედავად იმისა, რომ ჩემპიონატის ფინიშის მოახლოებასთან ერთად წინასწარ გარიგებული მატჩებიცაა მოსალოდნელი, მაინც, რამდენიმე გუნდის თამაში მეტად მნიშვნელოვანი იქნება. თავად განსაჯეთ, ერთბაშად ოთხ გუნდს აქვს ვიცე-ჩემპიონობის პრეტენზია, ბოლო ტურებში კი მათ ერთმანეთშიც მოუწევთ ბურთაობა. დალხენილად არც „დინამო" უნდა იყოს, არ არის გამორიცხული, ჩემპიონმა ზუგდიდში და ბოლნისში წააგოს, სადაც დედაქალაქელთა დასახვედრად კბილებს ილესავენ. ამ ორ შესაძლო მარცხს დინამოელებმა ერთი ფრეც რომ დაურთონ, ჩემპიონობისთვის ბრძოლა ერთობ სასეირო გახდება — ფოთში წაგებამ ხომ „დინამოს" გაჩემპიონება, ცოტა არ იყოს, საეჭვო გახადა.

შედარებით ნაკლები ინტრიგა ახლავს აუტსაიდერთა ჯგუფს. 25 ქულიანი „სიონი" და „ვიტ ჯორჯია" დანარჩენებს, „მარგვეთს" თუ არ ჩავთვლით, შესაბამისად 3, 5, 6 და 10 ქულით მოშორდნენ, ერთი მატჩის არმოგების უფლებაც აქვთ. აი, დანარჩენებისთვის კი ყოველ ქულას უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

### სკანდალი

**ოდიში — მარგვეთი**

ოდიშარები საშინაო წარუმატებლობას ყოველთვის მტკივნეულად განიცდიან ხოლმე. იოლი წარმოსადგენია, როგორრლა გააგულისებდა ადგილობრივ გულშემატკივრებს „მარგვეთთან" ფრე. მსაჯის მიერ ნაჩვენებ ექვს ყვითელ ბარათსა და ორ წითელს რამდენიმე ქომაგის წყენა მოჰყვა, რომლებმაც ნერვები ვერ მოთოკეს და ზედ მოედანზე მოინდომეს საქმის გარჩევა. ბედად, სამართალდამცველებმა იჟოჩალეს და ისინი უკანვე მიაბრუნეს.

**ოდიში 2:2 მარგვეთი**

### მოვლენა

საკუთარ მოედანზე „მარგვეთთან" „მშვიდობიანად" გაყრა ზუგდიდელებს ეგებ სანანებლადაც კი გაუხდეთ. „ოდიში", ეტყობა, მოედანზე ზედმეტად თავდაჯერებული გამოვიდა, რაც უკვე განწირულმა ზესტაფონელებმა არ აპატიეს: ჩატარებულ 23 შეხვედრაში მეექვსე ფრე ითამაშეს და თავიანთ აქტივს მეცხრე ქულა შემატეს. წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, ასეა მარგველთა საქმე — მეორეობისთვის მებრძოლ „ოდიშს" ის ქულები აართვეს, რომლებიც მათთვის უკვე უსარგებლოა.

### მოულოდნელობა

**კოლხეთი 3:1 დინამო**

დინამოელთა ნებისმიერ მეტოქესთან დამარცხება მოვლენად აღიქმება. არც თბილისში „დილასთან" სათასო წაგება იყო გამონაკლისი. ამ უიღბლობის შემდეგ იოლი მოსალოდნელი გახლდათ, თბილისელებს კოლხებზე ეყარათ ჯავრი. მასპინძლებმა კი იმარჯვეს, თანაც საკმაოდ დამაჯერებლად. „კოლხეთმა" მიმდინარე ჩემპიონატში მეორე მარცხი აგემა ჩემპიონს და საკუთარ ანგარიშს დინამოელთა მეექვსედ ძლევა მიამატა. „დინამოსთან" ასეთი მაჩვენებელი არც ერთ სხვა გუნდს არ აქვს.

**დავით ნოზაძე**

### გმირი

ფოთელთა დისპეტჩერმა საკმაოდ ანერვიულა თბილისელი დინამოელები და „კოლხეთის" მიერ ჩემპიონის დამარცხებაში ლომის წილი დაიდო — ერთი გოლი მისი წაქცევისთვის დანიშნული ჯარიმიდან გავიდა, მეორე ნოზაძის მონაწილეობით წამოწყებული შეტევიდან, ხოლო მესამე თავად შეაგდო პენალტიდან. დაგვეთანხმებით, ცოტა ძნელი საქმეა „დინამოს" ამგვარად გამწარება. ნოზაძე იმ მატჩში გამორჩეული ფიგურა იყო, თუმცა, არც ზაველ ღაღანიძის დავიწყება ღირს, ისევე, როგორც მარგველი გიორგი შავგულიძის, ოდიშელებს ხუთ წუთში ორჯერ რომ გაუტანა.

### ანტიგმირი

**ლანჩხუთის „გურია"**

ალბათ, არ შეგვედავებით, თუ ტურის ანტიგმირად გურულთა მთელ გუნდს ვცნობთ. უშუალო კონკურენტთთან მატჩისას კარში ერთხელაც არდარტყმა უკვე ბევრზე მეტყველებს. ისე როგორ დაუძლურდა თავის დროზე საბჭოეთის უმაღლეს ლიგაში მოთამაშე „გურია", რომ ჭიათურის „მაღაროელს", მოგებას ვინ ჩივის, 90 წუთის განმავლობაში კარში ვერ დაურტყა?...

### ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| ლევან ხომერიკი | დინამო | 16 |
| პაატა მაჭუტაძე | ბათუმი | 13 |
| ჯუმბერ კალანდაძე | ოდიში | 13 |
| გია მეგრელაძე | ტორპედო | 13 |
| დავით მუჯირი | დინამო | 13 |
| ელდარ გვასალია | კოლხეთი | 9 |
| ნუგზარ მიქაბერიძე | კოლხეთი | 9 |
| მამუკა რუსია | თსუ | 9 |
| გრიგოლ გვაზავა | თსუ | 8 |
| დავით გოდერძიშვილი | ლოკომოტივი | 8 |
| შალვა ისიანი | ოდიში | 8 |
| ჰამლეტ წივწივაძე | კოლხეთი | 8 |
| სულიკო დავითაშვილი | მერანი | 7 |
| გიორგი ტყავაძე | სიონი | 7 |
| ლევან ქებაძე | ტორპედო | 7 |
| დავით ჯანაშია | ტორპედო | 7 |

### მეორე ჯგუფი

**XXIII ტური**

დარჩა შვიდი ტური. თუ არმიელებმაც და მისმა მდევრებმაც ასე უდანაკარგოდ განაგრძეს სვლა, ასკ პირველჯგუფელი ყველაზე გვიან ჩემპიონატის დამთავრებამდე ოთხი ტურით ადრე გახდება. უახლოესი სამი ტური იმისთვის სჭირდებათ არმიელებს, რომ პირველ ჯგუფში გადასვლა ოფიციალურად გაიფორმონ, თორემ პირველობას რომ ველარავინ შეეცილებათ, აქედანვე ცხადია. გასარკვევი მომდევნო სამეულის სუბორდინაციაა. ვინ იქნება მეორე პირდაპირი საგზურის მფლობელი? ალბათ, მაინც სამტრედიული „იბერია", თავის ანგარიშზე მორიგი რთული მატჩის მოგებაც რომ მიითვალა. ოთხეულის დავაში, საეჭვოა, „ცხინვალი" ჩაერიოს, თუმცა კი ბრძოლას თავს არ ანებებს, რისი დასტურიც ოზურგეთში საშაბათო მოგებაა.

ფაზისი — სამეგრელო 1:1
თორი — იბერია (ქ) 2:5
კოლხეთი — კოდაკო 2:1
საპოვნელა — იმერეთი 2:3
აკადემია — იბერია (ს) 1:2
ასკ — მეშახტე 5:0
მერცხალი — ცხინვალი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ასკ | 23 | 20 | 3 | 0 | 76:12 | 63 |
| იბერია (ს) | 23 | 16 | 4 | 3 | 53:17 | 52 |
| კოლხეთი | 23 | 16 | 3 | 4 | 57:34 | 51 |
| ივერია | 23 | 15 | 4 | 4 | 55:22 | 49 |
| ცხინვალი | 23 | 13 | 3 | 7 | 53:27 | 42 |
| აკადემია | 23 | 13 | 4 | 6 | 61:23 | 38 |
| მერცხალი | 23 | 10 | 1 | 12 | 33:38 | 31 |
| ფაზისი | 23 | 9 | 4 | 10 | 44:41 | 31 |
| თორი | 23 | 9 | 4 | 10 | 40:48 | 31 |
| სქური | 23 | 9 | 2 | 12 | 31:50 | 29 |
| მეშახტე | 23 | 8 | 2 | 13 | 35:44 | 26 |
| სამეგრელო | 23 | 6 | 5 | 12 | 30:50 | 23 |
| კოდაკო | 23 | 5 | 2 | 16 | 20:47 | 17 |
| იბერია (ქ) | 23 | 6 | 2 | 15 | 30:53 | 15 |
| იმერეთი | 23 | 4 | 1 | 18 | 27:90 | 13 |
| საპოვნელა | 23 | 2 | 2 | 19 | 24:73 | 8 |

### მესამე ჯგუფი

**დასავლეთი**

**XIV ტური**

სალხინო — ბათუმი 2 2:1
ოქროს საწმისი — სამგურალი 2 2:0
ენგური — ოდიში 2 2:1
გაგრა — ტორპედო 2 1:2
სულორი — შუქურა 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ენგური | 13 | 11 | 2 | 0 | 33:5 | 35 |
| ეგრისი | 12 | 10 | 1 | 1 | 30:13 | 31 |
| შუქურა | 12 | 5 | 6 | 1 | 17:9 | 21 |
| ოქროს საწმისი | 13 | 6 | 1 | 6 | 25:19 | 19 |
| გაგრა | 13 | 5 | 3 | 5 | 25:17 | 18 |
| ოდიში 2 | 13 | 5 | 1 | 7 | 15:18 | 16 |
| სამგურალი 2 | 13 | 4 | 3 | 6 | 19:25 | 15 |
| ბათუმი 2 | 13 | 3 | 4 | 6 | 15:19 | 13 |
| ტორპედო 2 | 13 | 3 | 3 | 7 | 11:22 | 12 |
| სალხინო | 12 | 3 | 1 | 8 | 17:33 | 10 |
| სულორი | 13 | 2 | 1 | 10 | 11:38 | 7 |

**აღმოსავლეთი**

**XII ტური**

თელეთი — ალაზანი 3:3
ალგეთი — სამგორი 2:0
ჭაბუკიანი — შირაქი 2:0
იბერია — ხალიბი 97 0:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ყვარელი | 10 | 9 | 1 | 0 | 23:2 | 28 |
| ალგეთი | 11 | 7 | 2 | 2 | 14:6 | 23 |
| შირაქი | 11 | 5 | 3 | 3 | 22:10 | 18 |
| იბერია | 11 | 5 | 1 | 5 | 16:15 | 16 |
| ხალიბი 97 | 10 | 5 | 0 | 5 | 13:10 | 15 |
| ალაზანი | 11 | 4 | 3 | 4 | 15:13 | 15 |
| სამგორი | 11 | 4 | 2 | 5 | 16:18 | 14 |
| ჭაბუკიანი | 11 | 2 | 1 | 8 | 5:18 | 7 |
| თელეთი | 10 | 0 | 1 | 9 | 10:42 | 1 |

**ცენტრალური**

**XII ტური**

ვარძია — დინამო 2 0:2
თსუ 2 — მესხეთი 1:1
დილა 2 — ბაია ქასქი 7:1
ლოკომოტივი 2 — მრეტები 4:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო 2 | 11 | 8 | 1 | 2 | 39:11 | 25 |
| ქინერი | 12 | 7 | 2 | 3 | 26:19 | 23 |
| მესხეთი | 12 | 6 | 3 | 3 | 34:20 | 21 |
| თსუ 2 | 10 | 6 | 3 | 1 | 23:8 | 21 |
| ლოკომოტივი 2 | 12 | 6 | 1 | 5 | 25:18 | 19 |
| დილა 2 | 12 | 6 | 1 | 5 | 28:22 | 19 |
| ბაია ქასქი | 12 | 4 | 3 | 5 | 15:22 | 15 |
| მრეტები | 12 | 3 | 1 | 8 | 16:37 | 10 |
| ვარძია | 11 | 2 | 2 | 7 | 14:30 | 8 |
| 35 სტუ | 12 | 1 | 1 | 10 | 8:41 | 4 |

# კალიები წვიმაში

**შოთა არველაძე ჰოლანდიის ჩემპიონი გახდა. ახლა გიორგი ნემსაძისა და მიხეილ ყაველაშვილის ჯერია. მათი „გრასჰოპერი" უკანმოუხედავად მიისწრაფვის შვეიცარიის ჩემპიონობისკენ. თუმცა „აიაქსისგან" განსხვავებით საკმაოდ მიახლოებული მოქიშპე ჰყავს — ჟენევის „სერვეტი". მათ შორის სხვაობა ერთადერთი ქულაა. საკმარისია, რომელიმემ სადმე წაიფორთხილოს, რომ საქმე მეტად გაურთულდება, ეგებ პირველობისთვის ბრძოლაზეც ხელი ჩაიქნიოს.**

**ჩვენ ქართველებს გქომაგობთ, ეროვნული გუნდის კაპიტნისა და თავდამსხმელის იმედი გვაქვს. ისინიც გვიმართლებენ. ორივე მყარადაა „გრასჰოპერის" ძირითად შემადგენლობაში, ღირსეულად ბურთაობენ და გვაიმედებენ, რომ წლევანდელ სეზონში საქართველოს ორი უცხო ქვეყნის ჩემპიონიც შეემატება. ნათქვამია, სურვილი ერთია, საშუალება მეორეო. ამ შემთხვევაში ორივე ერთმანეთს ემთხვევა. ქართველ შვეიცარიელებს დიდი სურვილის გარდა საუცხოო საშუალება აქვთ, თავიც ისახელონ, ჩვენც გვასახელონ.**

**შაბათს „გრასჰოპერმა" მორიგი სამი ქულა მიითვალა. შინ „ლუცერნი" 4:0 გაანადგურა. ორივე ქართველმა შეუცვლელად ითამაშა, მიშა ყაველაშვილმა კი თავური დარტყმით სტუმრებს მეორედ მიატანინა ბურთი ცენტრთან.**

— თუ რამ ლოგიკა არსებობს, ჩემპიონები ჩვენ უნდა გავხდეთ — გვითხრა ყაველამ — უთქმელადაც ცხადია, „სერვეტი" კარგი გუნდია, მაგრამ „გრასჰოპერი" მაინც სჯობს. ჟენეველები სულ ახალგაზრდებითაა დაკომპლექტებული და ენერგია ჭარბად აქვთ. ბევრს მოძრაობენ, ძირითადად სწორედ ფიზიკური მომზადების ხარჯზე ხეირობენ.

**— ახალგაზრდები ეხახე და კუდში კი მოგდევენ. ერთ ქულიანი სხვაობა არასაიმედოა. ვაი და ფეხი დაგიცდეთ...**

— ასეთივე ალბათობით შეიძლება „სერვეტმაც დაკარგოს გაუთვალისწინებელი ქულები. ჩემპიონატის ბოლომდე ექვსი ტურია დარჩენილი, ახლა კულმინაციური ეტაპია. მთელი სეზონი ვლიდერობდით და რალა ამ თამაშებში გაგვწირავს ღმერთი? არა, შანსები ჩვენ უკეთესი გვაქვს. მით უმეტეს, „სერვეტს" ბოლო ტურში, 23 მაისს, შინ ვმასპინძლობთ. ისე, გვიჯობს საქმე ბოლო თამაშამდე არ მივიყვანოთ, ჩემპიონობის ვადაზე ადრე დაბევებას რა სჯობს.

**— „სერვეტის" გარდა „ციურიხიც" გკონკურენტობთ...**

— ამათაც შინ ვმასპინძლობთ, საკუთარ მოედანზე. თუმცა, ამას დიდი მნიშვნელობა როდი ექნება. მთავარია, რომ შვიდი ქულით ვუსწრებთ.

**— კარგი, ჩემპიონობაზე საუბარი ჯერ ადრეა, ის მითხარი, „ლუცერნს" როგორ მოუგეთ.**

— უუჰ, საშინლად გავუსწორდით. ძალიან ცუდი ამინდი იყო, თავსხმა, მინდორი ატალახებული და გრუნტი დამძიმებული. ჩვენზე არაფერმა იმოქმედა, მეტოქე გავანადგურეთ. ორივემ კარგად ვითამაშეთ, ნემსო ისეთი პასებს აკეთებდა, სტუმრები ჭკუიდან შეიშალნენ...

**— შენც ნემსაძემ გაგატანინა?**

— არა, კომიზეტიმ. კუთხური მოაწოდა, მეტოქემ ბურთი საჯარიმოდან კი გაიტანა, მაგრამ ისევ კომიზეტის დაუბრუნეს, მანაც იგივე გაიმეორა, მე მცველს და მეკარეს დავასწარი, მაღლა ავხტი და მახვილი კუთხიდან შევაგდე. თითქოს დაგვებედაო, ყოველ მატჩს ავდარში ვთამაშობთ, მთელი კვირა კარგი ამინდებია, პარასკევს კი გაწვიმდება და ორშაბათამდე არ გადაიღებს.

**— „გრასჰოპერს" ნათხოვარი რომ ჰყავხარ, ხომ არ დაგვიწყებია? „სიტიდან" არაფერი ისმის?**

— იმათ თავისი თავი გასჭირვებიათ, ჩემთვის არავის სცალია. საერთოდ არავინ შემხმიანებია, ალბათ, სეზონის ბოლოს დამელაპარაკებიან. ისე, თუ არაფერს მეტყვიან, უკეთესია, შვეიცარიაშიც ძალიან კარგად ვარ. ფორმაც აღვიდგინე და ვგრძნობ, აქაურებიც მენდობიან. სათამაშო პრაქტიკა მაინც ბევრს ნიშნავს. ჰო, რა მაინტერესებს, ნაკრების თამაშებზე ახალი არაფერი ისმის?



ყაველა შოთა არველაძის მეტოქეობას ლამობს

— არა, ჯერჯერობით რუსებამდე მოცდა მოგიწევს.

— ეგ ძალიან ცუდი. თამაშები გვჭირდება. ბიჭები ხომ დაფანტულები არიან, ყველა თავიანთი კლუბის სტილით თამაშობს — ერთმანეთთან შესაწყობად ამხანაგურები ძალიან წაგვადგება. აბა, პირდაპირ შესარჩევებს წარმატებით როგორრლა ვითამაშებთ. გუცაევს ჩვენც ვესაუბრებით, ხშირად გვირეკავს, ჩვენი მომზადების დონე აინტერესებს. მატჩებზეც იმიტომ გკითხე, ვიფიქრე ბოლო დღეებში რამე ახალი იქნება-მეთქი.

მიშამ მერე აღდგომის დღესასწაულიც მოგვილოცა და... ჩემპიონთა ლიგაში შოთას უნდა გავეჯიბროთო.

**კობა ინასარიძე**

### შვეიცარია

**გრასჰოპერი 4:0 ლუცერნი**

გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, ჰაასი, გრენი, სმილიანიჩი, კრისტი, მაგნინი (გამპერლე 77), ესპოზიტო, ნემსაძე (ტიკვა 66), კომისეტი (ტულერი 77), თურქილმაზი, ყაველაშვილი

1:0 კომისეტი (25), 2:0 ყაველაშვილი (28), 3:0 ესპოზიტო (58), 4:0 თურქილმაზი (78)

მე-8 ტური. არაუ — ციურიხი 1:2; სიონი — ლოზანა 3:0; სენტ გალენი — სერვეტი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გრასჰოპერი | 8 | 5 | 1 | 2 | 23:11 | 39 |
| სერვეტი | 8 | 5 | 3 | 0 | 12:4 | 38 |
| ციურიხი | 8 | 5 | 2 | 1 | 17:9 | 32 |
| ლოზანა | 8 | 1 | 3 | 4 | 4:10 | 27 |
| სიონი | 8 | 2 | 3 | 3 | 11:13 | 24 |
| სენტ გალენი | 8 | 2 | 3 | 3 | 7:11 | 24 |
| არაუ | 8 | 1 | 2 | 5 | 10:16 | 23 |
| ლუცერნი | 8 | 1 | 3 | 4 | 7:17 | 21 |

# და დაიწყება თავდავიწყება

## ინგლისი

### XXXV ტური

### მანჩესტერი 1:1 ნიუკასლი

**მანჩესტერი:** შმაიხელი (ვან დერ გოუ 18), გ. ნევილი (სოლსკიაერი 79), ირვინი, მეი, პალისტერი, ფ. ნევილი, ბათი (სქოულზი 44), ბექემი, გიგზი, შერინგემი, კოული
**ნიუკასლი:** გივენი, ბარტონი, ბეტი, სპიდი, პირსი, პისტონე, ალბერი, დაბიზასი, ლი, ანდერსონი (ქეცბაია 66), შირერი
0:1 ანდერსონი (11), 1:1 ბექემი (38)

თემურ ქეცბაიამ მხოლოდ 24 წუთი ითამაშა მანჩესტერელთა შესანიშნავ სტადიონ „ოლდ ტრეფორდზე“, თუმცა ესეც საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ მასპინძელთა დაცვა რამდენჯერმე დაეწიოკებინა. თემურს ბოძებული შანსები რომ გამოეყენებინა, „მანჩესტერ იუნაიტედთან“ „ნიუკასლი“ სტუმრად 1972 წლის შემდეგ პირველად გაიმარჯვებდა, მაგრამ... სამაგიეროდ, მოხდა ის, რისიც ასე ძალიან ეშინოდა „ალისფერი ეშმაკუნების“ თავკაც ალექს ფერგიუსონს და რაც ერთობ აწყობდა სტუმართა მწვრთნელ კენი დალგლიშს — „ნიუკასლმა“ მეტად საჭირო და ამავდროულად ძნელად მისაღწევი ქულა მოიპოვა მანჩესტერში.

— ლამისაა, შევეგუო იმ აზრს, რომ ჩემპიონობას „არსენალს“ გადავულოცავთ. სამწუხაროდ, ბოლოდროინდელ მარცხებში ჩვენვე ვართ დამნაშავე, სხვა არავინ. — მასპინძელთა შეცბუნებული თავკაცი ალექს ფერგიუსონი ლიდერობის ხელიდან გაშვების რეალურ შიშს აეფორიაქებინა. მწვრთნელის გუმანი გამართლდა — იმავე დღეს, შაბათს, ლონდონელმა „მეთოფეებმა“ თანაქალაქელ „უიმბლდონის“ კარი დაცხრილეს.

მე-18 წუთზე მანჩესტერელთა 34 წლის მეკარე პეტერ შმაიხელი შესაცვლელი შეიქნა. როგორც მოგვიანებით გამოჩნდა, იგი სავარაუდოდ მსოფლიოს ჩემპიონატამდე ველარ ითამაშებს, მიზეზი კი მუხლის კუნთის ის გაჭიანურებული ტრავმაა, დანიელს მარტში შოტლანდიელთა წინააღმდეგ ნაკრების ღირსების დაცვის საშუალება რომ არ მისცა.

როდესაც შმაიხელი კეთილისმსურველთა დახმარებით მინდორს ტოვებდა, ნიუკასლელებს დაწინაურება მოესწროთ. მცველებმა შვედი ანდრეას ანდერსონის თამაშგარე დატოვება მოინდომეს, წადილი კი არ აუხდათ — მსაჯმა თავისუფალი დარტყმის ნაცვლად თამაშის ცენტრიდან განახლება ბრძანა.

— მატჩი არ უნდა წაგვეგო და აკი ასეც მოხდა. მართალია, „არსენალმა“ გადაგვასწრო, მაგრამ ჩემპიონის ბედი ჯერ არ გადაწყვეტილა. წინ კიდევ არის შეხვედრები, რომლებშიც უნდა გავიმარჯვოთ! ჩემპიონობისთვის ბრძოლა უფრო და უფრო გამძაფრდა. თავდავიწყება ახლა იწყება! — მასპინძელთა გადამრჩენი დევიდ ბექემი სულაც არ ეთანხმება იმათ აზრს, ვისაც „მანჩესტერ იუნაიტედი“ ჩამოწერილი (ცხადია, ჩემპიონობისთვის ბრძოლა იგულისხმება) გუნდი ჰგონია.

— „მანჩესტერ იუნაიტედის“ წინააღმდეგ ძალების მთელი კონცენტრაცია გვმართებდა. „ნიუკასლის“ გულშემატკივართა გასახარად, ჩვენ შევძელით ესოდენ საჭირო ქულის მოპოვება. ვფიქრობ, ამით პრემიერლიგაში დარჩენის პრობლემა გადავწყვიტეთ — ინგლისის ასოციაციის თასის ფინალისტთა თავკაცი კენი დალგლიში გახარებული ჩანდა. მან ბოლოს ისიც დასძინა, მომავალ შეხვედრაში შევეცდებით, ლიგაში დარჩენა გავინაღდოთ, დარჩენილი დრო ქვეყნის თასის მოსაგებად მზადებისთვის უნდა გამოვიყენოთო. ცნობისთვის — ასოციაციის თასის ფინალში „ნიუკასლი“ ლონდონის „არსენალს“ 16 მაისს „უემბლიზე“ დაუპირისპირდება.

ბოლოს კვლავ თემურ ქეცბაიაზე მოგახსენებთ. იმ 24 წუთში, რომელიც საქართველოს გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელმა მინდორზე გაატარა, მან საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა, გულდასაწყვეტი მხოლოდ ისაა, რომ ერთ მომენტში მისგან თავგზააბნეულ ორ მცველს მეკარეც ზედ ვერ მიაყოლა, არადა, გოლი თითქოს გარდაუვალი ჩანდა. იყო მომენტი თემურთან უხეშობის გამო პენალტის დანიშვნაც უპრიანი იქნებოდა მაგრამ...

### არსენალი 5:0 უიმბლდონი

**არსენალი:** სიმენი, უინთერბერნი, ვიეირა (პლატი 70), ადამსი, ანელკა (ვრე 76), პარლოუ, პეტი, გარდე (დიქსონი 14), ოვერმარსი, ბერხკამპი, აშსონი
**უიმბლდონი:** სალივანი, კანინგემი, ბლეკველი (მაკალისტერი 83), ტეტჩერი, კ. ჰიუზი (კორტი 46), რობერტსი, გეილი, პერი, მ. ჰიუზი, ერდლი (ფრემსისი 75), კლარკი
1:0 ადამსი (12), 2:0 ოვერმარსი (17), 3:0 ბერხკამპი (19), 4:0 პეტი (54), 5:0 ვრე (88)

ასეც უნდა. მომხდარიყო. განა იმიტომ, რომ მოცემული მომენტისთვის „არსენალი“ ყველაფრით აღემატებოდა „უიმბლდონს“, უბრალოდ, დრო იყო იმისა, დედაქალაქურ დერბიში „მეფოთეებს“ ემარჯვათ. 1988 წლიდან მოყოლებული, უიმბლდონელებს „არსენალის“ მშობლიურ სარბიელ „ჰაიბერიზე“ ჩემპიონატში, შეხვედრა რაა, ის არ წაუგიათ — ექვსჯერ მეტოქენი ტოლ-სწორად დაშორდნენ ერთმანეთს, სამჯერაც გიჟმაჟმა უიმბლდონელებმა იმარჯვეს.

წაგებაცაა და წაგებაც, მაგრამ როცა შეხვედრას ხუთი უპასუხო ბურთით თმობ, რაღაც ვერაა რიგზე. „უიმბლდონში“ რაღაც კი არა, თითქმის ყველაფერია არეული, გუნდის ხელმძღვანელობიდან დაწყებული, ფეხბურთელებით დამთავრებული. ერთი სიტყვით, იმ გუნდისგან, რომლის მოთამაშეებმაც არ იციან, საფეხბურთო მინდორზე რა ქნან, 0:5 წაგება გასაკვირი სულაც არ უნდა იყოს. პირიქით, საკვირველი ისაა, ამაზე მეტი გოლი რომ არ გაუშვეს.

— როცა „ოლდ ტრეფორდზე“ მანჩესტერელებს ვძლიეთ, მაინც მეპარებოდა ეჭვი, რომ იუნაიტედელებს გავუსწრებდით. ახლა სიტუაცია რადიკალურად საპირისპიროა. დღესდღეობით მდევარი „მანჩესტერია“ და არა ჩვენ. ჩემპიონობის ამაზე უკეთესი შანსი, ვგონებ, არც მოგვეცემა და იგი აუცილებლად უნდა გამოვიყენოთ. ასეა საჭირო და იმიტომ — მასპინძელთა მწვრთნელ არსენ ვენგერს, რომელიც „არსენალამდე“ იაპონიის ჯეი-ლიგის ერთ-ერთ კლუბში ილვწოდა, საჩემპიონო პრეტენზიები არ დაუმალავს.

მართლაც ამ სეზონში, თუ რაღაც გაუთვალისწინებელი არ მოხდა, „არსენალი“ ჩემპიონი გახდება. 1991 წლის შემდეგ პირველად, ბოლო შეხვედრების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ლონდონელებისა და მათი კონკურენტის „მანჩესტერ იუნაიტედის“ თამაშში, შედეგებზე რომ არაფერი ვთქვათ, უდიდეს სხვაობას დავინახავთ. არადა, სეზონის დასაწყისში საპირისპირო სიტუაცია იყო. მანჩესტერელთა სამწუხაროდ, ამ სეზონში გუნდი მხოლოდ ჩემპიონატის პირველი ნახევრისთვის გამოდგა მზად. ისიც სავარაუდოა, რომ ალექს ფერგიუსონის ბიჭებმა ძალთა სათანადოდ გადანაწილება ვერ მოახერხეს — ბრწყინვალედ განვლილი სეზონის პირველ ნახევარს საშინელი გაგრძელება მოჰყვა.

ასეა თუ ისე, ინგლისის ჩემპიონატს ახალი ლიდერი ჰყავს — „მანჩესტერ იუნაიტედის“ ექვსთვიანი ზეობის შემდეგ ცხრილის სათავეში, ქვეყნის საფეხბურთო ოლიმპის მისადგომებთან, „არსენალი“ გამოჩნდა.

როგორ მოახერხა არსენ ვენგერის მიერ ლამის ფრანგულ კლუბად ქცეულმა ლონდონურმა „არსენალმა“ მეტოქის უკან მოტოვება? ჩვეულებრივად, სულ ადვილად: მთლიანობაში გუნდის შესანიშნავ მოქმედებას დაუმატეთ 19 წლის ყმაწვილკაც ნიკოლა ანელკას გამჭრიახობა, პლუს ამას დამაგვირგვინებელ მომენტებში მოთამაშეთა შემართება, ცოტა იღბალი და „უიმბლდონიც“ დამარცხებულია!

### ქოვენთრი 1:1 ლივერპული

**ქოვენთრი:** ოგრიზოვიჩი, შოუ, ბაროუსი, ბრინი, ნილსონი, ველანი, სოლტვედტი, ბოულენდი (უილიამსი 88), ჰოლი, ჰაკერბი, დაბლინი
**ლივერპული:** ფრიდელი, ჯონსი, ბები, ბიორნებიე, მატეო, ლეონარდსენი, რედნაპი (რიდლე 74), ინსი, მერფი, მაკმანამანი, ოუენი
0:1 ოუენი (33), 1:1 დაბლინი (47)




ქოვენთრი — ლივერპული. ოუენის სიხარული ხანმოკლე გამოდგა

გოლების ავტორთათვის შეგდებული ბურთები ამ სეზონში ყველა შეჯიბრებაში გატანილი 21-ე, ხოლო პრემიერლიგაში მე-16 აღმოჩნდა.

### ჩელსი 1:0 შეფილდი

**ჩელსი:** ხარინი, ლებეფი (პ. ჰიუზი 80), კლარკი, მ. ჰიუზი, დაბერი, დი მატეო, გრენვილი, ფლო (ნიკოლსი 70), ნიუტონი, შარვე, ჰარლი (მორი 64)
**შეფილდი:** პრესმენი, აზერტონი, უოლკერი, კარბონე, ბუთი, სტეფანოვიჩი, ჰინჩკლიფი, ტომი, რუდი (პემბრიჯი 13), ბარეტი (მეჯილტონი 85), დი კანიო
1:0 ლებეფი (23 პ)

ლებეფმა ბარეტის მიერ ტორე ანდრე ფლოს წაქცევისთვის დანიშნული პენალტი შეაგდო.

### ბარნსლი 1:1 ტოტენჰემი

**ბარნსლი:** უოტსონი, იდენი, მოუზისი, დე ზიუ, ბალოკი, ჯონსი (ჰენდრი 76), ტინკლერი (მარსელი 88), ბერნარდი, უორდი, ფიორტოფტი, რედფერნი
**ტოტენჰემი:** უოკერი, კალდერვუდი, ფოქსი, ნილსენი, კარი, ვეგა, კემპბელი, ბერტი, ჟინოლა, ფერდინანდი (ანდერტონი 70), კლინსმანი (არმსტრონგი 46)
1:0 რედფერნი (19), 1:1 კალდერვუდი (47)

შერიდანი, ხრისტოვი, ბოზანჩიჩი, მორგანი, კრიკანი, მარკშტედი — აი ხალხი, რომლებსაც აგრერიგად საჭიროებდა „ბარნსლი“ და ურომლისოდაც გუნდმა მაინც შეძლო, მასსავით სახიფათო ზონაში მყოფ „ტოტენჰემს“ გაძალიანებოდა.

ლონდონელები, რომელთაც ტრავმამოშუშებული ლუეს ფერდინანდი დაუბრუნდათ, გამარჯვებას კი იმედოვნებდნენ, მაგრამ სუტმართა გერმანელმა თავდამსხმელმა იურგენ კლინსმანმა ისეთი მომენტები გააფუჭა, „ტოტენჰემის“ გამარჯვებაზე საუბარი სირცხვილიც იქნებოდა.

### ბოლტონი 2:3 ლიდსი

**ბოლტონი:** ბრენეგენი, კოქსი, ფიში, ტომპსონი, ფილიპსი (სალაკო 70), ბერგსონი, ტოდი, ფრანდსენი, ბელიკი, ტეილორი, შერიდანი (ჯიალანცა 82)
**ლიდსი:** მარტინი, კელი, ჰაალანდი, რადებე, უეზეროლი, ბოუერი, ჰალე, კიუელი, ჰარტე, ჰიდენი, ჯიმი
0:1 ჰაალანდი (16), 0:2 ჰალე (34), 1:2 ტომპსონი (56), 1:3 ჯიმი (85), 2:3 ფიში (89)

მალე ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი დაიწყება. საქართველოს კი ერთ-ერთ ოპონენტად ნორვეგია ეყოლება. ამ შეხვედრაში ნორვეგიის ნაკრების ორმა მოთამაშემ ალფ ინგე ჰაალანდმა და გუნარ ჰალემ შესანიშნავად ითამაშეს და „ლიდსმა“ მეტოქე რომ სძლია, სწორედ ამ ორი ვიკინგის დამსახურებაცაა.

მასპინძელთა უკანახაზელებმა ორი ტანმაღალი ნორვეგიელის შეჩერება ვერ შეძლეს და დაისაჯნენ კიდეც. ჯერ იყო და ჰაალანდმა თანამემამულე ჰალეს წყალობით იხეირა, ამ უკანასკნელმა კი გარდა იმისა, რომ თავადაც შეაგდო, „ბოლტონის“ კარები შორეულ დარტყმებით, რომ იტყვიან, დაბომბა.

### ვესტ ჰემი 2:1 ბლექბერნი

**ვესტ ჰემი:** ლამა, ფერდინანდი, ანსუორსი, პირსი, ლაზარიდისი, იმპი, ლომასი, ლემპარდი, სინკლერი, ბერკოვიჩი (კოტსი 87), ჰარტსონი
**ბლექბერნი:** ფეტისი, კენა, ჰენდრი, რიპლი (დალინი 75), ვალერი (შერვუდი 56), ენჩოსი, მაკინლი, ფლიტკროფტი, უილკოქსი, გელაპერი, სატონი
1:0, 2:0 ჰარტსონი (7, 28), 2:1 უილკოქსი (45)

ნეტავ, რა დაემართა „ბლექბერნს“? — ინგლისის 1995 წლის ჩემპიონმა სეზონი ისეთი რიხით დაიწყო, ზოგმა გუნდი ჩემპიონობის უცილობელ კანდიდატად მიიჩნია, მაგრამ როი ჰოჯსონის გუნდს ჩავარდნები ჩემპიონატის შუაში დაეწყო, პირველობის მიწურულს კი მარცხი ლამის „ბლექბერნის“ სავიზიტო ბარათად იქცა. კრიზისში ჩავარდნილმა ბლექბერნელებმა ბოლო შვიდი შეხვედრიდან მეექვსე წააგეს.

### კრ. პალასი 3:1 დერბი

**კრ. პალასი:** მილერი, ედვორთი, გორდონი, ჩურჩიჩი, როჯერი, ისმაელი, იანსენი (ბენტი 83), სმიტი, ბროლინი, პადოვანო (ლომბარდო 71), შიპერლი
**დერბი:** პოომი, როუეტი, პაუელი, შტიმაცი, ვან დერ ლაანი (ბაიანო 58), ბოჰინენი, კერსლი, დეილი, ბარტონი (სტარიჯი 79), დელაპი (ბანტი 77), ვენჩოპი
1:0 იანსენი (73), 2:0 ჩურჩიჩი (80), 2:1 ბოჰინენი (85), 3:1 ბენტი (90)

არის, ასრულდა ოცნება! “კრისტალ პალასმა“ ამ სეზონში პირველი მატჩი მოიგო შინ. ისე, მასპინძელთა იტალიელი მოთამაშე-მწვრთნელი ატილიო ლომბარდო დროზე რომ არ ჩართულიყო თამაშში, მასპინძელთა დანავსული საშინაო სერია, ალბათ, კვლავ გაგრძელდებოდა.

### საუთჰემპტონი 1:2 ასტონ ვილა

**საუთჰემპტონი:** ჯონსი, დოდი, ბენალი, პალმერი, მონკუ, დრაიდენი (სპედინგი 49), ოუკლი, ჰერსტი (ბეშემი 73), ბერესფორდი, ოსტენსტადი, ლე ტისიე
**ასტონ ვილა:** ბოზნიჩი, გრეისონი (ჩარლზი 59), რაიტი, საუთგეიტი, ეჰიოგუ, სტონტონი, ჰენდრი, ტეილორი, იორკი, დრაპერი, იოაკიმი
0:1 ჰენდრი (6), 1:1 ლე ტისიე (19), 1:2 იორკი (60)

„საუთჰემპტონის“ უდავო ლიდერ მეტ ლე ტისიესთვის გოლი ჩემპიონატებში გატანილი 150-ე ბურთი აღმოჩნდა.

### ევერტონი 1:1 ლესტერი

**ევერტონი:** მერი, ოკინი, ბოლი, ატკინსონი, შორტი, ტილერი, მაკენი (ბილიჩი 46), მადარი (ოსტერი 82), ფერგიუსონი, ფარელი, ბიგრი (სპენსერი 46)
**ლესტერი:** კელერი, სევიჯი, ჯაპი, კამარკი, ელიოტი, უოლში, იზეტი, პარკერი, ზაგორაკისი (კოტი 83), მარშალი, ჰესკი
1:0 მადარი (2), 1:1 მარშალი (38)

„ევერტონის“ პრემიერლიგაში დარჩენას საფრთხე ემუქრება.

ლაშა გოდუაძე

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 33 | 20 | 9 | 4 | 61:28 | 69 |
| მანჩესტერი | 35 | 20 | 8 | 7 | 65:26 | 68 |
| ლივერპული | 35 | 17 | 11 | 7 | 61:39 | 62 |
| ჩელსი | 34 | 18 | 3 | 13 | 64:38 | 57 |
| ლიდსი | 34 | 16 | 6 | 12 | 50:37 | 54 |
| ვესტ ჰემი | 34 | 15 | 7 | 12 | 47:42 | 52 |
| ბლექბერნი | 34 | 14 | 9 | 11 | 55:50 | 51 |
| ასტონ ვილა | 35 | 15 | 6 | 14 | 44:44 | 51 |
| დერბი | 34 | 14 | 7 | 13 | 49:44 | 49 |
| ლესტერი | 34 | 11 | 13 | 10 | 43:37 | 46 |
| ქოვენთრი | 34 | 11 | 13 | 10 | 40:40 | 46 |
| საუთჰემპტონი | 35 | 13 | 5 | 17 | 45:50 | 44 |
| უიმბლდონი | 34 | 10 | 11 | 13 | 31:39 | 41 |
| შეფილდი | 35 | 11 | 8 | 16 | 48:62 | 41 |
| ნიუკასლი | 34 | 10 | 10 | 14 | 32:40 | 40 |
| ევერტონი | 35 | 9 | 12 | 14 | 39:48 | 39 |
| ტოტენჰემი | 35 | 9 | 10 | 16 | 35:53 | 37 |
| ბარნსლი | 35 | 10 | 5 | 20 | 37:77 | 35 |
| ბოლტონი | 35 | 7 | 13 | 15 | 33:56 | 34 |
| კრ. პალასი | 34 | 7 | 8 | 19 | 31:60 | 29 |

## პირველი დივიზიონი

44-ე მიდლსბრო — სიტი 1:0, ვულვერჰემპტონი — რედინგი 3:1, სანდერლენდი — ქრიუ 2:1, სტოკი — ნორვიჩი 2:0, სტოკპორტი — ნოტინგემი 2:2, შეფილდი — ბერი 3:0, ოქსფორდი — ტრანმერი 1:1, იფსვიჩი — პორტ ვეილი 5:1, ჰადერსფილდი — ვესტ ბრომვიჩი 1:0, ჩარლტონი — პორტსმუთი 1:0, ბირმინგემი — სვინდონი 3:0, ბრედფორდი — ქუინზ პარკი 1:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნოტინგემი | 44 | 27 | 9 | 8 | 80:41 | 90 |
| სანდერლენდი | 43 | 24 | 12 | 7 | 78:46 | 84 |
| მიდლსბრო | 43 | 25 | 9 | 9 | 71:39 | 84 |
| ჩარლტონი | 44 | 25 | 9 | 10 | 78:49 | 84 |
| იფსვიჩი | 43 | 20 | 14 | 9 | 71:41 | 74 |
| შეფილდ იუნ. | 42 | 19 | 16 | 7 | 63:44 | 73 |
| ბირმინგემი | 44 | 18 | 16 | 10 | 58:35 | 70 |
| ვულვზი | 43 | 18 | 10 | 15 | 52:46 | 64 |
| სტოკპორტი | 44 | 17 | 8 | 19 | 66:66 | 59 |
| ოქსფორდი | 43 | 16 | 9 | 18 | 58:57 | 57 |
| ბრედფორდი | 44 | 14 | 15 | 15 | 45:51 | 57 |
| ვესტ ბრომვიჩი | 44 | 15 | 12 | 17 | 45:53 | 57 |
| ქრიუ | 43 | 16 | 5 | 22 | 49:61 | 53 |
| ჰადერსფილდი | 44 | 14 | 11 | 19 | 50:65 | 53 |
| ტრანმერი | 43 | 13 | 13 | 17 | 49:51 | 52 |
| სვინდონი | 44 | 14 | 10 | 20 | 41:66 | 52 |
| ბერი | 44 | 10 | 19 | 15 | 41:57 | 49 |
| ნორვიჩი | 44 | 12 | 13 | 19 | 46:69 | 49 |
| ქუინზ პარკი | 43 | 10 | 17 | 16 | 48:59 | 47 |
| პორტ ვეილი | 44 | 12 | 10 | 22 | 52:65 | 46 |
| სტოკ სიტი | 44 | 11 | 13 | 20 | 42:66 | 46 |
| სიტი | 44 | 11 | 11 | 22 | 49:53 | 44 |
| პორტსმუთი | 44 | 11 | 10 | 23 | 45:62 | 43 |
| რედინგი | 44 | 11 | 9 | 24 | 38:73 | 42 |

## საფრანგეთი

### XXXII ტური

### კანი 0:2 ლანსი

0:1 ვერელე (81), 0:2 ლეოი (85)

### მეცი 3:2 ნანტი

0:1 ლე რუ (20), 1:1 ლუკიჩი (27), 1:2 გურვენკი (49), 2:2 როდრიგესი (51), 3:2 მიურეი (73)

### ბასტია 2:1 მონპელიე

1:0 კოზნიკუ (1), 1:1 დელეი (12), 2:1 მორავჩიკი (68)

### მონაკო 0:1 ტულუზი

0:1 ბეტლი (34)

### ოსერი 2:1 მარსელი

1:0 ლამუში (39), 1:1 რავანელი (43), 2:1 გივარში (68)

### სტრასბური 0:1 ლე ავრი

0:1 პოჟე (67)

### პსჟ 0:1 ბორდო

0:1 ვილტორდი (40)

### შატორუ 2:3 ლიონი

0:1 დებენტი (30 ს.კ.), 0:2 კაველია (60), 1:2, 2:2 შარონდიე (67, 75პ), 2:3 ფურე (87)

### რენი 1:2 გინგამი

1:0 დიავარა (45), 1:1 მიპალი (56), 1:2 რუქსე (77)

„ლანსს და „მეცს“ თავი ქუდში აქვთ. ოფიციალურად გახდა ცნობილი, რომ პირველ და მეორე ადგილებს ამ წყვილს ველარავინ შეეცილება, ესე იგი, ისინი მომავალ ჩემპიონთა ლიგაში ითამაშებენ. ცნობილი კი ეს ამბავი მას მერე გახდა, რაც მათმა უწინდელმა მოცილეებმა წააგეს.

ერთ-ერთი ასეთი გუნდი გახლდათ „მარსელი“. მას „ოსერმა“ მოუგო 2:1 და მეორე ადგილზე მყოფ „მეცს“ ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე შვიდი ქულით ჩამოარჩინა.

ანგარიში „ოსერში“ მოთამაშე საფრანგეთის ნაკრების წევრმა, ნახევარმცველმა საბრი ლამუშიმ გახსნა. „მარსელმა“ მალე გაათანაბრა ანგარიში — ჯარიმიდან ზუსტად „სკუადრა აძურას“ ფორვარდმა ფაბრიციო რავანელიმ დაარტყა, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე 22 წუთით ადრე სტეფან გივარშმა სეზონში თავის 21-ე გოლით „ძველი პორტის“ გუნდს ჩემპოტნთა თასზე ფიქრი აუკრძალა.

— შესაძლოა, ცოტა უცნაურად ჟღერდეს, მაგრამ მე ჩემს ფეხბურთელებს მადლობას ვუძღვნი ამ წაგებისთვის. ჩვენ მშვენივრად ვითამაშეთ. ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრის შანსი ამ შეხვედრაში როდი დავკარგეთ, ის ადრე გავუშვით ხელიდან. — თქვა „მარსელის“ მწვრთნელმა როლან კურბისმა.

გასული სეზონის ჩემპიონი „მონაკოც“ დამარცხდა. მას შინ, სათავროში, მშობლიურ „ლუი მეორეზე“ სძლია „ტულუზმა“. თამაშის ერთადერთი გოლი ლორან ბატლემ გაიტანა. როგორც მიმომხილველები აღნიშნავენ, მონაკოელთა დამარცხების მიზეზი გასულ ოთხშაბათს, ჩემპიონთა თასის ნახევარფინალში „იუვენტუსთან“ შელეული ძალაა.

ლიდერმა, „ლანსმა“ „კანს“ 2:0 მოუგო და „მეცთან“ ორქულიანი უპირატესობა შეინარჩუნა. თავის მხრივ, „მეცმა“ აჯობა „ნანტს“ — 3:2.

უეფას თასზე გამსვლელი ადგილებისთვის ბრძოლაში სერიოზული ნაბიჯი გადადგა „ბორდომ“, რომელმაც „პარკ დე პრენსზე“ „პარი სენ ჟერმენს“ აჯობა 1:0. გოლი ბორდოელმა სილვაინ ვილტფორდმა მე-40 წუთზე, სწრაფი კონტრშეტევისას გაიტანა. ამრიგად, პარიზელთა წინაალმდეგობებით აღსავსე სეზონი გრძელდება. შეგახსენებთ, რომ მათ უკვე მოიპოვეს თასების თასზე თამაშის უფლება, რადგან ისინი ქვეყნის თასის ფინალში არიან, სადაც სწორედ იმ „ლანსს“ უნდა შეხვდნენ, თავი, როგორც მოგახსენეთ, ქუდში, ანუ ჩემპიონთა ლიგაში რომ აქვს.

უეფას თასზე ალბათ გავლენ „ლიონი“ და „ბასტიაც“.

კიდევ უფრო ქვევით კი გამარჯვებას ზეიმობენ. „ლორიენტმა“ 1:0 მოუგო „ვასკელს“ და შედეგად ბრეტანის გუნდი მომავალ სეზონში პირველ დივიზიონში ითამაშებს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 32 | 20 | 4 | 8 | 49:28 | 64 |
| მეცი | 32 | 18 | 8 | 6 | 46:28 | 62 |
| მარსელი | 32 | 16 | 7 | 9 | 46:26 | 55 |
| მონაკო | 32 | 16 | 5 | 11 | 44:30 | 53 |
| ბორდო | 32 | 14 | 11 | 7 | 46:36 | 53 |
| პსჟ | 32 | 14 | 8 | 10 | 41:31 | 50 |
| ლიონი | 32 | 15 | 5 | 12 | 37:36 | 50 |
| ოსერი | 32 | 14 | 7 | 11 | 53:43 | 49 |
| ბასტია | 32 | 12 | 11 | 9 | 33:25 | 47 |
| ლე ავრი | 32 | 9 | 13 | 10 | 35:33 | 40 |
| ნანტი | 32 | 11 | 7 | 14 | 33:38 | 40 |
| მონპელიე | 32 | 10 | 10 | 12 | 31:38 | 40 |
| ტულუზი | 32 | 9 | 9 | 14 | 25:44 | 36 |
| სტრასბური | 32 | 8 | 9 | 15 | 36:43 | 33 |
| გინგამი | 32 | 8 | 8 | 16 | 26:38 | 32 |
| რენი | 32 | 8 | 8 | 16 | 34:47 | 32 |
| კანი | 32 | 7 | 7 | 18 | 31:54 | 28 |
| შატორუ | 32 | 7 | 7 | 18 | 29:57 | 28 |

## ესპანეთი

XXXIV ტური

**ბარსელონა 1:0 სარაგოსა**
1:0 ჯოვანი (77)

**ვალენსია 3:2 სოსიედადი**
1:0 ანგულო (21), 1:1 ლორენი (32), 2:1 ანგულო (68), 3:1 ილიე (76), 3:2 კრაიოვეანუ (823)

**დეპორტივო 1:0 სალამანკა**
1:0 ბასირი (59)

**სპორტინგი 2:3 ატლეტიკო**
1:0 კანო (41), 2:0 ტროტა (44), 2:1 პაუნოვიჩი (55), 2:2 ვიერი (64), 2:3 პაუნოვიჩი (70)

**ტენერიფე 3:1 ბეტისი**
0:1 იარნი (29), 1:1 იოკანოვიჩი (45), 2:1 მაკაი (65), 3:1 პინილია (90)

**მალიორკა 2:2 ესპანიოლი**
1:0 ესკუერო (50), 1:1 ესნაიდერი (56), 2:1 სტანკოვიჩი (65), 2:2 ესნაიდერი (90)

**რასინგი 2:0 მერიდა**
1:0 ბესჩასტნიხი (2), 2:0 არპონი(88)

**რეალი 5:1 ოვიედო**
1:0 მორიენტესი (15), 2:0 რაული (40), 3:0 სანჩისი (53), 3:1 დელი ვალდესი (65), 4:1 მორიენტესი (75), 5:1 რაული (85)

**ვალიადოლიდი 0:0 სელტა**

**ბილბაო 2:0 კომპოსტელა**
1:0 ეჩებერია (65), 2:0 გერერო (90)

# გაუმარჯოს კატალონიას!

„ბარსელონამ“ „რეალ სარაგოსასთან“ 1:0 გამარჯვებით პირველობის დამთავრებამდე ოთხი თამაშით ადრე მოიპოვა ესპანეთის ჩემპიონის ტიტული.

თითქოს წესია, გამარჯვებული არ უნდა გაასამართლო, მაგრამ კატალონიურმა გუნდმა მილოცვებთან ერთად ბევრი ეჭვიანი მზერაც მიიღო. ამბობენ, ესპანეთს ასეთი უცნაური ჩემპიონი წლებია, რაც არ ჰყოლიაო. „ბარსელონას“ ჰოლანდიელი მწვრთნელი ლუის ვან გაალიც მთელი სეზონის განმავლობაში კრიტიკის ობიექტად იყო ქცეული. მას ხშირად წაგებისთვის კი არა, უმარილოდ მოგებისთვისაც შოლტავდნენ.

„ჩემპიონის ტიტულს ვუძღვნით ყველას, ვინც მხარს გვიჭერდა, უფრო კი მათ, უმძიმეს წუთებში რომ იდგნენ ჩვენს გვერდით“ — თქვა ერთ-ერთმა წამყვანმა ფეხბურთელმა ლუის ენრიკემ.

მართლაც, მძიმე წუთები კატალონიელებს არ აკლდათ. „კამპ ნოუს“ მომთხოვნი პუბლიკა, როგორც გითხარით, ხშირად გამარჯვებითაც არ იყო კმაყოფილი.

„დაუჯერებელია, ხალხი გვისტვენს, არადა ლიდერები ვართ“ — თქვა ვან გაალმა ოქტომბერში, „ტენერიფესთან“ მოგების შემდეგ.

მაგრამ „ბარსელონა“ უკმაყოფილო გულშემატკივართა აზრით ესპანეთის პირველობაზე ცუდი თამაშითაც რომ ახერხებდა წარმატების მიღწევას, ევროპაში ვერას ხდებოდა.

ნოემბრის დასაწყისში „ბარსელონამ“ კიევის „დინამოსგან“ უსასტიკესი მარცხი იწვნია. მაშინ ყველას ეგონა, ვან




ალლუმი ბარსელონის ქუჩებში

გაალის კატალონიური დღეები დათვლილიაო, მაგრამ ჰოლანდიელს მადრიდის „რეალის“ ძლევამ (3:2) უშველა.

უცნაური თვე გამოდგა იანვარიც. „სალამანკასთან“, სტუმრად „ბარსა“ 3:1-ს იგებდა. წარმატება კი ვერ შეინარჩუნა: შეხვედრის ბოლო 11 წუთში სამი გოლი გაუშვა და 3:4 წააგო. ამ ამბიდან ექვსი დღის შემდეგ, „სოსიედადთან“ იგებდა 2:0-ს, მაგრამ ბოლო 6 წუთში 2:2 გახდა — ლამის განაღდებული გამარჯვება თვალსა და ხელს შუა გაქრა. და შემდეგ უარესი მოხდა: „ვალენსიასთან“, მეორე ტაიმის შუაში 3:0 იყო მომავალ ჩემპიონთა სასარგებლოდ... მატჩი კი 3:4 დასრულდა.

ვან გაალი ჯიუტად აცხადებდა, გუნდი თამაშს აუმჯობესებსო. ქომაგებს მისი სიტყვა ჭკუაზე შლიდა.

შემდეგ რივალდო ათამაშდა და „ბარსამ“ „რეალ სარაგოსას“ თასზე 5:2 მოუგო. რივალდო — „დეპორტივო ლა კორუნიადან“ რონალდოს შემცვლელად გადაყვანილი ბრაზილიელი, ფორმაში მას მერე შევიდა, რაც ვან გაალმა ფრთიდან ცენტრში შეიყვანა.

მარტის დასაწყისში რივალდოს დიდი ხელშეწყობით „ბარსელონა“, „რეალს“ 3:0-ს უგებს.

„როგორც იქნა დადგა დღე, როდესაც მე შესვენებისას ფეხბურთელებისთვის ჭკუის დარიგება არ დამჭირდა“ — თქვა ვან გაალმა.

იმ დღეს ვან გაალის „ბარსელონა“ ვან გაალის „აიაქსს“ ჰგავდა, იმას, 1995 წელს ჩემპიონთა ლიგაში „რეალს“ რომ აჯობა. მთავარ მეტოქესთან გამარჯვებამ კატალონიელებს ახალი სული შთაბერა, გუნდმა მომდევნო ცხრა შეხვედრაში 24 ქულა მოიპოვა, მადრიდელებმა კი რვა მატჩში სულ 9 ქულა მოახერხეს.

მაშ ასე, რივალდო ათამაშდა და საქმე კარგად წავიდა, მაგრამ იმ კაცის არ ხსენება, მთელი სეზონის განმავლობაში მოწინააღმდეგეთა კარებს რომ სეტყვავდა, დიდი შეცდომა იქნებოდა. ლუის ენრიკემ მადრიდის „რეალში“ ხუთი წელიწადი მცველად გაატარა, „ბარსაში“ კი ბომბარდირად იქცა.

აი, ხოსეპ გვარდიოლას სეზონი ჩაუვარდა, ტრავმებმა გაამწარეს ნიჭიერი ნახევარმცველი. მის შემცვლელად ვან გაალმა ალბერტ სელადესი იგულა.

ტრავმამ გააწამა პორტუგალიელი მეკარე ვიტორ ბაიაც. მის მაგივრად ჰოლანდიელი მწვრთნელი თანამემამულე რუუდ ჰესპს ათამაშებდა. ჰესპმა გაამართლა.

ჰესპი...„როდადან“ ესპანეთში ჩაყვანილმა გოლკიპერმა „კამპ ნოუს“ გული დაიპყრო. მან რამდენიმე თამაშში მთავარი როლიც ითამაშა...

რაკილა სიტყვა ჰოლანდიელებზე ჩამოვარდა, მცველები, უინსტონ ბოგარდი და მიხაელ რაიციგერიც ვახსენოთ. ამ წყვილს აშკარად მოეცარა ხელი, ისინი ცუდ ფორმაში იყვნენ.

დავუბრუნდეთ ვან გაალს. შაბათს, „სარაგოსას“ ძლევისა და ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შემდეგ, პრეს-კონფერენციაზე მას ჰკითხეს რად არ ილიმებითო.

„დღეს არ მაქვს ემოციის გამოხატვის საშუალება“ — იყო პასუხი — „ჟურნალისტები მეკითხებიან, მე კი პასუხი ესპანურად უნდა გავცე, ამისათვის დაფიქრება და აზრთა დაწყობა მჭირდება. ამიტომაც ვერ გამოვხატავ გრძნობებს“.

ვან გაალმა ესპანეთში ჩასვლის წინ პირობა დადო, ენას ვისწავლიო, მაგრამ ჯერაც თარჯიმანი სჭირდება. თუმცა კვირას, ზეიმზე გასაოცარი რამ მოხდა. ჰოლანდიელმა მწვრთნელმა ქომაგებს კატალონიურად მიმართა.

„გაუმარჯოს ბარსას! გაუმარჯოს კატალონიას!“ — თქვა ვან გაალმა.

პასუხად გულშემატკივრებმა „იუვეიუვეს“ ყვირილი მორთეს. კატალონიაში სურთ მადრიდის „რეალს“ ჩემპიონთა თასის ფინალში ტურინის „იუვენტუსმა“ კუდით ქვა ასროლინოს.

შემდეგ გაიმართა ალლუმი. ხალხში ვან გაალიც ჩადგა. „ბარსელონას“ რამდენიმე მოთამაშემ თმა კლუბის დროშის ფერებად შეიღება.

მაგრამ ვან გაალი, ვან გაალია. გაირკვა, რომ ალლუმამდე ჰოლანდიელს ვარცხნილობა არ შეუცვლია... 

მაგრამ ვან გაალი, ვან გაალია. გაირკვა, რომ ალლუმამდე ჰოლანდიელს ვარჯიში ჩაუტარებია.

ზეიმობდა კატალონია, თუმცა თავი არც „რეალს“ ჩაუქინდრავს. ჩემპიონთა თასის ფინალისტმა 5:1 მოუგო „ოვიედოს“. საყოველთაო აზრით ეს „სამეფო გუნდის“ საუკეთესო თამაში გახლდათ ამ სეზონში.

„ძალიან დიდი ხნის განმავლობაში გოლი ვერ გამქონდა. ახლა გავიტანე და სიამაყეს ვგრძნობ. ახლა გუნდი გაცილებით ცოცხლადაა“ — თქვა მადრიდელთა თავდამსხმელმა რაულმა.

რაულმა „ოვიედოს“ ორი გოლი გაუტანა. ამათგან ერთი რობერტო კარლოსის საუცხოო გარღვევას მოჰყვა.

„რაული ძალიან აქტიურობდა, შემართებული გახლდათ ისევე, როგორც დორტმუნდში, ჩემპიონთა თასის ნახევარფინალური შეხვედრის დღეს. მან ორი საუცხოო გოლი გაიტანა“ — აღნიშნა მადრიდელთა გერმანელმა თავკაცმა იუპ ჰაინკესმა.

თავდამსხმელს საუკეთესო სეზონი არ ჰქონდა, მაგრამ არც მონდომება დაუკლია და ახლა, ჩემპიონთა თასის ფინალის წინ ისე ათამაშდა, რომ იტალიურმა პრესამ მის გუნდს „რაულ მადრიდი“ შეარქვა.

რაულს საზარდული ტკიოდა და პრესა აკრიტიკებდა. ამბობდნენ, ღამის კლუბებში ძალიან მოუხშირა სიარულსო. ახლა სხვა საქმეა. თავად ხომ გოლები გაიტანა და ფერნანდო მორიენტესსაც საუცხოოდ აუბა მხარი.

„რაულს მორიენტესის ჩინებულად ესმის“ — განაცხადა ჰაინკესმა.

„ვიცით, რაც შეიძლება მალე უნდა გავინაღდოთ მეორე ადგილი, რათა 20 მაისს, ამსტერდამში, ჩემპიონთა თასის ფინალს დამშვიდებულნი შევხვდეთ“ — დასძინა მწვრთნელმა, რომლის გუნდსაც „მალიორკასთან“, „რეალ სოსიედადთან“ და „რეალს ბეტისთან“ დარჩა სათამაშო. ალბათ „ბეტისთან“ მატჩს აზრი მართლაც აღარ ექნება.

**პაპუნა ძედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 34 | 23 | 4 | 7 | 73:43 | 73 |
| რეალი | 34 | 16 | 11 | 7 | 60:40 | 59 |
| ბილბაო | 34 | 15 | 12 | 7 | 47:41 | 57 |
| მალიორკა | 34 | 15 | 11 | 8 | 51:34 | 56 |
| სოსიედადი | 34 | 14 | 13 | 7 | 55:35 | 55 |
| სელტა | 34 | 16 | 7 | 11 | 47:40 | 55 |
| ატლეტიკო | 34 | 14 | 11 | 9 | 70:50 | 53 |
| ბეტისი | 34 | 15 | 8 | 11 | 44:45 | 53 |
| ვალენსია | 34 | 15 | 6 | 13 | 51:43 | 51 |
| ესპანიოლი | 34 | 11 | 14 | 9 | 41:29 | 47 |
| დეპორტივო | 34 | 11 | 12 | 11 | 37:37 | 45 |
| ვალიადოლიდი | 34 | 12 | 8 | 14 | 35:47 | 44 |
| რასინგი | 34 | 11 | 8 | 15 | 43:51 | 41 |
| სარაგოსა | 34 | 10 | 11 | 13 | 41:52 | 41 |
| სალამანკა | 34 | 10 | 8 | 16 | 37:42 | 38 |
| ოვიედო | 34 | 8 | 13 | 13 | 33:45 | 37 |
| ტენერიფე | 34 | 9 | 10 | 15 | 36:52 | 37 |
| მერიდა | 34 | 9 | 9 | 16 | 31:49 | 36 |
| კომპოსტელა | 34 | 8 | 10 | 16 | 43:60 | 34 |
| სპორტინგი | 34 | 2 | 6 | 26 | 29:69 | 12 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| კრისტიან ვიერი (ატლეტიკო) | 22 |
| ლუის ენრიკე (ბარსელონა) | 18 |
| რივალდო (ბარსელონა) | 18 |
| დარკო კოვაჩევიჩი (სოსიედადი) | 16 |
| ფერნანდო კორეა (რასინგი) | 14 |
| ლუბო პენევი (კომპოსტელა) | 14 |

### მეორე დივიზიონი

38 ტური. ხაენი — ორენსე 1:1; სერესი — ლეიდა 1:3; ელჩე — ლას პალმასი 0:1; ესტრემადურა — ეიბარი 1:0; ბადახოსი — ალბასეტე 0:0; ლოგრონიესი — ტოლედო 1:2; სევილია — ვილიარეალი 0:0; ატლეტიკო — რაიო 1:1; ლეგანესი — ერკულესი 2:1; ალავესი — ოსასუნა 1:0; ლევანტე — ნუმანსია 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალავესი | 38 | 22 | 9 | 7 | 46:22 | 75 |
| ესტრემადურა | 38 | 21 | 9 | 8 | 53:34 | 72 |
| ლას პალმასი | 38 | 18 | 15 | 5 | 68:40 | 69 |
| ვილიარეალი | 38 | 16 | 15 | 7 | 44:35 | 63 |
| ბადახოსი | 38 | 14 | 15 | 9 | 44:32 | 57 |
| სევილია | 38 | 16 | 9 | 13 | 43:41 | 57 |
| ლეიდა | 38 | 15 | 9 | 14 | 45:43 | 54 |
| ლეგანესი | 38 | 13 | 14 | 11 | 43:46 | 53 |
| ატლეტიკო | 38 | 14 | 10 | 14 | 58:46 | 52 |
| ეიბარი | 38 | 13 | 13 | 12 | 32:27 | 52 |
| ერკულესი | 38 | 14 | 10 | 14 | 45:42 | 52 |
| რაიო | 38 | 14 | 9 | 15 | 44:44 | 51 |
| ტოლედო | 38 | 12 | 14 | 12 | 38:41 | 50 |
| ოსასუნა | 38 | 13 | 10 | 15 | 35:37 | 49 |
| ორენსე | 38 | 12 | 12 | 14 | 34:39 | 48 |
| ალბასეტე | 38 | 12 | 10 | 16 | 37:48 | 46 |
| ელჩე | 38 | 10 | 11 | 17 | 41:50 | 41 |
| ნუმანსია | 38 | 9 | 14 | 15 | 28:46 | 41 |
| ლოგრონიესი | 38 | 8 | 15 | 15 | 31:40 | 39 |
| ხაენი | 38 | 7 | 16 | 15 | 30:47 | 37 |
| სერესი | 38 | 7 | 13 | 18 | 20:41 | 34 |
| ლევანტე | 38 | 7 | 10 | 21 | 35:53 | 31 |

## ჰოლანდია

**მაასტრიხტი 1:4 სიტარდი**
0:1 იენსენი (18ს.კ), 0:2 ჰამინკი (47), 1:2 ბოუმა (49), 1:3 ჰამინკი (61), 1:4 სიმონსი (88)

**ეინდჰოვენი 10:0 ვოლენდამი**
1:0 მიოლერი (7), 2:0 ზენდენი (28), 3:0 ნილისი (43), 4:0 მიოლერი (56), 5:0 ბრუგინკი (68), 6:0, 7:0 კლაუდიო (79, 82), 8:0 ფაბერი (85), 9:0 ზენდენი (88), 10:0 კოკუ (90

**ტილბურგი 5:2 ჰერენვენი**
1:0 ვინპარდი (11), 2:0 არტსი (30), 2:1 ვან ნისტელროი (56), 3:1, 4:1 სანუ (63, 69), 4:2 გუსატუ (87), 5:2 არტსი (903)

**სპარტა 1:0 ნაიმეგენი**
1:0 დუნენი (85)

**ბრედა 1:3 ფეიენორდი**
0:1 კალოუ (38), 1:1 ბოგდანოვიჩი (57), 1:2 კრუზი (69), 1:3 კალოუ (78)

**უტრეხტი 0:0 გრააფსხაპი**

**გრონინგენი 2:4 აიაქსი**
0:1 ლიტმანენი (15), 0:2, 0:3, 0:4 ბრონდსი (35, 43, 65), 1:4 პუიზინგი (71), 2:4 პაგნო (80)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აიაქსი | 30 | 27 | 2 | 1 | 97:16 | 83 |
| ეინდჰოვენი | 30 | 19 | 8 | 3 | 84:35 | 65 |
| ვიტესი | 30 | 17 | 7 | 6 | 75:45 | 58 |
| ფეიენოორდი | 30 | 17 | 6 | 7 | 57:33 | 57 |
| ტილბურგი | 30 | 15 | 4 | 11 | 56:47 | 49 |
| ჰერენვენი | 29 | 14 | 6 | 9 | 48:48 | 48 |
| სიტარდი | 30 | 13 | 5 | 12 | 44:47 | 44 |
| სპარტა | 31 | 10 | 10 | 11 | 49:53 | 40 |
| ბრედა | 30 | 11 | 6 | 13 | 35:39 | 39 |
| უტრეხტი | 30 | 11 | 4 | 15 | 52:60 | 37 |
| გრააფსხაპი | 31 | 9 | 9 | 13 | 40:39 | 36 |
| ტვენტე | 30 | 9 | 9 | 12 | 33:38 | 36 |
| ნაიმეგენი | 31 | 11 | 2 | 18 | 35:57 | 35 |
| როდა | 30 | 8 | 8 | 14 | 37:40 | 32 |
| ვალვაიკი | 31 | 8 | 6 | 17 | 44:63 | 30 |
| გრონინგენი | 31 | 6 | 10 | 15 | 38:57 | 28 |
| მაასტრიხტი | 31 | 8 | 4 | 19 | 31:70 | 28 |
| ვოლენდამი | 31 | 4 | 6 | 21 | 27:95 | 18 |




აიაქსი ჰოლანდიის ჩემპიონია!

## ლატვია

1-ლი ტური. რანტო — სკონტო 3:3; უნივერსიტატე — ვენტსპილსი 1:1; რეზეკნე — მეტალურგსი 2:3; ვალმიერა — დინაბურგი 0:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინაბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| მეტალურგსი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| სკონტო | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 1 |
| რანტო | 1 | 0 | 1 | 0 | 3:3 | 1 |
| დაუგავა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ვენსპილსი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| რეზეკნე | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ვალმიერა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |

## ბელგია

30-ე ტური. ვესტერლო — ლოკერენი 3:3; ბევერენი — მუსკრონი 1:1; ლიერსი — გენტი 1:2; ჰარელბეკი — შარლერუა 0:0; ანტვერპენი — სტანდარდი 3:5; სენტ ტრუიდენი — ანდერლეხტი 1:1; ბრიუგე — ეკერენი 1:3; მოლენბეკი — გენკი 1:1; ლომელი — აალსტი 2:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრიუგე | 30 | 23 | 5 | 2 | 66:27 | 74 |
| გენკი | 30 | 19 | 6 | 5 | 62:31 | 63 |
| ეკერენი | 30 | 16 | 6 | 8 | 55:41 | 54 |
| ანდერლეხტი | 30 | 14 | 8 | 8 | 49:34 | 50 |
| ჰარელბეკი | 30 | 13 | 10 | 7 | 45:28 | 49 |
| ლოკერენი | 30 | 14 | 4 | 12 | 61:60 | 46 |
| ლიერსი | 30 | 12 | 7 | 11 | 47:40 | 43 |
| გენტი | 30 | 9 | 13 | 8 | 41:38 | 40 |
| ლომელი | 30 | 10 | 8 | 12 | 44:46 | 38 |
| სტანდარდი | 30 | 9 | 10 | 11 | 44:43 | 37 |
| ვესტერლო | 30 | 8 | 12 | 10 | 45:50 | 36 |
| სტ ტრუიდენი | 30 | 8 | 11 | 11 | 27:33 | 35 |
| აალსტი | 30 | 8 | 9 | 13 | 44:55 | 33 |
| შარლერუა | 30 | 8 | 9 | 13 | 40:53 | 33 |
| მუსკრონი | 30 | 8 | 8 | 14 | 32:42 | 32 |
| ბევერენი | 30 | 6 | 9 | 15 | 26:46 | 27 |
| მოლენბეკი | 30 | 6 | 6 | 18 | 31:67 | 24 |
| ანტვერპენი | 30 | 5 | 7 | 18 | 33:58 | 22 |

## პორტუგალია

30-ე ტური. სპორტინგი — სეტუბალი 2:1; ბოავიშტა — ვარზიმი 2:0; გიმარაეში — პორტუ 0:1; სალგეირუში — ბელენენსეში 1:1; ბენფიკა — მარიტიმუ 3:1; შავეში — ამადორა 2:0; რიუ ავე — აკადემიკა 3:0; ფარენსე — ლეცა 1:1; ბრაგა — კამპომაიორენსე 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუ | 30 | 22 | 5 | 3 | 63:28 | 71 |
| ბენფიკა | 30 | 18 | 7 | 5 | 52:26 | 61 |
| სპორტინგი | 30 | 14 | 9 | 7 | 41:28 | 51 |
| ბოავიშტა | 30 | 13 | 10 | 7 | 44:26 | 49 |
| გიმარაეში | 30 | 14 | 7 | 9 | 36:22 | 49 |
| ამადორა | 30 | 13 | 8 | 9 | 39:34 | 47 |
| მარიტიმუ | 30 | 13 | 8 | 9 | 34:29 | 47 |
| რიუ ავე | 30 | 11 | 9 | 10 | 37:34 | 42 |
| სალგეირუში | 30 | 10 | 10 | 10 | 37:34 | 40 |
| ლეცა | 30 | 10 | 7 | 13 | 28:41 | 37 |
| ბრაგა | 30 | 8 | 12 | 10 | 38:42 | 36 |
| სეტუბალი | 30 | 9 | 7 | 14 | 31:36 | 34 |
| კამპომაიორ. | 30 | 9 | 7 | 14 | 44:51 | 34 |
| ფარენსე | 30 | 6 | 13 | 11 | 36:44 | 31 |
| აკადემიკა | 30 | 7 | 10 | 13 | 23:37 | 31 |
| ვარზიმი | 30 | 6 | 10 | 14 | 25:43 | 28 |
| შავეში | 30 | 7 | 4 | 19 | 27:54 | 25 |
| ბელენენსეში | 30 | 4 | 9 | 17 | 19:45 | 21 |

## ალბანეთი

35-ე ტური ფლამურტალი — აპოლონია 0:1; დინამო — სოპოტი 2:0; ლაჩი — ტეუტა 4:1; პარტიზანი — ტირანა 0:0; ვლაჟნია — ბესა 1:0; ალბპეტროლი — ტომორი 1:3; ელბასანი — შკუმბინი 1:0; ლუშნია — სკენდერბუ 3:1; შკიპონია — ბილიში 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ვლაჟნია | 35 | 19 | 4 | 4 | 32:19 | 61 |
| ტირანა | 27 | 15 | 8 | 4 | 41:15 | 53 |
| პარტიზანი | 27 | 17 | 2 | 8 | 47:17 | 53 |
| ლაჩი | 27 | 14 | 2 | 11 | 39:29 | 44 |
| ტეუტა | 27 | 14 | 2 | 11 | 28:27 | 44 |
| აპოლონია | 27 | 12 | 7 | 8 | 31:23 | 43 |
| შკუმბინი | 27 | 13 | 3 | 11 | 44:33 | 42 |
| ელბასანი | 27 | 12 | 3 | 12 | 34:21 | 39 |
| ბილიში | 27 | 10 | 1 | 11 | 33:27 | 36 |
| ლუშნია | 27 | 10 | 5 | 12 | 40:32 | 35 |
| სკენდერბუ | 27 | 10 | 5 | 12 | 29:37 | 35 |
| ტომორი | 27 | 11 | 2 | 14 | 28:39 | 35 |
| ფლამურტალი | 27 | 9 | 7 | 11 | 31:35 | 34 |
| დინამო | 27 | 8 | 8 | 11 | 24:28 | 32 |
| შკიპონია | 27 | 9 | 3 | 15 | 27:48 | 30 |
| ბესა | 27 | 8 | 5 | 14 | 34:43 | 29 |
| სოპოტი | 27 | 8 | 4 | 15 | 28:49 | 28 |
| ალბპეტროლი | 27 | 4 | 4 | 19 | 16:69 | 16 |

## ავსტრია

30-ე ტური. ადმირა — ლინცერი 0:3; აუსტრია — ლუსტენაუ 1:1; გრაცერი — რაპიდი 0:1; რიდი — შტურმი 1:4; ზალცბურგი — ტიროლი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შტურმი | 30 | 22 | 7 | 1 | 73:21 | 73 |
| რაპიდი | 30 | 14 | 7 | 9 | 33:34 | 49 |
| გრაცი | 30 | 14 | 6 | 10 | 42:28 | 48 |
| ლინცი | 30 | 14 | 4 | 12 | 54:44 | 46 |
| ტიროლი | 30 | 10 | 10 | 10 | 40:42 | 40 |
| ზალცბურგი | 30 | 10 | 8 | 12 | 36:32 | 38 |
| აუსტრია | 30 | 10 | 8 | 12 | 36:44 | 38 |
| რიდი | 30 | 9 | 7 | 14 | 33:45 | 34 |
| ლუსტენაუ | 30 | 5 | 12 | 13 | 29:46 | 27 |
| ადმირა ვაკერი | 30 | 5 | 5 | 20 | 31:71 | 20 |

## რუსეთი

მე-4 ტური. როტორი — ზენიტი 2:1; შინიკი — ჩერნომორეცი 0:0; ბალტიკა — ურალანი 1:1; ტიუმენი — ალანია 0:2; სპარტაკი — ქემჩუჟინა 1:1; ცსკა — დინამო 1:1; ტორპედო — ლოკომოტივი 0:0; როსტსელმაში — კრილია სოვეტოვი 3:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალანია | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 10 |
| როტორი | 4 | 2 | 2 | 0 | 11:6 | 8 |
| როსტსელმაში | 4 | 2 | 2 | 0 | 8:3 | 8 |
| ზენიტი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| ჩერნომორეცი | 4 | 1 | 3 | 0 | 5:4 | 6 |
| ბალტიკა | 4 | 1 | 2 | 1 | 4:5 | 5 |
| შინიკი | 4 | 1 | 2 | 1 | 3:6 | 5 |
| ლოკომოტივი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| სპარტაკი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 4 |
| კრილია | 4 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 4 |
| ურალანი | 4 | 1 | 1 | 2 | 3:5 | 4 |
| ტიუმენი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:6 | 4 |
| ცსკა | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| ტორპედო | 4 | 0 | 2 | 2 | 3:5 | 2 |
| დინამო | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| ქემჩუჟინა | 4 | 0 | 2 | 2 | 2:5 | 2 |

# ტურინში შეხვედრამდე

## იტალია

### XXX ტური

### ემპოლი 0:1 იუვენტუსი

ემპოლი: როკატი, ფუსკო, ბალდინი (ბეტელა 79), ბიანკონი, ამეტრანო (ტონეტო 74), პანჩ ფიკინი, ლუჩენტი, ფლორიანჩიჩი (კაპელინი 74), ესპოზიტო, ბონომი

იუვენტუსი: პერუცი, ბირინდელი, ტაკინარდი, იულიანო, დი ლივიო, დეშამპი (პეკია 60), დავიდსი, პესოტო, ამორუზო (ზალაიეტა 68), ზიდანი (კონტე 60), დელ პიერო

0:1 პეკია (70)

გაფრთხილება: იულიანო, ბალდინი, ამეტრანო

გაძევება: ტაკინარდი

### ინტერი 2:0 უდინეზე

ინტერი: პალიუკა, ბერგომი, სარტორი, კოლონეზე, ვესტი, მორიერო (ჯორკაეფი 63), კოუ, ზე ელიასი, ძანეტი, რონალდო, სამორანო (კანუ 63)

უდინეზე: ტურჩი, ბერტოტო, კალორი, პიერინი, ბაკინი (პოჯი 80), ჯანიკედა, ვალემი, პინედა, ლოკატელი(ამოროზო 81), ბირჰოფი, იორგენსენი(ჰელვეგი 58).

1:0 ჯორკაეფი (80), 2:0 რონალდო (85)

გაფრთხილება: კალორი, ბერტოტო, ბერგომი, ბაკინი.

გაძევება: ტურჩი

### ლეჩე 0:2 პარმა

ლეჩე: ლორიერი, საკიჩი, ვიალი (ბარონკელი 15), სიპრიენი, როსინი, კოცა, ჯანინი, პიანგარელი, კასალე (კონტიკიო 52), ატიელკინი (იანუცი 52), პალმიერი

პარმა: ბუფონი, ბენარივო, ტურამი, კანავარო, აპოლონი, კრიპა, დ.ბაჯო, სენსინი, ბლომკვისტი (ჯუნტი 77, ადაილტონი 87), კიეზა, კრესპო (ფიორე 58)

0:1 კასალე (39ს.კ.), 0:2 ადაილტონი (90)

გაფრთხილება: კანავარო, კონტიკიო

### ატალანტა 1:0 ფიორენტინა

ატალანტა: ფონტანა, კარერა, მირკოვიჩი, რუსტიკო, ბოსელი, კარბონე (ძენონი 43), სგრო, გალო, ბონაჩინა, როსინი (ლუკარელი 56), მაგალიანესი (დუნდიერსკი88)

ფიორენტინა: ტოლდო, ტაროცი, ფალკონე, პადალინო, კანჩელსკისი (ამორუზო 65), კოისი, შვარცი, ბეტარინი (რობიატი 71), ედმუნდო, ბატისტუტა, ოლივეირა

1:0 ბოსელი (59)

გაფრთხილება: კოისი, კარბონე, კარერა, გალო, პადალინო, სგრო

### ვიჩენცა 2:1 ლაციო

ვიჩენცა: ბრივიო, მენდესი, ბელოტი, დიკარა, სტოვინი, ბეგეტო, სკენარდი (ვივიანი 71), დი კარლო, ამბროზინი, ძაული (ფირმანი 81), ლუიზო (ამბროზეტი 90)

ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ლოპესი, ნესტა (მარკოლინი 71), გრანდონი, ფუზერი, იუგოვიჩი, ვენტურინი, გოტარდი (რამბაუდი 46), კაზირაგი, მანჩინი

1:0 ძაული (27), 1:1 მანჩინი (47), 2:1 ლუიზო (54)

გაფრთხილება: დი კარლო, ფუზერი, იუგოვიჩი, ნესტა, ნეგრო, მენდესი, ფირმანი, სკენარდი

### რომა 5:0 ბრეშა

რომა: კონსელი, კაფუ (პივოტო 86), ზაგო, ალდაირი, კანდელა, ტომაზი (თეთრაძე 79), დი ბიაჯო (შელგუერა 79), დი ფრანჩესკო, პაულო სერჯიო, დელ ვეკიო, ტოტი

ბრეშა: ჩერვონე, ადანი (იავორჩიჩი 46), ბია, კორადო, კოზმინსკი, ა.ფილიპინი, ე. ფილიპინი, დე პაოლა, ბანინი (დონი 71), პირლო (ნერი 46), უბნერი

1:0 დი ბიაჯო (25), 2:0 პაულო სერჯიო (32), 3:0 ტოტი (54), 4:0 პაულო სერჯიო (67), 5:0 დი ბიაჯო (70)

გაფრთხილება: ჩერვონე, კორადო

### პიაჩენცა 0:1 ბარი

პიაჩენცა: სერენი, მაცოლა, დელი კარი, ვერხოვოდი, ვალოტი(ვალტოლინა 58), ბუზო, ბორდინი, შიენცა, პიოვანელი (სტროპა 46), დიონიჯი (რასტელი 46), მურჯიტა

ბარი: მანჩინი, ნექროიზი, დე როსა, სალა, მანიგეტი, ძამბროტა (გარსია 56), ვოლპი (მარკოლინი 68), ინგესონი, დე ასკენტისი, მასინგა, გერერო (დოლი 80)

0:1 მასინგა (24)

გაფრთხილება: ნექროიზი, შიენცა, დელი კარი, სალა, ვოლპი, მანიგეტი

### ნაპოლი 0:2 სამპდორია

ნაპოლი: ტალიალატელა, აიალა, კრასონი (სკარლატო 51), პანარელი, მალაფრონტე, ბალდინი, ტურინი, გორეტი, ასანოვიჩი, სტოიაკი (ბრუნო 56), ბელუჩი

სამპდორია: ფერონი, ჰუგო (ნავა 60), კასტელინი, მანინი, ლაილი, ვერგასოლა (სუარეში 70), ბოგოსიანი, პეზარეზი, ბალერი, ვერონი (სკარკილი 80), მონტელა

0:1, 0:2 ლაილი (32, 88)

გაფრთხილება: კასტელინი, ჰუგო, ბალერი, ფერონი

### ბოლონია 3:0 მილანი

ბოლონია: სტერკელე, პარამატი, პაგანინი, მანგონე, ნერვო (შალიმოვი 83), მაგონი, მაროკი, ტარანტინო, ბაჯო, ანდერსონი (პაონე 61), კოლივანოვი (ფონტოლანი 46).

მილანი: როსი, დაინო, სმოიე კოსტა- კურტა, მალდინი, ბა (განცი 69), ალბერტინი, დესაი, ლეონარდო (ბობანი 46), ვეა, კლუივერტი (მანიერო 84).

1:0 ბაჯო (60), 2:0 ფონტოლანი (83), 3:0 (95 პ).

გაფრთხილება: ალბერტინი, მაგონი, დესაი, მალდინი.

„სკუდეტოსთვის" ბრძოლა გრძელდება: ფაბიო პეკია და იური ჯორკაეფი მოედანზე შემცვლელებად შევიდნენ და ის გოლები გაიტანეს, „იუვენტუსსა" და „ინტერს" ერთქულიანი სხვაობა რომ შეუნარჩუნეს. დარჩენილია ოთხი ტური, მაგრამ მთავარი თამაში კარსაა მომდგარი. 26 აპრილს ტურინში „იუვენტუსი" „ინტერს" მასპინძლობს.

ჯორკაეფმა მე-80 წუთზე თაური გოლი შეაგდო და „ინტერის" „უდინეზესთან" გამარჯვება (2:0) ეჭვს მიღმა დააყენა. პეკიას გოლი კი გამარჯვებისა იყო — „იუვე" ისევ ცხრილის სათავეშია.

„იუვენტუსის" მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ „ემპოლისთან" შეხვედრის მე-60 წუთზე გაბედული გადაწყვეტილება მიიღო — ცნობილი ფრანგი ნახევარმცველი ზინედინ ზიდანი პეკიათი შეცვალა. ცვლილებამ გაამართლა: ალესიო ტაკინარდის პასს მეორე სათადარიგომ, მარსელო სალაიეტამ თაური მიაშველა. ბურთი პეკიას მიუვიდა და მანაც აუღელვებლად შეაგდო იგი მარკო როკატის კარში.

ექვსი წუთის შემდეგ „ემპოლიმ" იფიქრა ეგ არის და გავქვითე ანგარიშიო. სტეფანო ბიანკონის თაურმა ბურთს ანჯელო პერუცის კარის ხაზი თითქოს გადააკვეთინა, მაგრამ მსაჯმა ანიშნა გოლი არ გასულა, თამაში განაგრძეთო.

ჩემპიონთა თასის ფინალისტს ამის მერეც მოუხდა ნერვიულობა. 81-ე წუთზე მეორე ყვითელი ბარათის გამო მოედნიდან ტაკინარდი გააძევეს და დარჩენილი 9 წუთის განმავლობაში „ემპოლიმ" უპირატესობა მოიპოვა, მაგრამ ვერ გამოიყენა.

დეკემბერში, „უდინეზემ" გერმანელი ოლივერ ბირჰოფის მიერ თამაშის მიწურულს გატანილი გოლით „ინტერს" სეზონში პირველი მარცხი აწვნევინა. ბირჰოფმა გოლის გასატანად „სან სიროზეც" ყველა ღონე იხმარა, მაგრამ მე-13 წუთზე, თაურით დარტყმული ბურთი კარის ხაზიდან უკუაგდეს, 73-ე წუთზე კი ძელმა მოიგერია.

„უდინეზეს" მეკარემ ლუიჯი ტურჩიმ ტარიბო ვესტსა და ზე ელიასს აული ძნელად მოსაგერიებელი დარტყმები. შეიქმნა ისეთი სურათი, თითქოს მილანელები ზედიზედ მეხუთე გამარჯვებას ვერ მოიპოვებდნენ, მაგრამ მოედანზე იური ჯორკაეფი შევიდა და ზე ელიასის კუთხური გოლად გარდასახა.

სამ წუთში მოედნიდან ტურჩი გააძევეს. ეს იმის გამო მოხდა, რომ მან საჯარიმოს გარეთ, რონალდოს შეტევა ხელით ჩაშალა. ამ დროისთვის „უდინეზეს" უკვე ჰყავდა სამი ფეხბურთელი შეცვლილი და გაძევებული მეკარის ნაცვლად ძელებს შუა არგენტინელი ფეხბურთელი ეკტორ პინედა ჩადგა. პინედას სამეკარეო კარიერის პირველი ნაბიჯი რონალდოს დარტყმული ბურთის კარის ბადიდან გამოტანა აღმოჩნდა — ბრაზილიელმა ჯარიმიდან ჩააჩვია.

„ინტერის" მეტოქემ უეფას თასის ფინალში, რომის „ლაციომ", გაისინდელ ჩემპიონთა ლიგაში თამაშის შანსი ფაქტობრივად მოისპო, რადგან „ვიჩენცასთან" სტუმრად 1:2 წააგო. „ვიჩენცა", მოგეხსენებათ, გასულ ხუთშაბათს ლონდონში „ჩელსისთან" დამარცხდა და თასების თასის ფინალში გასვლა ვერ მოახერხა. ამით განაწყენებულს ზედაც სერია A-დან გავარდნის შანსი ერთვებოდა და ამიტომაც იყო „ლაციოსთან" შეხვედრას საგანგებოდ რომ მიუდგა. ანგარიში ვიჩენცელმა ლამბერტო ძაულიმ გახსნა, მაგრამ მეორე ტაიმის საწყის წუთებში რობერტო მანჩინიმ 20 მეტრიდან დარტყმულით გაათანაბრა ანგარიში. მიუხედავად ამისა, რომაელთა გუნდმა, რომელსაც, როგორც ამბობენ, სერია A-ს უძლიერესი დაცვა ჰყავს, კიდევ ერთი გოლი გაუშვა და თამაში წააგო. გოლის ავტორი გახლდათ პასკუალე ლუიზო.

ამასობაში „ლაციოს" თანაქალაქელთანასტადიონელი „რომა" წამოეწია. მან შინ სძლია „ბრეშას" 5:0 და მეორე ადგილზე აბარგდა. ამ შეხვედრაში ორორი გოლი გაიტანეს იტალიის ნაკრებში გამოძახებულმა ლუიჯი დი ბიაჯომ და ბრაზილიის ეროვნული გუნდის მოთამაშემ პაულუ სერჯიომ, მეხუთე კი ფრანჩესკო ტოტიმ შეაგდო.

„სკუადრა აძურას" მწვრთნელს, ჩეზარე მალდინის რობერტო ბაჯომ ბოლონიიდან შეუთვალა ოთხშაბათს, პარაგვაისთან ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად უნდა მოგეწვიეო. არა, ბაჯოს მალდინისთვის არც წერილი მიუწერია და არც სიტყვა უთქვამს, მან „მილანის" კარში სამიდან ორი გოლი შეაგდო. ახლა 1993 წლის ევროპისა და მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელს სეზონში უკვე 16 გოლი აქვს გატანილი, „ბოლონიამ" კი მისი წყალობით 24 წელიწადში პირველად დაამარცხა „მილანი".

„ბარი" გასავარდნთა ზონას ასცდა. მან სამხრეთ აფრიკელი ფილ მასინგას გოლის წყალობით მასავით მოჯახირე „პიაჩენცას" 1:0 მოუგო.

**პაპუნა ძელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუვენტუსი | 30 | 19 | 9 | 2 | 62:25 | 66 |
| ინტერი | 30 | 20 | 5 | 5 | 57:23 | 65 |
| ლაციო | 30 | 16 | 8 | 6 | 50:21 | 56 |
| რომა | 30 | 14 | 10 | 6 | 55:35 | 52 |
| პარმა | 30 | 14 | 10 | 6 | 49:32 | 52 |
| უდინეზე | 30 | 15 | 7 | 8 | 51:36 | 52 |
| ფიორენტინა | 30 | 12 | 12 | 6 | 54:32 | 48 |
| სამპდორია | 30 | 12 | 7 | 11 | 47:50 | 43 |
| მილანი | 30 | 11 | 9 | 10 | 36:35 | 42 |
| ბოლონია | 30 | 10 | 11 | 9 | 46:39 | 41 |
| ვიჩენცა | 30 | 9 | 7 | 14 | 33:55 | 34 |
| ბარი | 30 | 9 | 6 | 15 | 26:40 | 33 |
| ემპოლი | 30 | 8 | 6 | 16 | 39:49 | 30 |
| პიაჩენცა | 30 | 5 | 14 | 11 | 20:34 | 29 |
| ბრეშა | 30 | 7 | 8 | 15 | 38:53 | 29 |
| ატალანტა | 30 | 6 | 10 | 14 | 22:43 | 28 |
| ლეჩე | 30 | 5 | 7 | 18 | 28:63 | 22 |
| ნაპოლი | 30 | 2 | 6 | 22 | 21:69 | 12 |

## სერია B

30-ე ტური. ანკონა — პადოვა 0:0; კიევო — ლუკეზე 3:1; დი სანგრო — პერუჯა 1:1; ფ.ანდრია — კალიარი 1:1; ფოჯა — მონცა 5:1; ჯენოა — ვენეცია 1:0; პესკარა — ტრევიზო 1:0; რავენა — სალერნიტანა 0:0; ტორინო — რეჯინა 2:0; ვენეცია — რეჯანა 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სალერნიტანა | 30 | 16 | 12 | 2 | 52:22 | 60 |
| ვენეცია | 30 | 15 | 9 | 6 | 43:25 | 54 |
| კალიარი | 30 | 13 | 13 | 4 | 42:25 | 52 |
| ტორინო | 30 | 13 | 9 | 8 | 43:35 | 48 |
| ჯენოა | 30 | 12 | 7 | 11 | 46:44 | 43 |
| კიევო | 30 | 11 | 10 | 9 | 34:32 | 43 |
| პერუჯა | 30 | 10 | 12 | 8 | 33:33 | 42 |
| რეჯანა | 30 | 11 | 8 | 11 | 32:28 | 41 |
| რეჯინა | 30 | 10 | 11 | 9 | 27:31 | 41 |
| პესკარა | 30 | 11 | 8 | 11 | 33:38 | 41 |
| ტრევიზო | 30 | 9 | 12 | 9 | 34:35 | 39 |
| ფ. ანდრია | 30 | 9 | 11 | 10 | 33:34 | 38 |
| ვერონა | 30 | 10 | 7 | 13 | 36:31 | 37 |
| ლუკეზე | 30 | 9 | 9 | 12 | 28:37 | 36 |
| მონცა | 30 | 6 | 15 | 9 | 36:43 | 33 |
| რავენა | 30 | 7 | 11 | 12 | 29:33 | 32 |
| ფოჯა | 30 | 7 | 10 | 13 | 37:44 | 31 |
| პადოვა | 30 | 6 | 12 | 12 | 22:36 | 30 |
| ანკონა | 30 | 6 | 11 | 13 | 33:48 | 29 |
| დი სანგრო | 30 | 3 | 15 | 12 | 31:50 | 24 |



REUTERS

ინტერი — უდინეზე. კარატეს ილეთი ჯორკაეფის შესრულებით




სარბიელის არქივიდან

# მალდინი, წამიყვანე ნაკრებში!

წესით, რაც მეტ გოლს გაიტანს რობერტო ბაჯო, მით მეტი შანსი ექნება „სკუადრა აძურასთან" ერთად საფრანგეთს გაეშუროს.

როგორც იცით, იტალიელ ტიფოზთა კერპი ნაკრების მწვრთნელმა ჩეზარე მალდინიმ კვლავ არ გამოიძახა ამხანაგური მატჩის სათამაშოდ. მატჩი კი ხვალ, პარმაში გაიმართება, იტალია პარაგვაის შეხვდება.

სამაგიეროდ, ბაჯომ კვირას, სერია A-ს პირველობის მორიგ ტურში თავის ყოფილ გუნდს, „მილანს" ორი გოლი გაუტანა. „ბოლონიამ" შავ-წითლებს 3:0 მოუგო.

ერთი გოლი რობერტომ ახლოდან შეაგდო, მეორე — პენალტით. პენალტებს ის ჩინებულად არტყამს, ამ სეზონში ცხრა დაარტყა და ცხრავე ბადეში შეაგდო. არადა, ბაჯოსა და პენალტის ხსენებაზე არაა გასაკვირი, მავანს 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი გაახსენდეს. მაშინ იტალიური ფეხბურთის ვარსკვლავმა გადამწყვეტი დარტყმა ააცილა და მსოფლიოს თასი ბრაზილიელებს დაულოცა.

დღეს ბაჯოს 16 გოლი აქვს გატანილი.

„მინდოდა ამ სეზონში 20 გამეტანა. ისე კი დათქმა არაფრისა მიყვარს. ვერ გეტყვით, ეს გოლები საკმარისია თუ არა იმისათვის, რომ მწვრთნელმა ნაკრებში გამომიძახოს და მსოფლიოს ჩემპიონატზე წამიყვანოს, მაგრამ მე ცდას არ დავაკლებ" — თქვა რობერტომ.

„ბოლონიასა" და „მილანის" თამაშს მალდინის ერთ-ერთი მზვერავი ესწრებოდა. ნუთუ ბაჯოს კვლავ დაზვერვა და შესწავლა სჭირდება?

ახლა გამოჩნდა, რომ შარშან, ზაფხულზე, იგი სწორად მოიქცა. საფრანგეთში მოხვედრის შანსი „ბოლონიაში" თამაშით უფრო აქვს, ვიდრე „მილანში" სათადარიგოთა სკამზე ჯდომით ექნებოდა.

მისმა ყოფილმა მწვრთნელმა ფაბიო კაპელომ განაცხადა, რომ ბაჯო უბრუნდება იმ დონეს, „მილანში" თამაშისას რომ ჰქონდა, მაგრამ თავად ბაჯომ ასე თქვა:

„მილანში ერთხელაც არ მომეცა შანსი მეჩვენებინა რად ვღირვარ. ამიტომაც მოხარული გახლავართ, სწორი არჩევანი რომ გავაკეთე, „ბოლონიაში" რომ ვარ. გასულ სეზონთან შედარებით გაცილებით უკეთ ვთამაშობ და ეს ნაწილობრივ იმის ბრალია, რომ შარშან კვირადღეთა უმეტესობა სათადარიგოთა სკამზე გავატარე."

ბაჯო მომგებიან მდგომარეობაშია, მას ხალხი და პრესა უჭერს მხარს, კონკურენტს, ჯანფრანკო ძოლას კი „ლონდონის" ჩელსიში ცუდი სეზონი უდგას.

დრო! ესაა ერთადერთი, რაც არ ითმენს. მალდინი საფრანგეთში წასაყვანი 22 მოთამაშის ვინაობას 2 ივნისს დაასახელებს, სტოკჰოლმში შვედებთან ამხანაგური მატჩის შემდეგ, ჩემპიონატზე გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე.

# იაფია თუ ძვირი ლაციო?

ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ იტალიური ფეხბურთის სიახლე, რომაული „ლაციოს" საფონდო ბირჟაზე გატანა, წარმატებით დამთავრდება, მიუხედავად იმისა, რომ კლუბის ზუსტად შეფასება ჯერ ვერ მოხერხდა.




„ლაციოს" მენეჯერთა მიერ გამართულ საგანგებო პრეზენტაციაზე თავმოყრილთა აზრით ძნელი დასადგენია, რამდენად ზუსტად ასახავს ერთი აქციის ფასი რეალურ ფინანსურ მდგომარეობას. აქციის ფასი კი 4500 — 6500 ლირა ანუ 2,50 3,65 დოლარამდე თამაშობს.

„ცოტა გაუგებარია, რა მეთოდით შეაფასეს კლუბი" — განაცხადა ერთ-ერთმა ანალიტიკოსმა, რომელიც პრეზენტაციას ესწრებოდა — „როგორ უნდა მივხვდეთ აქციას იაფად აფასებენ, თუ ძვირად? თუ შეფასებამ არ გაამართლა, ძალიან ცუდ გავლენას იქონიებს სხვა კლუბებზე. მათი საფონდო ბირჟაზე გასვლის საკითხი ერთობ გართულდება."

არადა, სერია A-ში საფონდო ბირჟაზე მოხვედრის მსურველთა რიგი დადგა. მათ შორის არიან „იუვენტუსი", „ვიჩენცა", „ინტერი" და „მილანი".

ვარაუდობენ, რომ აქციათა გაყიდვა „ლაციოს" სალაროს 146 მილიარდ ლირას ანუ 81,6 მილიონ დოლარს მოუტანს. ეს თანხა ვალებსა და ბიზნესის განვითარების საქმეში წავა. პროცესი 27 აპრილს დაიწყება, აქციებს კი ალბათ 6 მაისს გაყიდიან.

ანალიტიკოსთა აზრით განსაკუთრებით ფრთხილად უცხოელები მოიქცევიან. მათთვის აშკარაა, რომ არსებობს გარკვეული რისკი და საგანგებოდ აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ ბოლო სამი წლის განმავლობაში „ლაციომ" მეტი დაკარგა, ვიდრე ერთჯერადი ხერხებით იშოვნა. არც ის ავიწყდებათ, რომ კლუბის პრეზიდენტს სერჯო კრანიოტის, რომელიც მაინც აქციათა უმეტესობის მფლობელად რჩება, კანონთან აქვს რაღაც პრობლემები.

„კრანიოტის იურიდიული სირთულეები მთელ რიგ ორგანიზაციებს გაუჩენს ეჭვს, ღირს კი „ლაციოში" ხანგრძლივი ინტერესის დათესვა?" — განაცხადა ანალიტიკოსმა.

# მისამართი შეეშალათ

## გერმანია

XXXI ტური

**დუისბურგი 2:2 ვოლფსბურგი**

0:1 კოვაჩევიჩი (55), 1:1 კომლიენოვიჩი (73), 2:1 სალუ (79), 2:2 კოვაჩევიჩი (90პ)

**ვერდერი 3:0 კიოლნი**

1:0 ლაბადია (36), 2:0 ფრეი (65), 3:0 ლაბადია (81პ)

**კარლსრუე 0:0 შალკე**

**მიუნხენი 3:1 ჰერტა**

1:0 ბობში (23), 2:0 ვინკლერი (35პ), 2:1 პრეეტცი (53), 3:1 ოაკილი (90)

**არმინია 4:4 ბაიერნი**

1:0 მაასი (31), 1:1 ტარნატი (27), 1:2 ბაბელი (35), 2:2 შტერნკოფი (40), 2:3 ნერლინგერი (45), 3:3 სტრატოსი (74), 4:3 კუფური (83ს.კ.), 4:4 მათეუსი (87)

**ლევერკუზენი 5:0 ჰამბურგი**

1:0 რამელო (13), 2:0 კირსტენი (38), 3:0 მაიერი (63), 4:0 ბაინლიხი (69), 5:0 ჰერტცში (73ს.კ.)

**დორტმუნდი 1:2 გლადბახი**

0:1 პეტერსონი (38), 0:2 ფლიპსენი (42), 1:2 ჟულიო სეზარი (73)

**ჰანზა 2:2 კაიზერი**

1:0 ბარბარესი (1), 1:1 რიშე (20), 2:1 დოვე (46), 2:2 განსაუგე (69ს.კ.)

**შტუტგარტი 2:0 ბოხუმი**

1:0 ბობიჩი (20), 2:0 ბალაკოვი (89პ)

საგარეო ფრემ — 2:2 „ჰანზასთან" „კაიზერსლაუტერნის" ლიდერობა ეჭვქვეშ დააყენა. 69-ე წუთზე გატანილი როსტოკელი ტომას განსაუგეს ავტოგოლმა ლიდერს მხოლოდ ქულა არგუნა. თუმცა, მდევარი „ბაიერნიც" ცხრილის ფსკერზე დამკვიდრებულ „არმინიასთან" ფრეს დასჯერდა. 87-ე წუთზე ვეტერანი ლოთარ მათეუსის დარტყმამ ბუნდესჩემპიონს გვირგვინის მაძიებელთან ძველებური ერთქულიანი ჩამორჩენა შეუნარჩუნა. ეგაა, კაიზერელებს სათამაშო ოთხი მატჩი დარჩენიათ, მიუნხენელებს კი — მხოლოდ სამი.

„კაიზერსლაუტერნმა" მშვენივრად ითამაშა უეფას თასის საგზურის მაძიებელთან, მიუხედავად იმისა, რომ ორივე ტაიმის პირველივე წუთზე აგებდა. როსტოკელთა ბოსნიელმა თავდამსხმელმა სერგეი ბარბარესმა შოკში ჩააგდო ლიდერი, 35-ე წამზე ანგარიში რომ გახსნა. ოც წუთში იურგენ რიშემ საჯარიმოდან კი გაათანაბრა, მაგრამ გასახდელიდან დარბუნებისთანავე ბარბარესს იენს დოვემ წაბაძა. თამაში ცენტრიდან 38 წამის განახლებული იყო, „კაიზერი" კვლავ რომ ჩამორჩა. ლიდერს მხსნელად მასპინძელი მცველი განსაუგე მოევლინა, ბუნდესლიგაში თავისი პირველი ავტოგოლი რომ გაიტანა.

— ავტოგოლი აქამდე არასდროს გამეტანა. დღეს ჩემს 50-ე ბუნდესლიგურ მატჩში გატანა კი მსურდა, მაგრამ, ცხადია, არა საკუთარ კარში — თქვა უბედო განსაუგემ.

„კაიზერსლაუტერნის" მდევარმა „ბაიერნმა" ბილეფელდში არმინიას დამხარებით გოლების ფესტივალი გამართა. ავტოგოლს ვერც ამ მატჩში ასცდნენ, ოღონდ ამჯერად მიუნხენელებს არ გაუღიმათ ბედმა.

შესვენებისას „ბაიერნი" ტარნატის, ბაბელის და ნერლინგერის გოლებით 3:2-ს იგებდა, მაგრამ არმინიელმა თომას სტრატოსმა 74-ე წუთზე გაათანაბრა.

„ბაიერნის" განელი მცველის სამუელ კუფურის საკუთარ კარში გატანილმა თამაშის დამთავრებამდე 7 წუთით ადრე „არმინია" დააწინაურა. მიუნხენელებს ლოთარ მათეუსმა უშველა, 87-ე წუთზე სეზონის მეორე ბუნდესლიგური გოლით ქულა გადაურჩინა.

მას შემდეგ, რაც ჯოვანი ტრაპატონიმ განაცხადა, სეზონის ბოლოს „ბაიერნს" ვტოვებო, მათეუსმა მწვრთნელთან შეხუმრება სცადა.

— ტრაპატონი უბედნიერესი კაცია. მე მასთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა. მინდა, დავაიმედო, რომ დარჩენილ ოთხ მატჩში (თასის ფინალის ჩათვლით) ისეთი მონდომებით ვითამაშებთ, შინ, იტალიაში, ერთი ტიტულით მაინც ხელდამშვენებულს გავუშვებთ. შესაძლოა, მასთან ერთად დუბლსაც შევწვდეთ.

თასების მფლობელთა თასის ფინალში გასვლიდან ოთხ დღეში „შტუტგარტმა" „ბოხუმს" 2:0 სძლია და ცხრილში ორი ადგილით — მეოთხეზე აინცვლა. ანგარიში მეოცე წუთზე ფრედი ბობიჩმა გახსნა. მანვე, ვინც „შტუტგარტი" მოსკოვურ ქარტეხილს გამოატარა და ფინალში გაიყვანა.

„შტუტგარტმა" მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა ძლიერად, მაგრამ „ბოხუმი" ბობიჩის გოლმა ისე გატეხა, წარმატებაზე ფიქრიც გაუძნელდა და ხელსაყრელი მომენტები ვერ გამოიყენა. 89-ე წუთზე ანგარიში კრასიმირ ბალაკოვმა გააორა. ბულგარელმა ხელით თამაშისთვის დანიშნული პენალტი გაიტანა.

ცხრილის ბოლოში ექვს დასარჩენად მებრძოლს მოუყრია თავი და მათგან მხოლოდ „მიუნხენმა" და „გლადბახმა" ივარგა.

მიონხენგლადბახელებმა დორტმუნდში მოსახელე „ბორუსიას" მოუგეს, ვინც მადრიდის „რეალისგან" ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში ძლეული აზრზე ჯერაც ვერ მოსულა. „დორტმუნდის" ერთადერთი იმედი ჩემპიონთა თასის შენარჩუნება იყო. ახლა კი ევროტურნირებზე მოხვედრას ინტერტოტოდან თუ ეცდება. „გლადბახმა" „ბოხუმთან" და „კარლსრუესთან" სხვაობა ორ ქულამდე შეამცირა. ასე იმიტომაც მოხდა, რომ „კარლსრუე" ამჯერად „შალკეს" დაუზავდა მშრალად. უეფას თასის ექსმფლობელს ხომ ბუნდესლიგაში ყველაზე ცოტა გოლი — 29 — გაუშვია, ისევე, როგორც „ჰამბურგთან" და „ბოხუმთან" ერთად ყველაზე ცოტა — 35- გაუტანია.

— ჩვენი ტაქტიკა 15-20 წუთის მოცდაში მდგომარეობდა. შევხედეთ, რისი გაკეთება შეეძლო „დოტმუნდს" და მერეღა შევუტიეთ. როგორც ნახეთ, ამან გაამართლა — თქვა მიონხენგლადბახელთა კაპიტანმა შტეფან ეფენბერგმა.

ლევერკუზენში 0:5 წაგებას „ჰამბურგი" იმდენად არ შეუშფოთებია, რამდენადაც წინა დღის მატჩით, „დუისბურგი" — „ვოლფსბურგის" დარჩა უკმაყოფილო. დუისბურგში კოვაჩევიჩმა სტუმრები დააწინაურა, მაგრამ კომლიენოვიჩმა გაათანაბრა. და სალუმ კი თითქოსდა სულაც თამაში მოამთავრა. ნორვეგიელმა მეკარე ტომას გილმა თავის თავდამსხმელს თეატრალურად მეგოლე ბუციც გაუპრიალა, მაგრამ ამას ბოლო წუთზე დანიშნული პენალტის კუთხის გამოცნობა რომ უჯობდა, ცხადია.

მასპინძელთა აზრით, საეჭვო პენალტის დანიშვნისთვის, გამოცდილი მსაჯი ჰელმუტ კრუგი გვარიანად გამოლანძღეს. უკმაყოფილოთა შორის „დუისბურგის" თავკაცი კლაუს ფუნკელიც გახლდათ და ერთ-ერთი კლუბის მოხელეც, რომელიც მსაჯს გაექაჩა, მაგრამ დროულად შებოჭეს.

**ვახტანგ გზიძაძე**



REUTERS ფოტოქრონიკიდან

ჰანზა — კაიზერი. იგორ პამიჩი (მარჯვნივ) ჰარი კოხს ბურთს ეცილება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კაიზერი | 30 | 17 | 9 | 4 | 53:34 | 60 |
| ბაიერნი | 31 | 17 | 8 | 6 | 63:36 | 59 |
| ლევერკუზენი | 30 | 14 | 11 | 5 | 61:32 | 53 |
| შტუტგარტი | 31 | 13 | 9 | 9 | 51:44 | 48 |
| ჰანზა | 31 | 13 | 8 | 10 | 47:38 | 47 |
| შალკე | 30 | 11 | 13 | 6 | 35:29 | 46 |
| ვერდერი | 31 | 12 | 8 | 11 | 41:46 | 44 |
| დუისბურგი | 31 | 10 | 10 | 11 | 40:42 | 40 |
| დორტმუნდი | 30 | 10 | 9 | 11 | 51:47 | 39 |
| ვოლფსბურგი | 31 | 11 | 6 | 14 | 37:44 | 39 |
| ჰერტა | 30 | 11 | 6 | 13 | 37:47 | 39 |
| ჰამბურგი | 31 | 9 | 10 | 12 | 35:45 | 37 |
| კიოლნი | 30 | 10 | 5 | 15 | 44:56 | 35 |
| მიუნხენ 1860 | 31 | 9 | 8 | 14 | 39:51 | 35 |
| ბოხუმი | 30 | 9 | 7 | 14 | 35:44 | 34 |
| კარლსრუე | 31 | 8 | 10 | 13 | 39:51 | 34 |
| გლადბახი | 31 | 7 | 11 | 13 | 45:54 | 32 |
| არმინია | 30 | 7 | 6 | 17 | 37:50 | 27 |

### ბომბარდირები

| | |
|---|---|
| ულფ კირსტენი ლევერკუზენი | 21 |
| ოლაფ მარშალი (კაიზერი) | 14 |
| როი პრეგერი (ვოლფსბურგი) | 13 |
| მიხაელ პრეეტცი (ჰერტა) | 13 |
| კარსტენ იანკერი (ბაიერნი) | 13 |
| ფრედი ბობიჩი (შტუტგარტი) | 13 |
| ბერნჰარდ ვინკლერი (მიუნხენი) | 12 |
| ტონი პოლსტერი (კიოლნი) | 12 |
| იორგენ პეტერსონი (გლადბახი) | 11 |
| სერგეი ბარბარესი (ჰანზა) | 11 |
| კრასიმირ ბალაკოვი (შტუტგარტი) | 11 |

### მეორე ბუნდესლიგა

**ფიურტი 1:1 ფრაიბურგი**

ფრაიბურგი: რეუსი, კორელი, ბაია,ვასმერი, ჰოფმანი (ბურიჩი 64), კობიაშვილი, იაშვილი (ბენ სლიმანე 73), ვაისჰაუპტი, კოლი, მიულერი, დიარა

0:1 ვასმერი (60), 1:1 ტური (83)

27-ე ტურის სხვა მატჩები. ზანქტ პაული — ნიურნბერგი 0:0; მაინცი — კოტბუსი 0:0; უნტერახინგი — ლაიფციგი 1:1; გიუტერსლო — დიუსელდორფი 2:1; ცვიკაუ — კიკერსი 0:1; მეპენი — კარლ ცაისი 0:2; ფორტუნა — ვატენშაიდი 3:2; ურდინგენი — აინტრახტი დღეს გაიმართება

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| აინტრახტი | 26 | 13 | 10 | 3 | 38:23 | 49 |
| ნიურნბერგი | 26 | 15 | 3 | 8 | 38:22 | 48 |
| ფრაიბურგი | 27 | 13 | 6 | 8 | 45:31 | 45 |
| გიუტერსლო | 27 | 11 | 11 | 5 | 34:22 | 44 |
| ზანქტ პაული | 27 | 9 | 12 | 6 | 30:28 | 39 |
| ურდინგენი | 26 | 10 | 8 | 8 | 27:23 | 38 |
| ფორტუნა | 27 | 9 | 11 | 7 | 43:41 | 38 |
| დიუსელდორფი | 27 | 10 | 7 | 10 | 43:41 | 37 |
| ფიურტი | 27 | 9 | 9 | 9 | 23:25 | 36 |
| უნტერჰახინგი | 26 | 8 | 10 | 8 | 31:23 | 34 |
| ვატენშაიდი | 27 | 9 | 7 | 11 | 34:31 | 34 |
| კოტბუსი | 27 | 7 | 13 | 7 | 26:25 | 34 |
| ლაიფციგი | 26 | 9 | 7 | 10 | 27:39 | 34 |
| კიკერსი | 27 | 9 | 5 | 13 | 35:41 | 32 |
| მაინცი | 27 | 6 | 13 | 8 | 40:42 | 31 |
| კარლ ცაისი | 26 | 7 | 7 | 12 | 2842 | 28 |
| მეპენი | 27 | 5 | 9 | 13 | 30:47 | 24 |
| ცვიკაუ | 27 | 3 | 8 | 16 | 18:44 | 17 |

## ფეხბურთის რუკასთან



**ჩეხეთის** ჩემპიონატის 24-ე ტური: დუკლა — ჰრლადეც კრალოვე 1:2, კაუჩუკი — სპარტა 0:2, პეტრა — სიგმა 0:2, ბანიკი — ტეპლიცე 1:0, სლავია — ვიქტორია (პლზენი) 2:1, სლოვანი — ვიქტორია (ჟიჟკოვი) 3:0, ბოჰდანეცი — ჩეშკე ბუდეოვიცე 0:1, ბობი — იაბლონეცი 2:2. გათამაშებას 58 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს პრაღის „სპარტა". 45 ქულით მეორე ადგილზეა დედაქალაქისავე „სლავია", მესამეზე კი ამხანაგურ მატჩებში თბილისის „დინამოსგან" მრავალჯერ ძლეული ოლომოუცის „სიგმაა" — 41 ქულით.

**პოლონეთის** პირველობის 25-ე ტური: ოსტროვიეცი — პოლონია 1:2, ზაგლებიე — რაკოვი 2:0, გურნიკი — ოდრა 6:0, ლკს — გროცლონი 0:0, ვისლა — ვიძევი 6:0, გკს — შტომილი 0:1, ლეხი — რუხი 1:2, ლეგია — პოგონი 1:1, ამიცა — პეტროხემია 1:1. ჩემპიონატს 48 ქულით ლოძის ლკს ლიდერობს. მეორეზე ვარშავის „პოლონიაა" 44 ქულით, მესამე კი ვარშავისავე „ლეგიაა" — 43 ქულა.

**ჰოლანდიის** ჩემპიონ „აიაქსის" ტყუპმა ძმებმა დე ბურებმა განაცხადეს, სეზონის ბოლოს გუნდის დატოვებას ვაპირებთ, კარიერის გაგრძელება ინგლისში გვსურსო. რონალდ დე ბურმა თქვა, ძმაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ თავად ლონდონის „არსენალში" დიდი სიამოვნებით ვითამაშებდიო.

**დანიის** ჩემპიონატის 25 ტური: ერფოლგე — კოპენჰაგენი 1:0, ოლბორგი — ორჰუსი 2:4, ფრემადი — ლუნგბიუ 0:3, ბრონდბიუ — იკასტი 3:1, სილკებორგი — ოდენსე 1:1, ვეილე — AB 1:0. გათამაშებას 59 ქულით დამაჯერებლად ლიდერობს „ბრონდბიუ". მას 11 ქულით ჩამორჩება მეორე ადგილზე მყოფი „სილკებორგი", მესამე კი კოპენჰაგენის ამავე სახელწოდების კლუბია — 46 ქულა.

**ლუქსემბურგის** ჩემპიონატის მე-18 ტური: რუმელანჟი — სპორა 2:0, ვილცი — ავენირი 0:0, პეტანჟი — ჟენეს ეში 0:5, რედ ბოიზი — გრევენმახერი 1:5, უნიონი — დუდელანჟი 2:0, ჰობშიდი — სპორტინგი 3:3. „ჟენეს ეში" 42 ქულით პირველობის ლიდერია. მას ქულით ჩამორჩება „უნიონი", ხოლო 1996-97 წლების სეზონში უეფას თასზე თბილისის „დინამოსგან" ძლეული „გრევენმახერი" 36 ქულით მესამეა.

**შვეიცარიის** ნაკრებს ჩრდილოეთ ირლანდიასთან ამხანაგურ შეხვედრაში ვერაფრით დაეხმარება ბუნდესლიგის „კაიზერსლაუტერნში" მოთამაშე ჩირიაკო სფორცა, რომელმაც კლუბში წვრთნისას ტრავმა მიიღო.

**მაკედონიის** ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში სამხრეთ კორეის ძლევა ვერ მოახერხა. სკოპიეში გამართული შეხვედრა ფრედ — 2:2 დასრულდა.

**ხორვატიის** ჩემპიონატის A ჯგუფში მეექვსე ტურის შეხვედრები გაიმართა: ზადარკომერცი — კროაცია 0:3, ოსიეკი — ჰაიდუკი 2:0, დრაგოვოლიაცი — ზაგრები 1:0. ზაგრების „კროაცია" 41 ქულით ლიდერია. მას ათი ქულით ჩამორჩება სპლიტის „ჰაიდუკი", მესამეზე კი „ოსიეკია" — 26 ქულა.

**ლიტვის** ჩემპიონატის 21-ე ტური: რანგა — კარედა 0:3, პანერისი — ეკრანასი 0:1, ვილკასი — ინკარასი 2:2, ატლანტასი — კაუნასი 0:0, ბანგა — ინტერასი 7:0, მასტისი — ნევეჟისი 1:2, ტურასი — ვინები 5:0. ჩემპიონატს შაულაის „კარედა" ლიდერობს 56 ქულით. მეორეზეა „ქალგირისი" 55 ქულა, მესამე კი „ეკრანასია" 53 ქულით.

**იუგოსლავიური** პრესის ცნობით, ბელგრადის „პარტიზანის" საუკეთესო ბომბარდირი დრაგან ისაილოვიჩი შეიძლება დორტმუნდის „ბორუსიაში" გადაბარგდეს. ნიჭიერი თავდამსხმელის თამაშს იუგოსლავიის ჩემპიონატში გერმანელთა წარმომადგენლებიც დაესწრნენ. საუბარი ფეხბურთელის ტრანსფერის თაობაზე რამდენიმე დღეში გაიმართება. „დორტმუნდის" წარმომადგენლები „პარტიზანის" ნახევარმცველ პრედრაგ პაზინითაც დაინტერესდნენ.

**ბულგარეთის** ჩემპიონატის 26-ე ტური: ლიტექსი — ლევსკი (სოფია) 1:1, სპარტაკი (პლევენი) — მეტალურგი 0:1, ლოკომოტივი (პლოვდივი) — ნეფტოხიმიკი 2:1, სპარტაკი (ვარნა) — ლევსკი (კისტენდილი) 2:0, სლავია — ოლიმპიკი 4:0, ეტარი — დობრუჯა 1:2, მინიორი — ბოტევი 2:0, ცსკა — ლოკომოტივი (სოფია) 1:1. ჩემპიონატს 61 ქულით ლიტექსი ლიდერობს, 55 ქულით მეორეა სოფიას ლევსკი, ქულით ნაკლები აქვს მესამეზე მყოფ ცსკას.

**არგენტინის** ჩემპიონატის მე-12 ტური: რასინგ კლაბი — ურაკანი 0:0, ველეზ სარსფილდი — კოლონი 6:1, სან ლორენსო — ხიმნასია (ხუხუი) 3:1, ესტუდიანტესი — ინდეპენდიენტე 2:0, პლატენსე — ლანუსი 1:1, ფერო კარილო — უნიონი 3:2, ხიმნასია (სალტა) — დეპორტივო ესპანიოლი 4:1, ბოკა ხუნიორსი — როსარიო სენტრალი 1:1 ნიუელს ოლდ ბოისი — რივერ პლეიტი 0:0. ჩემპიონატს ველეზ სარსფილდი ლიდერობს 29 ქულით, მეორე ადგილზე მყოფ ლანუსს 25 ქულა აქვს, მესამეზე კი 23 ქულით ლა პლატას ხიმნასიაა.

**შვედეთის** ჩემპიონატის მე-3 ტური. აიკ — ჰალმსტადი 1:0, ვასტრა — ოსტერი 3:0, ჰემერბი — გიოტებორგი 1:1, ნორჩეპინგი — მალმიო 2:1 ორგრიტი — ელფსბორგი 2:2, ჰელსინგბორგი — ორებრე 0:0, ტრელებორგი — ჰაკენი 0:1. ჩემპიონატს 6-6 ქულით ვასტრა და ნორჩეპინგი ლიდერობენ, მესამე-მეოთხე ადგილებს კი 5-5 ქულით ჰემერბი და ჰელსინგბორგი იყოფენ.

**სლოვაკეთის** ჩემპიონატის 23-ე ტური: სპარტაკი — ტატრანი 2:1, ზილინა — კოშიცე 1:0, ბარდეხოვი — სლოვანი 3:0, დუნაისკა სტრედა — არტმედია 0:1, დუკლა — პეტრიმექსი 1:1, ლოკომოტივი — ტრენჩინი 1:2, რუჟომბეროკი — ტაურისი 0:1, ინტერი — ჰუმენი 2:0. გათამაშებას სპარტაკი ლიდერობს 53 ქულით, სამი ქულით ნაკლები აქვს მეორე ადგილზე მყოფ კოშიცეს, მესამეზე კი 45 ქულით ინტერია.

**იუგოსლავიის** ჩემპიონატის 28-ე ტური. ზელეზნიკი — ჰაიდუკი 2:1, პროლეტერი — ჩუკარიჩკი 2:1, ობილიჩი — რადი 2:1, პარტიზანი — ვოივოდნა 2:1, ცრვენა ზვეზდა — ზემუნი 3:1 ბუდუჩნოსტი — მლადოსტი 2:0. ობილიჩი 73 ქულით პირველობის ლიდერია, 72 ქულით მეორეზეა ცრვენა ზვეზდა, მესამეზე მყოფ პარტიზანს კი 60 ქულა აქვს.

**ინგლისის** პირველი დივიზიონის ერთ-ერთ ლიდერ გუნდ „მიდლსბროში" მოთამაშე იტალიელი თავდამსხმელი მარკო ბრანკა სეზონის ბოლო სამ შეხვედრაში ველარ ითამაშებს. თებერვალში მილანის „ინტერიდან" შეძენილმა თავდამსხმელმა, აქამდე 10 გოლის გატანა რომ მოუსწრია, მუხლის ტრავმის ტკივილებს ველარ გაუძლო და ახლა გადაუდებელ ოპერაციას საჭიროებს. 33 წლის ფორვარდში „მიდლსბრომ" 1,7 მილიონი დოლარი გადაიხადა.

**ბელგიის** ჩემპიონმა „ლიერსმა", რომელიც ამ სეზონში ჯერჯერობით მეშვიდე ადგილზეა, მთავარი მწვრთნელი იოს დაარდენი თანამდებობიდან გაათავისუფლა. კლუბის ხელმძღვანელობამ მიზეზად ბოლოდროინდელი უშედეგობა დაასახელა, თუმცა იმასაც ამბობენ, მის წასვლა „ლიერსის" თავკაცებთან უთანხმოებამ გამოიწვიაო. ჯერჯერობით უმწვრთნელოდ დარჩენილ „ლიერსს" დაარდენის ასისტენტი ფრენკ ბრეკმენსი გაწვრთნის. ამ სეზონში ბელგიურმა კლუბებმა უკვე ცხრა მწვრთნელი გამოიცვალეს.

**სამხრეთაფრიკელმა**, მაგრამ მოგვიანებით გერმანიის მოქალაქეობამიღებულმა თავდამსხმელმა შონ დანდიმ განაცხადა, როგორც ჩანს, „კარსლრუეში" საქმეები აღარ ამეწყო, სხვაგან გადასვლა მწადიაო. დანდის სხვა გუნდში წასვლა კიდევ იმიტომ მოუსურვებია, რომ „კარლსრუეს" ახალი მწვრთნელ იორგ ბერგერთან მისი ურთიერთობა მაინცდამაინც კარგად ვერ აეწყო. თუ ვინმე დანდის შეძენას მოინდომებს, 4,4 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს.

**იუგოსლაველი** ნახევარმცველი დეიან სტანკოვიჩი, რომელიც ხვალ ბელგრადში სამხრეთკორეელებთან სათამაშოდ ნაკრებშიცაა მიწვეული, მომავალ სეზონში იტალიის და უეფას თასის ფინალებში გასულ რომის „ლაციოში" ითამაშებს. იტალიელებმა სტანკოვიჩს გუშინ გაუფორმეს კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც პირველ სეზონში ფეხბურთელს 1,5 მილიონ დოლარს გადაუხდიან. სტანკოვიჩის კლუბმა „ცრვენა ზვეზდამ" მოთამაშის სანაცვლოდ 8 მილიონი დოლარი მიიღო.

**ავსტრალიის** ნაკრების მწვრთნელობიდან საკუთარი სურვილით გადამდგარმა ტერი ვენებილზმა განაცხადა, რომ იგი ამიერიდან პრემიერლიგიდან გავარდნის კანდიდატ „კრისტალ პალასს" გაწვრთნის. ლონდონური კლუბის პრეზიდენტმა კმაყოფილება გამოთქვა, ვენებლზი მწვრთნელობაზე რომ დათანხმდათ და ისიც დასძინა, ხუთწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ გვარიან თანხას მიიღებსო.

# პარაგვაის მომავალი პრეზიდენტი

**გუშინ, „როიტერმა“ დედამიწას ამცნო, რომ „ველეზ სარსფილდის“ მეკარემ ხოსე ლუის შილავერმა არგენტინის პირველობაზე, ზედიზედ მეორე თამაშში გაიტანა გოლი. ამჯერად „ველეზმა“ „კოლონს“ მოუგო 6:1.**

**გასულ კვირაში პარაგვაის ნაკრების კაპიტანმა „ხიმნასია ლა პლატას“ ჯარიმიდან ჩაუხვია კარში ბურთი. იმავე მატჩში, მეხუთე წუთზე მას ერთი გმირობა უკვე ჩადენილი ჰქონდა — პენალტი მოიგერია.**

**ამ ცნობამ გაგვახსენა ინგლისური ჟურნალის „უორლდ სოკერის“ აპრილის ნომერში გამოქვეყნებული საუბარი რომელიც ჟურნალისტ კარლოს ფ. რამირესსა და შილავეს შორის გაიმართა. გთავაზობთ ამ ინტერვიუს.**

### ხოსე ლუის შილავერი

ქვეყანა: პარაგვაი
კლუბი: „ველეზ სარსფილდი“ (არგენტინა)
დაიბადა 1965 წლის 27 ივლისს
თამაშობდა „სპორტივო ლუკენოში“ (პარაგვაი), „სან ლორენსოში“ (არგენტინა), „სარაგოსაში“ (ესპანეთი)
ნაკრებში ჩაატარა 35 თამაში. გაიტანა 4 გოლი.
ტიტულები: კოპა ლიბერტადორესი — 1994, არგენტინის ჩემპიონი — 1995.



**— თანამედროვე ფეხბურთის ისტორიაში არ მოიძებნება მეკარე, თქვენსავით რომ გაჰქონდეს გოლები. ხშირად პენალტით ან საჯარიმო დარტყმით აღწევთ მიზანს. ყველაზე მნიშვნელოვანი გოლი რომელი იყო?**

— კარიერაში იღბალმა მართლაც გამატანინა რამდენიმე გოლი. მათგან ორი საგანგებო გახლდათ. ერთი „რივერ პლეიტს“ ასე 60 მეტრიდან გავუტანე, მეორე კი პარაგვაის ნაკრების შემადგენლობაში არგენტინას შევუგდე. ეს 1996 წლის სექტემბერში, მსოფლიოს პირველობის შესარჩევ შეხვედრაში მოხდა.

**— კარიერა როგორ დაიწყეთ?**

— თავიდან მშობლიური ქალაქის, ლუკეს გუნდში „სპორტივო ლუკენოში“ ვთამაშობდი. პირველმა ტრანსფერმა არგენტინულ „სან ლორენსოში“ გადამიყვანა. იქიდან ესპანეთში, „სარაგოსაში“ მოვხვდი, მაგრამ ოთხი წლის წინ ისევ არგენტინას დავუბრუნდი. „ველეზ სარსფილდში“ დავიწყე თამაში.

**— ამბობენ, რომ ევროპულ ფეხბურთში ვერ ივარგეთ. რას იტყვით ამის შესახებ?**

— ვინც ამას ამბობს, ავიწყდება, რომ ესპანეთში ძალიან ახალგაზრდა, 23 წლისა მოვხვდი. სხვათა შორის, იქ ოთხი წელიწადი გავჩერდი და პირველსავე სეზონში საუკეთესო მეკარედ მაღიარეს. შემდეგ „სარაგოსაში“ პრეზიდენტი შეიცვალა. ახალმა თავისებურად წარმართა საქმეები და გადავწყვიტე იქიდან წავსულიყავი. მაშინ შოტლანდიური გუნდები მთავაზობდნენ მათთან გადასვლას, მაგრამ გულმა სამხრეთ ამერიკაში დაბრუნება მიკარნახა. მართალი გითხრათ, ევროპაში თამაში მაინცდამაინც აღარ მაინტერესებს. არგენტინაში თავს ჩინებულად ვგრძნობ, „ველეზ სარსფილდი“ გვარიან გასამრჯელოს მიხდის და არც წარმატება მაკლია.

**— პარაგვაის ნაკრები რას გეგმავს მსოფლიოს ჩემპიონატზე?**

— ეჭვი არ მეპარება, რომ დიდებულად ვითამაშებთ. ჩვენ ბრწყინვალე ფეხბურთელები გვყავს, რომელთაც არც სტიმული აკლიათ და მზად არიან მსოფლიოს სიურპრიზი მოუწყონ. ყველა ნახავს, რა შეუძლია პარაგვაის ნაკრებს.

**— არგენტინულ პრესასთან რატომ გაქვთ ხშირი კონფლიქტი?**

— ყველაზე დიდი პრობლემა იმ გაზეთებთან ურთიერთობაა, ტირაჟის გაზრდისა და მკითხველის მიზიდვისთვის ჩემს პირად ცხოვრებაში ჩარევას რომ ცდილობენ. ჩემი სახლის, ინტიმური სამყაროს გაქექვის უფლებას არავის მივცემ. მე ნორმალური, ოჯახური ცხოვრება მაქვს და მის შენარჩუნებას ვაპირებ. წარმატების საფასურად შურს ვილებ. ჩემს წინააღმდეგ იმიტომ ილაშქრებენ, რომ ცხოვრებაში შედეგს ვაღწევ. სულმდაბალ ადამიანებს კი ბოლმა ახრჩობთ და ტყუილებს მიგონებენ.

**— ამასწინათ თქვენს სამშობლოში, პარაგვაიში, ერთ-ერთმა გაზეთმა თქვენი სურათი გამოაქვეყნა და დიდი ასოებით მიაწერა: „ამ კაცს შეუძლია პარაგვაის მომავალი პრეზიდენტი გახდეს!“ ეს მართლა შესაძლებელია?**

— მართალი ისაა, რომ ხალხი მთხოვს ამას. სულაც არ უარვყოფ, რომ ფეხბურთელის კარიერის დამთავრების შემდეგ, შესაძლოა, პოლიტიკოსი გავხდე, მაგრამ დღეს ეს არ მოხდება. დღეს პოლიტიკას ბინძურ საქმედ მივიჩნევ. სამხრეთ ამერიკაში არიან პრეზიდენტები, რომელთაც ხალხისთვის, მათი ცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად თითი თითზე არ დაუდიათ. მე კი მჯერა, კაცმა გონება სწორი მიმართულებით რომ დასაქმოს, წარმატებას მიაღწევს.

ფეხბურთში სწორედ ეს შემემთხვა. მე ღარიბი ვიყავი, მძიმე ბავშვობა მქონდა, ხანდახან ფეხსაცმლის საყიდლადაც არ მყოფნიდა ფული, მაგრამ მამაჩემი მუყაითი და ზნეობრივი კაცი იყო. მან განათლება მომცა და მასწავლა, როგორ უნდა მიმეღწია იმისთვის, რასაც მივაღწიე. პოლიტიკაში ყველაზე მნიშვნელოვანი პატიოსნებაა. სწორედ ეს აკლია დღევანდელ პოლიტიკას.

**— ფეხბურთსა და ფულზე რას გვეტყოდით?**

— კომერციალიზაციამ გემოვნების ბარიერი გაგლიჯა და დღეს მოგებულნი ბიზნესმენები და კლუბების ხელმძღვანელები დარჩნენ. განზოგადება არ მიყვარს, მაგრამ ვგონებ მოთამაშეები თანამედროვე ფეხბურთის ყველაზე წმინდა ნაწილს წარმოადგენენ. მესმის, რომ ზოგ ქვეყანაში, მაგალითად არგენტინაში, ფეხბურთი სატელევიზიო ფულის გარეშე ვერ იარსებებს, მაგრამ ვხედავ, რომ ხშირად ფეხბურთელები ძალიან გულუბრყვილოდ იქცევიან. ისინი მენეჯერებს არასწორედ არჩევენ, ზედმეტად ენდობიან მათ და უსინდისო ხალხის ხელში ხვდებიან. უსინდისოები კი მაშინ გეხმარებიან, როცა საქმე კარგად მიდის, ხოლო თუ თავი კრიზისმა იჩინა, ხელად უარგყოფენ. მე რომ მკითხოთ, თანამედროვე ფეხბურთში მომუშავე ადამიანთა 80 პროცენტს მხოლოდ ფული აინტერესებს. ისინი ფეხბურთელებსა და მათ მომავალზე არ ზრუნავენ.

**— თქვენი აზრით, კომერციალიზაცია მწვრთნელებზეც მოქმედებს?**

— ფაქტია, რომ ზოგი მწვრთნელი კლუბის პატრონების ნებაზე დადის, ეს კი სერიოზული პრობლემაა. ისინი ისეთ გარიგებებზე მიდიან, ფულს რომ მოუტანთ, ფეხბურთელს კი აზარალებს.

ნერვებზე ვიშლები, როდესაც ვხედავ, რომ ესა თუ ის მოთამაშე გუნდში ვერ ხვდება, რადგან მწვრთნელს ზევიდან უკარნახეს ასე. მინდა ახალგაზრდებმა თვალები დააჭყიტონ, მისდიონ მშობლების რჩევებს, რადგან მშობლები შვილებს ცუდს არაფერს ურჩევენ. რაც არგენტინაში ვარ, ერთხელაც არ დამირთავს ვინმესთვის ჩემით მანიპულირების ნება. მე მენეჯერი არ მყავს, საქმეებს თავად წარვმართავ და კლუბის დირექტორატის წევრებს თვალს თვალში ვუყური.

**თარგმნა პაპუნა ძიძიამ**

## შოტლანდია

33-ე ტური. აბერდინი — რეინჯერსი 1:0; კილმარნოკი — დანდი იუნაიტედი 1:1; დანფერმლაინი — ჰიბერნიანი 1:1; სელტიკი — მოზერველი 4:1; ჰარტსი — სტ. ჯონსტონი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სელტიკი | 33 | 21 | 6 | 6 | 61:23 | 69 |
| რეინჯერსი | 32 | 18 | 9 | 5 | 68:36 | 63 |
| ჰარტსი | 33 | 18 | 9 | 6 | 66:41 | 63 |
| კილმარნოკი | 33 | 11 | 10 | 12 | 36:50 | 43 |
| სტ ჯონსტონი | 33 | 11 | 9 | 13 | 33:38 | 42 |
| აბერდინი | 33 | 8 | 11 | 14 | 34:48 | 35 |
| მოზერველი | 33 | 9 | 7 | 17 | 42:56 | 34 |
| დანდი იუნ. | 32 | 7 | 12 | 13 | 38:44 | 33 |
| დანფერმლაინი | 32 | 7 | 11 | 14 | 37:62 | 32 |
| ჰიბერნიანი | 32 | 6 | 10 | 16 | 36:53 | 28 |

## ნორვეგია

1-ლი ტური. ბრანი — მოსი 0:1; ჰაუგესუნდი — მოლდე 2:3; ლილესტრიომი — კუნგსვინგერი 0:3; სონდალი — ტრომსო 0:0; სტაბეკი — ბოდო გლიმტი 3:2; სტრომგოდსეტი — როსენბორგი 0:2; ვიკინგი — ვალერენგერი 3:0

მე-2 ტური. მოლდე — ლილესტრიომი 4:0; ბოდო გლიმტი — სონდალი 3:0; კონგსვინგერი — ბრანი 2:2; როსენბორგი — ვიკინგი 3:1; ტრომსო — სტრომგოდსეტი 2:2; ვალერენგენი — ჰაუგესუნდი 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოლდე | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 6 |
| როსენბორგი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 6 |
| მოსი | 2 | 2 | 0 | 0 | 2:0 | 6 |
| კონგსვინგერი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:2 | 4 |
| ბოდო გლიმტი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| ვიკინგი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| სტაბეკი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ვალერენგენი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| ტრომსო | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| ბრანი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| სტრომგოდსეტი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | 1 |
| სონდალი | 2 | 0 | 1 | 1 | 0:3 | 1 |
| ჰაუგესუნდი | 2 | 0 | 0 | 2 | 4:6 | 0 |
| ლილესტრიომი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:7 | 0 |

## თურქეთი

31-ე ტური. ანთალია — ფენერბაჰჩე 1:1; ბეშიქთაში — კოჯაელისპორი 4:0; ალთაი — ქაისერი 1:1; ტრაბზონი — ისთანბული 0:3; დარდანელი — გალათასარაი 1:2; შექერსფორი — ქოჯაელი 2:1; გენჩლერბირლიგი — ბურსა 1:1; გაზიანთეფი — ანკარაგიუჯიუ 4:2; სამსუნი — ქარაბუქი 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 31 | 20 | 6 | 5 | 74:39 | 66 |
| ფენერბაჰჩე | 31 | 19 | 7 | 5 | 54:23 | 64 |
| ტრაბზონი | 31 | 17 | 8 | 6 | 62:39 | 59 |
| ისთანბული | 31 | 14 | 11 | 6 | 56:33 | 53 |
| ბურსა | 31 | 13 | 9 | 9 | 50:38 | 48 |
| ბეშიქთაში | 31 | 13 | 8 | 10 | 56:38 | 47 |
| სამსუნი | 31 | 12 | 7 | 12 | 39:38 | 43 |
| ქარაბუქი | 31 | 13 | 4 | 14 | 30:41 | 43 |
| ანკარაგიუჯიუ | 31 | 11 | 8 | 12 | 37:40 | 41 |
| ალთაი | 31 | 10 | 10 | 11 | 35:46 | 40 |
| ქოჯაელი | 31 | 11 | 6 | 14 | 41:42 | 39 |
| გენჩლერბირ. | 31 | 9 | 10 | 12 | 39:41 | 37 |
| დარდანელი | 31 | 9 | 10 | 12 | 34:36 | 37 |
| ანთალია | 31 | 9 | 10 | 12 | 46:49 | 37 |
| ქაისერი | 31 | 9 | 5 | 17 | 35:54 | 32 |
| გაზიანთეფი | 31 | 7 | 10 | 14 | 34:41 | 31 |
| შექერსფორი | 31 | 8 | 6 | 17 | 31:69 | 30 |
| ვანსფორი | 31 | 4 | 7 | 20 | 24:70 | 19 |

## სლოვენია

26-ე ტური. პრიმორიე — რუდარი 0:1; მურა — ბელტინჩი 2:2; ოლიმპია — კოროტანი 4:0; პუბლიკუმი — გორიცა 1:2; მარიბორი — ვევჩე 2:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მურა | 26 | 15 | 6 | 5 | 50:31 | 51 |
| მარიბორი | 26 | 16 | 2 | 8 | 40:23 | 50 |
| ოლიმპია | 26 | 12 | 9 | 5 | 46:33 | 45 |
| გორიცა | 26 | 13 | 4 | 9 | 46:27 | 43 |
| პრიმორიე | 26 | 13 | 3 | 10 | 46:36 | 42 |
| პუბლიკუმი | 26 | 10 | 6 | 10 | 44:14 | 36 |
| რუდარი | 26 | 8 | 8 | 10 | 28:26 | 32 |
| კოროტანი | 26 | 7 | 7 | 12 | 21:41 | 28 |
| ბელტინჩი | 26 | 6 | 5 | 15 | 31:57 | 23 |
| ვევჩე | 26 | 3 | 4 | 19 | 23:60 | 13 |


### „სარბიელი“ სათანამშრომლოდ იწვევს

ჟურნალისტებს, გამოცდილთ და დამწყებთ, რომელთაც სურთ წერონ ფეხბურთზე, კალათბურთზე, რაგბიზე, ჭიდაობასა და ჭადრაკზე;

მთარგმნელებს, გამოცდილთ და დამწყებთ, ინგლისურიდან გადმოსაქართულებლად.

მსურველები შემოგვეხმიანონ ხუთშაბათს 12-დან 15 საათამდე, ან კვირას 14-დან 16 საათამდე

ტელ: 39 48 29 ან 39 40 08;

მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, მეორე კორპუსი, მე-4 სართული



# სარბიელი

## სპორტული ლატარია „CROCO“

### ამხანაგური მატჩები

22 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბულგარეთი — მაროკო | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| ინგლისი — პორტუგალია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| შვედეთი — საფრანგეთი | 3,3 | 2,8 | 2,1 |
| დანია — ნორვეგია | 2,4 | 2,7 | 2,8 |
| იტალია — პარაგვაი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ფინეთი — შოტლანდია | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| გერმანია — ნიგერია | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,8 | 3,2 | 2,9 |
| ბელგია — რუმინეთი | 2,5 | 2,8 | 2,6 |
| ირლანდია — არგენტინა | 4,2 | 3,2 | 1,7 |
| რუსეთი — თურქეთი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ავსტრია — აშშ | 1,8 | 2,9 | 4,2 |
| იუგოსლავია — კორეა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,6 | 3,2 | 3,5 |

### ჰოლანდიის ჩემპიონატი.

22 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბრედა — ვიტესი | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| სიტარდი — ეინდჰოვენი | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| ფეიენოორდი — როდა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| ტვენტე — ჰერენვენი | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| 23 აპრილი | | | |
| აიაქსი — ტილბურგი | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |

### გერმანიის ჩემპიონატი. II ბუნდესლიგა

23 აპრილი

| | | | |
|---|---|---|---|
| კარლ ცაისი — ლაიპციგი | 1,9 | 2,9 | 3,6 |

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის“ ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის“ შენობაში, პუშკინის ქუჩა 16;
კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.


## ფუტიქსის დროშით

# ჭირვეულნი

დარჩა
FRANCE 98
49 დღე

რა შეიძლება უწოდო ხალხს, რომლებიც ელემენტარული პრობლემის (ისიც ალბაც შექმნილის) გადაჭრას ვერ ახერხებენ და ამისათვის ევროპარლამენტს და ლამის გაეროს აკითხავენ? ასეთებს ერთი სიტყვა — მოცლილნი ძალიან მოუხდებოდათ. რომ იტყვიან, ზედგამოჭრილი იქნებოდა.

მაინც რა პრობლემაა ასეთი, რომლის მოგვარებასაც თვეები სჭირდება და რის გამო ატეხილი ამბავიც ლამისაა თბილისში პოპულარულ მექსიკურ თუ არგენტინულ ტელესერიალებს დაემსგავსოს? — საქმე ეხება მსოფლიოს ჩემპიონატზე დასასწრები ბილეთების არასათანადო განაწილებას, რომელშიც დამნაშავე ტურნირის ორგკომიტეტი ყოფილა. ფრანგებს ჯერ კიდევ თებერვალში შესჩივლა მსოფლიოს ჩემპიონატებში მონაწილე რამდენიმე ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციამ, აქაოდა, ბილეთების არასათანადო რაოდენობა გამოგვიყავითო, მაგრამ ამას შედეგი არ გამოუღია. რაც დრო გადის, უკმაყოფილოთა რიცხვი თანდათან იზრდება. მომჩივანებმა ტურნირის ორგკომიტეტს სხვადასხვა ინსტანციაში უჩივლეს, მაგრამ შეაყარე კედელს ცერცვიო, ხომ გაგიგონიათ:

— ჩვენ ბილეთების ზუსტად განსაზღვრული რაოდენობით ვანაწილებთ. ის წესი, რომლითაც ბილეთები ნაწილდება, ყველაზე მისაღებია და პრობლემას ვერაფერში ვხედავ. მსოფლიოს ჩემპიონატის არც ერთი მონაწილე არავისზე ნაკლებ ბილეთს არ მიიღებს! — სწორედ ასე განაცხადა ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის წარმომადგენელმა ჟან ივ ლეკურმა.

არავინ იცის, როდემდე გაგრძელდებოდა დავა ორგკომიტეტსა და უკმაყოფილო ფეხბურთის ფედერაციებს შორის, რომ არა ამ უკანასკნელთა გაბედული ნაბიჯი — მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილე რამდენიმე ქვეყნის ფეხბურთის მამებმა, რომლებმაც ორგანიზაციის მიერ მათთვის გამოყოფილი ბილეთების რაოდენობა არად ეჭაშნიკათ, ორგკომიტეტს ევროკავშირის სასამართლოში უჩივლეს.

— ევროპარლამენტში შეიქმნა საქმის შემსწავლელი კომისია, რომელიც შეეცდება, სიმართლე დაადგინოს. ისე კი მინდა აღვნიშნო, რომ ორგკომიტეტის მოქმედება გაუმართლებელია. არ შეიძლება, ტურნირში მონაწილეებს ასე ცოტა ბილეთები დაურიგდეს — განაცხადა ბელგიელმა ეპწ-მ (ევროპარლამენტის წევრი) ფილიპ დე კოენმა. ჩაგრულთა მოსარჩლე დე კოენი მთლიანად მიემხრო მომჩივანთ და ისიც თქვა, ორგკომიტეტის საქციელი სხვა არაფერია, თუ არა გულშემატკივართათვის შესანიშნავი ფეხბურთის ხილვის შანსის მოსპობის სურვილიო.

ერთი სიტყვით, რაღა ბევრი გავაგრძელოთ და ბილეთების საქმე ევროპარლამენტის მეშვეობით გაირჩევა. სხვათა შორის, 30 ეპწ-სგან შემდგარ კომისიის ინტერესებს ადვოკატი ლუკ მისონი დაიცავს, კაცი, რომელმაც რამდენიმე წლის წინ ჟან მარკ ბოსმანს ლეგენდარული სასამართლო პროცესი მოაგებინა და ევროფეხბურთში გადატრიალება მოახდინა.

კიდევ კარგი, პრობლემას ახლა მაინც მოეკიდებიან სერიოზულად, თორემ მსოფლიოს ჩემპიონატზე დასასწრები ბილეთების ამბავი შეიძლება ტურნირის შემდეგაც გაგრძელებულიყო.

## გიორგი მოლოდინაშვილი:
# ბოდიში მაინც მოეხადათ, მეტი არაფერი მინდოდა

საქართველოს ჩემპიონატის ფინალისტები გაირკვა, მაგრამ საკალათბურთო კულუარებში კვლავ არ წყდება მითქმა-მოთქმა „ვითა“ — „დინამოს“ მატჩში მომხდარი ინციდენტის შესახებ. ამიტომაც შევხვდით ამ მატჩის მსაჯს და ინციდენტის მთავარ პერსონაჟს გიორგი მოლოდინაშვილს

— თამაში კორექტულად მიმდინარეობდა და პრაქტიკულად შეცდომა არ დამიშვია, რაშიც ვიდეოფირის არაერთხელ ნახვის შემდეგ უფრო დავრწმუნდი. ჯარიმა შენგელიას შეტევის დროს მივეცი. კახამ პროტესტი გამოთქვა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენა, რისთვისაც ტექნიკურით დავსაჯე. თითქოს ყველაფერი აქ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა: დინამოელთა რიგითი შეტევისას მათი სათადარიგო სკამის სიახლოვეს ვიმყოფებოდი, როდესაც ჩემკენ გამოემართა „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი ლევან მოსეშვილი და მუქარანარევი უშვერი სიტყვებით სახალხოდ დამიწყო ლანძღვა (რაც ფირზეცაა აღბეჭდილი და შემიძლია განახოთ). მე პროფესიონალურად მივუდექი ჩემს საქმეს და მასაც ტექნიკური შენიშვნა მივეცი.

**— შთაბეჭდილება ისეთი იყო, თითქოს სათადარიგო სკამზე მჯდომი ხოშტარიაც დააჯარიმეთ ტექნიკურით.**

— პრესაში და ტელევიზიაში ისე გაშუქდა, თითქოს მე ხოშტარია დავაჯარიმე. ამის არანაირი საბაბი არ ყოფილა. სახალხოდ ვაცხადებ: ხოშტარიასთან არავითარი საქმე არ მქონია. მე ტექნიკური მოსეშვილს მივეცი. ამის შემდეგ მომიახლოვდა ირაკლი ხოშტარია და საქმის გარჩევა დამიწყო. მე შევეცადე, იგი დამეწყნარებინა და სათადარიგო სკამისკენ მივუთითე. ამ დროს ნელი ნაბიჯით მომიახლოვდა კახა შენგელია და სამჯერ დამარტყა. მე გავიქეცი, აბა, ასეთ სიტუაციაში როგორ უნდა მოვქცეულიყავი. მერე ტრიბუნაზეც ხელი მომხვდა...

ყველაფერ ამაში დასანანი ისაა, რომ მწვრთნელმა, ლევან მოსეშვილმა, ვერ გააჩერა თავისი შეგირდები. რატომ გადაახტნენ მას თავზე! განა ამით მისი ავტორიტეტი არ შეილახა? — მეტსაც ვიტყვი. ყველაფერს საფუძველი სწორედ მოსეშვილმა დაუდო.

ეს კიდევ არაფერი. დამთავრდა მატჩი და ჩემთან არავინ მოსულა, არც დაურეკავთ. ბოდიში მაინც მოეხადათ, მეტი არაფერი მინდოდა. მე არა ვარ იმის მომხრე, რომ ბიჭები ასე მკაცრად დასაჯონ — ისინი კალათბურთს ჩამოშორდნენ და მათ კარიერას წერტილი დაესვას. ამით ქართული კალათბურთი დაზარალდება.

მე ძალიან მიყვარს ჩემი საქმე და ყველა ღონეს ვიხმარ, საერთაშორისო სარბიელზე წარმატებას მივაღწიო. თუ რაიმე შეცდომას დავუშვებ, ამაზე სადისციპლინო კომისიამ უნდა იმსჯელოს და ზომებიც იმან უნდა მიიღოს („ვითა“ — „დინამოს“ ჩემპიონატის შეხვედრა რომ ჩაიშალა, ჩემი ბრალი იყო. მატჩი არ უნდა დამეტოვებინა და ამისათვის სამართლიანად დავისაჯე კიდეც).

ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ჩვენ არ გვყავს კვალიფიციური მსაჯები და ფაქტობრივად ნულიდან ვიწყებთ. ასეთი ტრადიციების ქვეყანას, როგორიც საქართველოა, თუ შეუძლია აღზარდოს მაღალი კლასის სპორტსმენები, რატომ არ უნდა აღზარდოს მაღალი კვალიფიკაციის მსაჯები. ეს ხომ ჩვენ ქვეყანას წაადგება? მაგრამ ასეთ ვითარებაში კარგი მსაჯი როგორ უნდა ჩამოყალიბდეს. მე იმ გულშემატკივრისგან არ მწყენია. მსაჯი მისგან ყოველთვის უნდა მოელოდეს ემოციის რაიმე სახით გამოხატვას, თუმცა ნამდვილი ქომაგი თამაშს უნდა უყურებდეს და ლანძღვა-გინებისა და ჩხუბისთვის ვერ უნდა იცლიდეს.

**— მსაჯობა დიდი ხანია დაიწყეთ?**

— 1986 წელს. პირველად ქალებისა და ბავშვების თამაშებს ვმსაჯობდი. ფიზკულტურის ინსტიტუტი დავამთავრე. პარალელურად 1975 წელს დამთავრებულ ბავშვებს ვწვრთნიდი. ჩემს ხელში გაიარეს ირაკლი მაისურაძემ, ვალერი კილაძემ, ილია კოქლამაზაშვილმა. შემდეგ რამდენიმე ხანი „შევარდენში“ ვთამაშობდი. მსაჯების პრობლემა რომ დადგა, ჩემთან მოვიდნენ, მთხოვეს და მეც სიამოვნებით დავთანხმდი. სემინარზე ვიყავი, მაგრამ გამოცდა ვერ ჩავაბარე. ახლა მორიგი სემინარისთვის ვემზადები საბერძნეთში წასასვლელად. თუ ფედერაცია მსაჯობას ამიკრძალავს, ამისთვისაც მზად ვარ. ხაშურში ვმუშაობ, მეუღლე და ორი ბავშვი მყავს.

მე მიყვარს კალათბურთი და საქმეს ყოველთვის სერიოზულად ვუდგები. ჩემთვის ფიზიკური შეურაცხყოფა არასდროს მიუყენებიათ და დასანანია, რომ ეს ასეთ პრინციპულ მატჩში მოხდა. ამ ინციდენტმა ხომ „ვითა“ — „დინამოს“ ნახევარფინალური სერია გააფუჭა.

**გიორგი გიძაშვილი**



გია მოლოდინაშვილს წელს შარი და ხათაბალა არ დაჰკლებია

## რეგულარული ჩემპიონატი
# ჯორდანი დიდების მწვერვალზე

კვირას, 19 აპრილს დასრულდა NBA-ს რეგულარული ჩემპიონატი, რომელმაც გამარჯვებული ვერ გამოავლინა, უფრო სწორად, გამარჯვებული ორია: შარშანდელმა ჩემპიონმა ჩიკაგომ და ფინალისტმა იუტამ 62-62 მოგებით დაასრულეს ჩემპიონატი. ახლა ჯერი პლეი ოფზეა, რომელიც, როგორც ყოველთვის, მოულოდნელობების გარეშე არ ჩაივლის, გულშემატკივართ კი ერთი უმთავრესი კითხვა აწუხებთ — გახდება ზედიზედ მესამედ „ჩიკაგო ბულზი“ ჩემპიონი?

17 აპრილი

**სიეტლი 87:89 სან ანტონიო**
სიეტლი: ბეიკერი (21)
სან ანტონიო: დანკანი (31+11 მოხსნა), რობინსონი (22)

ამ მოგებით „სიეტლ სუპერსონიქსს“ კიდევ ეძლეოდა შანსი, დასწეოდა კონფერენციის ლიდერს, რასაც პლეი ოფში გარკვეული უპირატესობა აქვს, თუმცა ბოლო ოც წამში პეიტონმა და ჰოკინსმა თითო-თითო სროლა ააცილეს, 1,2 წამით ადრე კი სანანტონიოელმა დევიდ რობინსონმა, რომელმაც ტვინის შერყევის გამო სამი მატჩი გამოტოვა, ორი საჯარიმოთი თავის გუნდს გამარჯვება მოუტანა.

**ლეიკერსი 124:95 დალასი**
ლეიკერსი: ონილი (43), ჯონსი (21)
დალასი: ფინლი (31), დევისი (21)

ლეიკერსმა შინ დალასს გადაუარა და ამ მოგების შემდეგ დივიზიონის ლიდერ „სიეტლ სუპერსონიქსს“ გაუთანაბრდა. პირველობის წყურვილი კლავდა ლეიკერსის სუპერცენტრ შაკილ ონილსაც, ვინაც ბომბარდირობაში ჩიკაგოელ ჯორდანს ეტოქება. ამიტომაც შაკმა თავი გაიგიჟა და 43 ქულა მიითვალა. ამასთან 22 სროლიდან მხოლოდ ოთხი ააცილა. მიუხედავად ამისა, ჯორდანის გასწრება ვერ მოახერხა.

**მინესოტა 102:95 ჰიუსტონი**
მინესოტა: გარნეტი (20+10 მოხსნა)
ჰიუსტონი: უილისი (22), ოლაჯუონი (20+10 მოხსნა)

მინესოტამ საწყისი მეოთხედი 7 ქულით მოიგო და მთელი დანარჩენი დრო ამ სხვაობის შენარჩუნებას მოანდომა, რაც წარმატებით შეძლო. ამ მარცხის შემდეგ ჰიუსტონი შუადასავლეთის დივიზიონის ცხრილში მეოთხე ადგილზე დამკვიდრდა, რაც 1992 წლის შემდეგ არ უკადრია.

**ორლანდო 121:109 ნიუ ჯერსი**
ორლანდო: ანდერსონი (29)
ნიუ ჯერსი: კასელი (27), ვან ჰორნი (21)

ორლანდო უშუალო კონკურენტ ნიუ ჯერსის თავგამოდებით ეომა და ღირსეულად იმარჯვა. ამ მოგებაში ლომის წილი გუნდის ლიდერმა ნიკ ანდერსონმა დაიდო, 29 ქულას ექვს-ექვსი მოხსნა-პასი და სამი ჩაჭრა დაურთო. მას არც ბო აუთლოო ჩამორჩა, 25 ქულა, 13 მოხსნა და 10 პასი გააზერხა. ეს ტრიფლ დაბლი მისთვის პირველია სეზონში.

**დეტროიტი 108:102 მილუოკი**
დეტროიტი: ჰილი (31+12 მოხსნა + 9 პასი), სტეკჰაუზი (27)
მილუოკი: ალენი (25), კარი (25)

**მაიამი 89:97 ვაშინგტონი**
მაიამი: მურნინგი (20+18 მოხსნა)
ვაშინგტონი: ჰოვარდი (22+11 მოხსნა)

**ფილადელფია 80:87 ჩიკაგო**
ფილადელფია: კოულმენი (20)
ჩიკაგო: ჯორდანი (24)

**ინდიანა 107:98 ტორონტო**
ინდიანა: დ. დევისი (20)
ტორონტო: კრისტი (24)

**ატლანტა 121:104 შარლოტი**
ატლანტა: სმიტი (27)
შარლოტი: რაისი (30)

ეს გუნდები ერთმანეთს პლეი ოფის პირველ ეტაპზე შეხვდებიან. რეგულარულ ჩემპიონატში მათ ბოლო შეხვედრაში კი ჯორჯიელებმა უპრობლემოდ იმარჯვეს.

**ბოსტონი 78:71 კლივლენდი**
ბოსტონი: უოლკერი (17)
კლივლენდი: ილგაუსკასი (26)

**საკრამენტო 86:99 იუტა**
საკრამენტო: რიჩმონდი (20)
იუტა: მელოუნი (22)

18 აპრილი

**კლივლენდი 96:92 ინდიანა**
კლივლენდი: ილგაუსკასი (26)
ინდიანა: როუზი (26), ბესტი (21)

ორივე გუნდი გასულია პლეი ოფში და ბევრი არაფერი აქვთ სადარდებელი, მაგრამ ამ თამაშში ორივე იყო მოგების ღირსი, გამარჯვება კი მასპინძლებს დარჩათ ამომავალი ვარსკვლავის, ლიტველი ჟიდრუნას ილგაუსკასის წყალობით.

**ვაშინგტონი 112:95 ბოსტონი**
ვაშინგტონი: უებერი (27+13 მოხსნა)
ბოსტონი: უოლკერი (18), მერსერი (18)

ვაშინგტონმა ბოლო თამაშის მოგებაც მოახერხა, რითაც გაუსწორდა ნიუ ჯერსის, თუმცა ამ უკანასკნელს ერთი შეხვედრაც ჰქონდა ჩასატარებელი.

**ჩიკაგო 111:109 ნიუ იორკი**
ჩიკაგო: ჯორდანი (44)
ნიუ იორკი: ჰიუსტონი (22)

თავისი ბოლო შეხვედრა ჩემპიონმა ჩიკაგომაც მოიგო, მაგრამ ამისთვის ოფლიც საკმაოდ ღვარა. ბრწყინვალე იყო ჯორდანი, რომელმაც 44 ქულა გააკეთა და ლიგის უმთავრესი ბომბარდირის წოდება უკვე მეათედ მოიპოვა. ეს ლიგის ისტორიაში უნიკალური შედეგია. მაიკლის შემდეგ ყველაზე მეტჯერ ბომბარდირი ლეგენდარული უილტონ ჩემბერლენი გამხდარა, ვისაც ეს ტიტული 60-იან წლებში 7-ჯერ ხვდა წილად.

**მილუოკი 109:111 მინესოტა**
მილუოკი: ალენი (40)
მინესოტა: გარნეტი (24+11 მოხსნა)

მილუოკელმა რეი ალენმა 40 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა, მაგრამ მის გუნდს ესეც არ ეყო.

19 აპრილი

**პორტლენდი 82:90 სიეტლი**
პორტლენდი: რაიდერი (24)
სიეტლი: პეიტონი (27), ბეიკერი (20)

**ჰიუსტონი 93:123 ფინიქსი**
ჰიუსტონი: უილისი (21+10 მოხსნა)
ფინიქსი: რობინსონი (32)

**სან ანტონიო 96:82 დენვერი**
სან ანტონიო: დანკანი (25)
დენვერი: ფორსტონი (16)

**ნიუ ჯერსი 114:101 დეტროიტი**
ნიუ ჯერსი: გილი (27)
დეტროიტი: ჰილი (22)

ნიუ ჯერსიმ ადვილად მოახერხა დეტროიტის ძლევა, რითაც მის მდევარ ორლანდოსა და ვაშინგტონს მთელი სეზონის ნაღვაწი წყალში ჩაუყარა და ბოლო ოთხ წელიწადში პირველად მოხვდა პლეი ოფში, სადაც მას ძლევამოსილი „ჩიკაგო ბულსი“ ელის. ნიუ ჯერსის კი რეგულარულ ჩემპიონატში მასთან ოთხივე თამაში აქვს წაგებული.

**საკრამენტო 108:112 ვანკუვერი**
საკრამენტო: აბდულ-ვაჰადი (31)
ვანკუვერი: მასენბურგი (34+12 მოხსნა)

**შარლოტი 89:76 ორლანდო**
შარლოტი: რაისი (26)
ორლანდო: სტრონგი (21)

**ატლანტა 101:89 მაიამი**
ატლანტა: სმიტი (30)
მაიამი: მურნინგი (19)

**ტორონტო 78:107 ფილადელფია**
ტორონტო: კრისტი (16)
ფილადელფია: აივერსონი (26), კოულმენი (20+15 მოხსნა)

**ლეიკერსი 102:98 იუტა**
ლეიკერსი: ონილი (33+15 მოხსნა), ბრაიანტი (20)
იუტა: მელოუნი (27)

ლეიკერსელ შაკილ ონილს 59 ქულა სჭირდებოდა, ბომბარდირთა დავაში მაიკლ ჯორდანს რომ დასწეოდა, მაგრამ ამდენის დაგროვება ვერ შეძლო და მეორე ადგილს დასჯერდა. ლეიკერსს კი ისევ და ისევ კობა ბრაიანტმა მოაგებინა, ვინაც 12 ქულა ბოლო თორმეტწუთეულში გაუხერხა თავისიანებს. ლეიკერსმა კი იმარჯვა და, სიეტლის დარად, 61-ე გამარჯვება მიითვალა, მაგრამ წყნარი ოკეანის დივიზიონის ლიდერობას ვერ ეღირსა, ვინაიდან სიეტლთან უფრო მეტი წააგო, ვიდრე მოიგო. იუტამ კი, მარცხის მიუხედავად, მაინც მოიპოვა დასავლეთის კონფერენციის პირველი ადგილი, რაც იმას ნიშნავს, რომ იუტელებს თავიანთი კონფერენციის გუნდებთან პლეი ოფში მოედნის უპირატესობა ექნებათ.

**ირაკლი ფირაშვილი**

### რეგულარული ჩემპიონატის საბოლოო ცხრილი

| აღმოსავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| ჩიკაგო* | 62 | 20 | 75,6 |
| ინდიანა* | 58 | 24 | 70,7 |
| მაიამი* | 55 | 27 | 67,1 |
| შარლოტი* | 51 | 31 | 62,2 |
| ატლანტა* | 50 | 32 | 61,0 |
| კლივლენდი* | 47 | 35 | 57,3 |
| ნიუ ჯერსი* | 43 | 39 | 52,4 |
| ნიუ იორკი* | 43 | 39 | 52,4 |
| ვაშინგტონი | 42 | 40 | 51,2 |
| ორლანდო | 41 | 41 | 50,0 |
| დეტროიტი | 37 | 45 | 45,1 |
| მილუოკი | 36 | 46 | 43,9 |
| ბოსტონი | 36 | 46 | 43,9 |
| ფილადელფია | 31 | 51 | 37,8 |
| ტორონტო | 16 | 66 | 19,5 |

| დასავლეთის კონფერენცია | | | |
|---|---|---|---|
| იუტა* | 62 | 20 | 75,6 |
| სიეტლი* | 61 | 21 | 74,4 |
| ლეიკერსი* | 61 | 21 | 74,4 |
| ფინიქსი* | 56 | 26 | 68,3 |
| სან ანტონიო* | 56 | 26 | 68,3 |
| პორტლენდი* | 46 | 36 | 56,1 |
| მინესოტა* | 45 | 37 | 54,9 |
| ჰიუსტონი* | 41 | 41 | 50,0 |
| საკრამენტო | 27 | 55 | 32,9 |
| დალასი | 20 | 62 | 24,4 |
| ვანკუვერი | 19 | 63 | 23,2 |
| გოლდენ სტეიტი | 19 | 63 | 23,2 |
| კლიპერსი | 17 | 65 | 20,7 |
| დენვერი | 11 | 71 | 13,4 |

* გავიდნენ პლეი ოფში

# ლიგის ლიდერები

| | | |
|---|---|---|
| **ქულა** | | |
| მაიკლ ჯორდანი | ჩიკაგო | 28,7 |
| შაკილ ონილი | ლეიკერსი | 28,3 |
| კარლ მელოუნი | იუტა | 27,0 |
| გლენ რობინსონი | მილუოკი | 23,3 |
| მიჩ რიჩმონდი | საკრამენტო | 23,2 |
| ანტუან უოლკერი | ბოსტონი | 22,4 |
| შარიფ აბდურ რაჰიმი | ვანკუვერი | 22,3 |
| გლენ რაისი | შარლოტი | 22,3 |
| ალენ აივერსონი | ფილადელფია | 22,0 |
| კრის უებერი | ვაშინგტონი | 21,9 |
| **მოხსნა** | | |
| დენის როდმანი | ჩიკაგო | 15,0 |
| ჯეისონ უილიამსი | ნიუ ჯერსი | 13,6 |
| ტიმ დანკანი | სან ანტონიო | 11,9 |
| ჩარლზ ბარკლი | ჰიუსტონი | 11,7 |
| დიკემბე მუტომბო | ატლანტა | 11,4 |
| **პასი** | | |
| როდ სტრიკლენდი | ვაშინგტონი | 10,5 |
| ჯეისონ კიდი | ფინიქსი | 9,1 |
| სტივენ მარბერი | მინესოტა | 8,6 |
| მარკ ჯექსონი | ინდიანა | 8,6 |
| ჯონ სტოკტონი | იუტა | 8,5 |
| **ჩაჭრა** | | |
| მუკი ბლეილოკი | ატლანტა | 2,6 |
| ბრევინ ნაითი | კლივლენდი | 2,5 |
| დუგ კრისტი | ტორონტო | 2,4 |
| გერი პეიტონი | სიეტლი | 2,3 |
| ტერელ ბრენდონი | მილუოკი | 2,2 |

| | | |
|---|---|---|
| **დაფარება** | | |
| მარკუს კემბი | ტორონტო | 3,7 |
| დიკემბე მუტომბო | ატლანტა | 3,4 |
| შონ ბრედლი | დალასი | 3,3 |
| თეო რეთლიფი | ფილადელფია | 3,2 |
| დევიდ რობინსონი | სან ანტონიო | 2,6 |
| **ჩაგდება** (პროცენტებით) | | |
| ორქულიანები | | |
| შაკილ ონილი | ლეიკერსი | 58,4 |
| ბო აუთლოო | ორლანდო | 55,4 |
| ალონზო მურნინგი | მაიამი | 55,1 |
| ტიმ დანკანი | სან ანტონიო | 54,9 |
| ვინ ბეიკერი | სიეტლი | 54,2 |
| სამქულიანები | | |
| დეილ ელისი | სიეტლი | 46,0 |
| კრის მულინი | ინდიანა | 44,0 |
| ჰუბერტ დევისი | დალასი | 43,9 |
| გლენ რაისი | შარლოტი | 43,3 |
| უესლი პერსონი | შარლოტი | 43,0 |
| საჯარიმოები | | |
| კრის მულინი | ინდიანა | 93,9 |
| ჯეფ ჰორნაჩეკი | იუტა | 88,4 |
| რეი ალენი | მილუოკი | 87,5 |
| დერეკ ანდერსონი | კლივლენდი | 87,3 |
| ტრეისი მიურეი | ვაშინგტონი | 87,1 |

# ახალი ქართული სიტყვა





ყოველივე ახალი კარგად დავიწყებული ძველია.

არსებობენ ფასეულობები, რომლებიც არასოდეს ძველდებიან, რომლებსაც მხოლოდ ივიწყებენ ხოლმე, როგორც რაღაც უმნიშვნელოს, ან თავისთავად ცხადსა და გასაგებს. მაგრამ გადის დრო და საჭირო ხდება მათი ხელახალი აღმოჩენა.

საჭირო ხდება, რადგან ყველაზე მყარი და საიმედო სწორედ ის არის, რაც მრავალგზის გამოცდილია და ახალი დროის გამოცდას კვლავაც გაუძლებს. ტრადიციული ფასეულობები ერთნაირად გვჭირდება ყველგან, შინ და გარეთ, ოჯახსა და სამსახურში, პირად ცხოვრებასა თუ საქმიან ურთიერთობებში.

ნდობა, თანამშრომლობა, საიმედოობა...

სწორედ ეს მარტივი პრინციპებია ის პირველმიზეზი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს ყოველივე ჩვენს საქმიანობაში. მტკიცე საძირკვლის გარეშე კეთილდღეობა ისევე სწრაფად ინგრევა, როგორც ქვიშაზე ნაგები სახლი. ნებისმიერ წამოწყებას მხოლოდ მაშინ გააჩნია მომავალი, როდესაც იგი ურთიერთგაგებას ეფუძნება.

ფასეულობებს, რომლებიც შესაძლებელს ხდის ქართუს ნაწარმის შექმნას, ჩვენ თქვენგან ვიღებთ და განივთებული სახით ისინი ახლა თქვენთან ბრუნდებიან.

ძველად სჯეროდათ, რომ ნივთთან ერთად ნივთის იდეაც არსებობს. თუ ამას ვირწმუნებთ, მაშინ ჩვენ შევძლებთ, რომ ჩვეულებრივი საგნებით ჩვენს ყოფას სითბო და სინათლე შევმატოთ.

ქართუ

რეგულარული ჩემპიონატი

# ყველაფერი ნათელია

**კოლორადო — დეტროიტი 4:3**

**შაიბები: ლემიე 25 (1:0), ბრაუნი 19 (1:1), ლემიე 26 (2:1), საკიკი 27 (3:1), მაკარტი 14 (3:2), მაკარტი 15 (3:3), ფორსბერგი 23 (4:3)**

ვინ იფიქრებდა, რომ სატურნირო თვალსაზრისით სრულიად უმნიშვნელო მატჩში, ისიც მაშინ, როცა პლეი ოფის დაწყებამდე სულ რაღაც ოთხი დღეღა დარჩა, ჩემპიონატის ფავორიტები მტრობას დაივიწყებდნენ და ულამაზეს სანახაობას აჩუქებდნენ ჰოკეის ქომაგებს. მეტოქეებმა თავიდანვე სათადარიგოებად გაამწესეს ძირითადი მეკარეები — რუა და ოსგუდი, რაც ერთმანეთთან ანგარიშსწორებაზე უარის თქმას ნიშნავდა და პირველივე წუთებიდან თვალსასეირო კომბინაციების ჩვენებასა და ცალკეულ მოთამაშეთა ოსტატობაში გაჯიბრება ამჯობინეს. უპირატესობა სტუმრებს ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ მათ ოთხი წამყვანი თავდამსხმელი აკლდათ (აიზერმანსა და ლარიონოვს შენაჰანი და კოზლოვი დაემატათ), „წითელფრთიანები“ გაცილებით მეტს უტევდნენ და რომ არა ფატალური უიღბლობა და კოლორადოელთა მეორე მეკარის კრეიგ ბილინგტონის საუცხოო თამაში, ალბათ, თავიანთ უპირატესობას ანგარიშშიც ასახავდნენ. არადა, მას შემდეგ, რაც საჯარიმო სკამიდან მოედანზე შესულმა ჯო საკიკმა ზუსტი დარტყმით დაასრულა გარღვევა, თითქოსდა ყველაფერი გაირკვა, მაგრამ სტუმრებმა მაკარტის ძალისხმევით ბოლოსწინა წუთისთვის გაათანაბრეს ანგარიში, თანაც მეორე გოლი (მაკარტის ჩინებულად მიაწოდა ჰოლმსტრიომმა (2 პასი) მეკარის მეექვსე მოთამაშით შეცვლის შემდეგ გაიტანეს. და მაინც, ბოლო სიტყვა კოლორადომ თქვა. დეტროიტელი ჰოდსონის კარში დაბრუნებიდან ოცი წამიც არ გასულიყო, რომ სტუმართა მცველების წამიერი დაბნევით პეტერ ფორსბერგმა ისარგებლა და თანაკლუბელებს შესანიშნავი წინასაპლეიოფო განწყობილება შეუქმნა.

**17 აპრილი.** **ვანკუვერი — კალგარი 2:4**

**18 აპრილი.** **კაროლინა — ვაშინგტონი 3:4, პიტსბურგი — ბოსტონი 5:2, მონრეალი — ბუფალო 3:3, ნიუ ჯერსი — აილენდერსი 1:2, ტამპა — ფლორიდა 2:2, დალასი — ჩიკაგო 3:1, ფინიქსი — სენტ ლუისი 4:5, ედმონტონი — ტორონტო 4:3, სან ხოსე — კალგარი 4:1, ლოს ანჯელესი — ანაჰაიმი 1:4**

**19 აპრილი.** **ბოსტონი — ფილადელფია 2:1, ბუფალო — ოტავა 1:2, ვაშინგტონი — კაროლინა 2:1, ვანკუვერი — ტორონტო 1:2, ანაჰაიმი — სენტ ლუისი 3:5**

ნჰლ-ის 81-ე ჩემპიონატიც გასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ პლეი ოფში გასული 16-ვე გუნდის ვინაობა ცნობილი იყო, ბოლო უქმეებს ბევრი რამ უნდა გაერკვია და წლევანდელი პირველობის უკანასკნელმა დღემ, 19 აპრილმა ყველაფერს ნათელი მოჰფინა კიდეც.

### დალასს ჩემპიონობის არ ეშინია

წინა „სარბიელში“ ვწერდით, ჩემპიონატის, ანუ პრეზიდენტის თასის მოგება მაინცდამაინც არც ერთ გუნდს არ სურს, რადგან პლეი ოფში ეს უიღბლობის მომასწავლებელიაო. ალბათ, ამიტომაც არ მოიკლა შაბათს თავი ნიუ ჯერსიმ, რომელიც შინ აილენდერსთან დამარცხდა. მთელი ორი პერიოდის განმავლობაში მასპინძლებს არაფერი ეტყობოდათ, რომ თავიანთი საუკეთესო შემადგენლობით თამაშობდნენ და სლოვაკი პალფის 2 შაიბის (სულ — 45) შემდეგღა გამოცოცხლებულებმა ერთი გოლის გაქვითვის მეტი ვეღარაფერი მოახერხეს.

სამაგიეროდ, ნაკლებად გამოცდილმა დალასმა, რომელიც მხოლოდ მეორე წელია, რაც ელიტაში დამკვიდრდა, აინუნშიც არ ჩააგდო წინასაპლეიოფო ცრურწმენა და იოლად მოუგო ჩიკაგოს, თანაც, ტრავმამოშუშებულ მაიკ მოდანოს (2 პასი) გამოჯანმრთელების სიხარულს ხომ არ ჩაუმწარებდა. ასე იყო თუ ისე, დალასმა 109 ქულით თავის ისტორიაში პირველად მოიგო რეგულარული ჩემპიონატი. აღსანიშნავია, რომ „ვარსკვლავებმა“ „ქორებს“ სამივე შაიბა რიცხვმრავლობაში გაუტანეს, აქედან ერთი ნუინდაიკის (39) ანგარიშზეა.

### ჰოკეი ქეიფი არ არის: სტუმრობას მასპინძლობა სჯობს

აღმოსავლეთში ერთ-ერთ უმთავრეს კითხვას უნდა გასცემოდა პასუხი — ვინ დაიკავებდა მეოთხე ადგილს, რომელიც, წინა სამის დარად, საკუთარი მოედნის უპირატესობას იძლევა. ამის თეორიული შანსი ოთხ გუნდს ჰქონდა, მაგრამ შაბათსვე ამ დავას მონრეალი გამოეთიშა, რომელმაც ბუფალოსთან მხოლოდ ფრე გაახერხა. ეს ერთი ქულა კანადელებს ფორვარდმა სავაჟმა (2+1,26) მოუტანა, რომელმაც ბოლო პერიოდში შეძლო ჰაშეკის მოტყუება.

კვირას კი ბუფალო ისე დაჩაგრა ოტავამ, რომ მინიმალური ანგარიშით დამარცხება „ხმლებისთვის“ საუკეთესო შედეგად უნდა ჩაითვალოს: იმ 51 დარტყმიდან, რომლითაც „სენატორებმა“ დასეტყვეს მასპინძლები, მხოლოდ მაკიჩერნის ორმა შაიბამ (სულ — 24) მიაღწია მიზანს, ხოლო თუ ოტავა ასევე მრისხანედ ითამაშებს თასის პირველ რაუნდში, დიდ პრობლემებს შეუქმნის ნიუ ჯერსის.

დარჩენილი ორი პრეტენდენტიდან ვაშინგტონმა იმარჯვა, რომელმაც ორჯერ უშელავათო ბრძოლაში წაართვა მოგება კაროლინას. ამ ორდღიანი დუელის გმირმა პეტერ ბონდრამ პირველ მატჩში გადამწყვეტი და სეზონში საიუბილეო 50-ე შაიბა შეაგდო, მეორე შეხვედრაში კი პირველივე წუთზე გატანილი არ იკმარა და უმცირესობაშიც გამოირჩა. ამით დედაქალაქელს 52 გოლი დაუგროვდა და ახლა იგი ანაჰაიმელ ტეემუ სელიანესთან ერთად ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირობას იყოფს. „კეპიტალსი“ კი ზედიზედ ორმა გამარჯვებამ მეოთხე ადგილზე ალაზევა, მით უმეტეს, ბოსტონელმა „დათვებმა“ ორი მატჩიდან მხოლოდ ერთი მოიგეს. პიტსბურგში მათ სტრაკა (3+0,19 პირველი ჰეთ-ტრიქი სეზონში) — ლანგის (0+3) დუეტი გადაელობა, რომელსაც კარგად დაეხმარა ახალბედა რუსი მოროზოვი (2 პასი), ხოლო მთავარმა „პინგვინმა“ იარომირ იაგრმა თავის მონაგარს გოლი და შედეგიანი პასი შეჰმატა და 102 (35+67) ქულით თავის კარიერაში ზედიზედ მეორედ გახდა ნჰლ-ის საუკეთესო ბომბარდირი.

### ედმონტონმა დალასი აიცილა

დასავლეთში კი საპლეიოფო რვეულში პირველი ექვსი საგზური უკვე განაწილებული იყო, მხოლოდ ედმონტონსა და სან ხოსეს შეეძლოთ, ადგილები გაეცვალათ. თუმცა „მენავთობეებმა“ ყველა ღონე იხმარეს, რათა პლეი ოფში დალასთან შეხვედრას ასცდენოდნენ — მათ ხომ შარშან სენსაციურად სძლიეს „ვარსკვლავებს“ და, ცხადია, ჩემპიონისგან ანგარიშსწორების პერსპექტივა მაინცდამაინც არ ხიბლავთ. ამიტომაც თავი არ დაზოგეს და მარჩანტ (1+1,14) — მაკამონდის (1+1,19) დუეტის ძალისხმევით აჯობეს ტორონტოს. ამით ედმონტონელებმა მერვე ადგილზე დატოვეს სან ხოსე, რომელმაც კარგი წინასაპლეიოფო მზადყოფნა გამოიჩინა, მიუხედავად იმისა, რომ კალგარისთან მატჩი ალარაფერს წყვეტდა. მასპინძელთაგან კრეივენმა (0+2), ნიკოლსმა (1+1,6) და მერფიმ (1+1,4) გამოიჩინეს თავი.

### სელიანეს დაშავებულსაც ვერ აჯობეს

თუ ბომბარდირთა შორის გამარჯვებული კარგა ხანია, გაირკვა (სხვათა შორის, მხოლოდ იაგრმა მოახერხა 100-ქულიანი ზღვარის გადალახვა, რაც ბოლო ოცი წლის განმავლობაში პირველად მოხდა — ადრე ამას 2-3 კაცი ახერხებდა), სნაიპერთა დავაში ერთბაშად სამ ჰოკეისტს შეეძლო დაშავებული სელიანეს ჩამოტოვება. ფინელთან პაექრობის გარდა, ორი მათგანი — ვაშინგტონელი ბონდრა და ვანკუვერელი ბურე პრესტიჟული 50-შაიბიანი ზღვარის დალაშქვრასაც უმიზნებდა. ბონდრაზე უკვე მოგახსენეთ, ბურემ კი ორი უშედეგო თამაშის შემდეგ თითო-თითო შეუგდო კალგარისა და ტორონტოს და 51 შაიბით მესამე ადგილი გაიყო ფილადელფიელ ლეკლერთან. ამასთან, გაისად მისი გასამრჯელო ერთი მილიონით გაიზრდება და 8 მილიონს მიაღწევს. გასამრჯელო გასამრჯელოდ, მაგრამ სელიანეს ვერავინ გაუსწრო.

საუკეთესო ასისტენტის წოდება კი იაგრთან ერთად გრეცკის ერგო, რომელმაც ერთი ზუსტი პასით (იგი უეინის ათამაშებულმა პარტნიორმა კოვალიოვმა (23) გამოიყენა) ოდნავ გაახალისა ნიუიორკელები სეზონის მიწურულს. აღსანიშნავია, რომ რეინჯერსის მეტოქემ, მრისხანე ფილადელფიამ კვლავ დაიბრუნა ლეკლერ — ლინდროს — ზუბრუსის პირველი სამეული, თუმცა ამ ტრიოს მონაგარი ორ წაგებულ შეხვედრაში ლიტველის ერთადერთი გოლია (სულ — 8).

### სამსონოვი კაი ბიჭია

ბოსტონის 18 წლის ფორვარდი სერგეი სამსონოვი ისე ჩინებულად ათამაშდა ჩემპიონატის მეორე ნახევარში, რომ სპეციალისტთა უმეტესობამ მას უყოყმანოდ უწინასწარმეტყველა საუკეთესო ახალბედას ტიტული. რუსს დებიუტანტთა შორის ბომბარდირობაღა აკლდა, სრულად რომ დაეკმაყოფილებინა თავისი ამბიციები და ამასაც შესწვდა: ფილადელფიასთან გატანილი ერთი გოლის წყალობით 47 (22+25) ქულა დაუგროვდა და ყველას გაასწრო, მით უმეტეს, რომ მისი მთავარი კონკურენტი, 23 წლის ტორონტოელი მაიკ ჯონსონი უქმეებზე არაფრით გამორჩეულა. მანაც 47 ქულით, ოღონდ მხოლოდ 15 შაიბით, მეორე ადგილი იკმარა.



პიტსბურგელებს საპლეიოფოდ, ცხადია, იარომირ იაგრის იმედი აქვთ



სლოვაკი პეტერ ბონდრა (მარჯვნივ) მეორედ გახდა რეგულარული ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერი

### მწარე ბლუზი

სენტლუისელებმა, რომელთაც ყველა საზრუნავ-სადარდებელი უკან მოიტოვეს, პლეი ოფის წინ კიდევ ერთხელ დაუმტკიცეს მოწინააღმდეგეთ, რომ წლეულს საგრძნობლად უმატეს თავდასხმაში. ფინიქსი და ანაჰაიმი „ბლუზმენებმა“ 10 შაიბით გაამწარეს, რაშიც, ტარჯონისა (2+0,22) და ჰალის (1+2,27) გარდა, ახალგაზრდა პიკარმა (2 მატჩში სეზონის პირველ შაიბას 3 შედეგიანი პასი დაამატა) და ერთ-ერთმა უძლიერესმა „მეომარმა“ ტონი ტვისტმა (1) დაიდეს წილი.

### სამველ ლარიბიანი

**ბომბარდირები:** იაგრი (პიტსბურგი) 102 (35+67), ფორსბერგი (კოლორადო) 91 (25+66), ბურე (ვანკუვერი) 90 (51+39), გრეცკი (რეინჯერსი) 90 (23+67), ლეკლერი (ფილადელფია) 89 (51+38), ფრენსისი (პიტსბურგი) 87 (25+62), სელიანე (ანაჰაიმი) 86 (52+34), პალფი (აილენდერსი) 86 (45+41), ელისონი (ბოსტონი) 83 (33+50), ბონდრა (ვაშინგტონი) 78 (52+26), ფლერი (კალგარი) 78 (27+51), შტუმპელი (ლოს ანჯელესი) 78 (21+57), ოუთსი (ვაშინგტონი) 76 (18+58), რექი (მონრეალი) 74 (32+42), ბრინდამორი (ფილადელფია) 73 (36+37), სუნდინი (ტორონტო) 73 (32+41), ამონტე (ჩიკაგო) 73 (31+42)

**სნაიპერები:** სელიანე და ბონდრა 52, ბურე და ლეკლერი 51, პალფი 45, ტკაჩუკი (ფინიქსი) 40, ნუინდაიკი (დალასი) 39, ბრინდამორი 36, იაგრი 35, უიტნი (ფლორიდა), ელისონი და იაშინი (ოტავა) 33

**ასისტენტები:** იაგრი და გრეცკი 67, ფორსბერგი 66, ფრენსისი 62, ოუთსი 58, შტუმპელი 57, ფლერი 51, უეისბერი 49, ზუბოვი (დალასი) 48, ტარჯონი (სენტ ლუისი) 46

**მეკარეები:** ბელფორი (დალასი) 1,88 გაშვებული შაიბა საშუალოდ ერთ მატჩში; ბროდო (ნიუ ჯერსი) 1,89; ბარასო (პიტსბურგი) 2,07; ჰაშეკი (ბუფალო) 2,09; კიდი (კაროლინა) და ჰექსტოლი (ფილადელფია) 2,17; მაკლენანი (სენტ ლუისი), ჰეკეტი (ჩიკაგო), კოლციგი (ვაშინგტონი) და ოსგუდი (დეტროიტი) 2,20

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი** | | | | | | |
| *ნიუ ჯერსი* | 82 | 48 | 11 | 23 | 225:166 | 107 |
| *პიტსბურგი* | 82 | 40 | 18 | 24 | 228:188 | 98 |
| *ფილადელფია* | 82 | 42 | 11 | 29 | 242:193 | 95 |
| *ვაშინგტონი* | 82 | 40 | 12 | 38 | 219:202 | 92 |
| *ბოსტონი* | 82 | 39 | 13 | 30 | 221:194 | 91 |
| *ბუფალო* | 82 | 36 | 17 | 29 | 211:187 | 89 |
| *მონრეალი* | 82 | 37 | 13 | 32 | 235:208 | 87 |
| *ოტავა* | 82 | 34 | 15 | 33 | 193:200 | 83 |
| კაროლინა | 82 | 33 | 8 | 41 | 200:219 | 74 |
| აილენდერსი | 82 | 30 | 11 | 41 | 212:225 | 71 |
| რეინჯერსი | 82 | 25 | 18 | 39 | 197:231 | 68 |
| ფლორიდა | 82 | 24 | 15 | 43 | 203:256 | 63 |
| ტამპა | 82 | 17 | 10 | 55 | 151:269 | 44 |
| **დასავლეთი** | | | | | | |
| *დალასი* | 82 | 49 | 11 | 22 | 242:167 | 109 |
| *კოლორადო** | 82 | 39 | 17 | 26 | 231:205 | 95 |
| *დეტროიტი* | 82 | 44 | 15 | 23 | 247:192 | 103 |
| *სენტ ლუისი* | 82 | 45 | 8 | 29 | 256:204 | 98 |
| *ლოს ანჯელესი* | 82 | 38 | 11 | 33 | 227:225 | 87 |
| *ფინიქსი* | 82 | 35 | 12 | 35 | 224:227 | 82 |
| *ედმონტონი* | 82 | 35 | 10 | 37 | 215:224 | 80 |
| *სან ხოსე* | 82 | 34 | 10 | 38 | 210:216 | 78 |
| ჩიკაგო | 82 | 30 | 13 | 39 | 192:237 | 73 |
| ტორონტო | 82 | 30 | 9 | 43 | 194:237 | 69 |
| კალგარი | 82 | 26 | 15 | 41 | 217:252 | 67 |
| ანაჰაიმი | 82 | 26 | 13 | 43 | 202:256 | 65 |
| ვანკუვერი | 82 | 25 | 14 | 13 | 224:273 | 64 |

** კოლორადო, როგორც დივიზიონის გამარჯვებული, კონფერენციაში მეორე ადგილზეა.*

# ტამპა ძალიან შერცხვა

ჯერ კიდევ ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი თვით ადრე დაემუქრა ლიგის ერთ-ერთ უძველეს ანტირეკორდს საშიშროება და ახლახან იგი დაემხო კიდეც: ტამპელები ისე „კარგად გაისარჯნენ“, რომ ვაშინგტონელთა 1974-75 წლების „მიღწევა“ — ოდენ 181 გოლი — 30 შაიბით „გააუმჯობესეს“: 151 შაიბით ჩაამთავრეს რეგულარული ჩემპიონატი.

# ცხრა კანადელი თანახმაა, სამი — არა

როგორც კანადური გაზეთი „ტორონტო სანი“ იუწყება, ქვეყნის ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა პეტ ქუინმა დაასახელა იმ ცხრა ჰოკეისტის ვინაობა, რომლებმაც მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს: მეკარე ფელიქს პოტვენი (ტორონტო); მცველები ბრაიან მაკეიბი (ვანკუვერი), ედ ჟოვანოვსკი, გორდ მერფი (ორივე — ფლორიდა) და კორი კროსი (ტამპა); ფორვარდები ტრევის გრინი (ანაჰაიმი), რეი უიტნი (ფლორიდა), ტრევორ ლინდენი (აილენდერსი) და რობ ზამუნერი (ტამპა). ეს ორი უკანასკნელი ნაგანოშიც იყო ოლიმპიური ნაკრების შემადგენლობაში, ხოლო მაკეიბი და გრინი შარშანდელი პირველობის გამარჯვებულები არიან.

სამწუხაროდ, კანადის ნაკრები არ გაძლიერდება უეინ გრეცკით, მარკ მესიეთი და ადამ გრეივზით (რეინჯერსი). მათი უარი მეტად გულდასაწყვეტია, მაგრამ პეტ ქუინს დიდი იმედი აქვს, რომ ნაკრებს პლეი ოფის პირველ რაუნდში გავარდნილი გუნდების ვარსკვლავები შეემატებიან.

# ოცნებით სავსე ამერიკა

ჩიკაგოელი „ქორების“ პლეი ოფის მიღმა დარჩენამ ყველაზე მეტად აშშ-ის ნაკრების ხელმძღვანელები გაახარა, რადგან ისინი ციურიხში კლუბის ლიდერებს — კრის ჩელიოსს, გერი სუტერსა და ტონი ამონტესაც იახლებენ, მით უმეტეს, ჯერჯერობით არც ერთ მათგანს არ უთქვამს უარი. რაც შეეხება ვანკუვერისა და ლიგის ყველაზე უდისციპლინო ჰოკეისტს დონალდ ბრაშირს, მას ერთ-ერთ ღამის ბარში მომხდარმა ინციდენტმა, შესაძლოა, პრობლემები შეუქმნას

# რუსებს ვარსკვლავები გაუნაზდათ

რუსეთის ნაკრების უპირველესმა ვარსკვლავმა პაველ ბურემ ოფიციალური უარი განაცხადა მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობაზე, რაც იმით ახსნა, რომ უმძიმესი სეზონი ჰქონდა. გარდა ამისა, ჰოკეისტი შიშობს, ძველი ტრავმები არ გაურთულდეს. ამავე მიზეზით დარჩებიან შინ ჩიკაგოელი ალექსეი ჟამნოვი, კალგარელი გერმან ტიტოვი და ვალერი ბურე. წინასწარი ინფორმაციით, გუნდის მწვრთნელის ვლადიმერ იურზინოვის განკარგულებაში რვა მოთამაშეა: მცველი იუშკევიჩი (ტორონტო), ფორვარდები კოვალიოვი (რეინჯერსი), ვიქტორ კოზლოვი (ფლორიდა), ბერეზინი, კოროლიოვი (ორივე — ტორონტო), ნაზაროვი (ტამპა), კრივოკრასოვი (ჩიკაგო) და ნემჩინოვი (აილენდერსი).

# შვედებს სუნდინი გაუძღვებათ



შვედები ზეიმობენ — მათი მთავარი იმედი, ტორონტოს ცენტრფორვარდი მატს სუნდინი თანახმაა, მსოფლიოს ჩემპიონატზე „ტრე კრუნურის“ შეტევებს გაუძღვეს. შეგახსენებთ, რომ სუნდინი 1991 და 1992 წლებში მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ხოლო იმავე 1991-სა და 1994-ში პირველობის საუკეთესო სნაიპერიც იყო. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ასეთი „ლვაწლმოსილი“ თავდამსხმელის თანხმობა შვედების წინასაჩემპიონატო განწყობა ერთობ აამაღლა.

# მწვრთნელი ბევრს არ ლაპარაკობს

## ოღონდ იმედიანი სიტყვა მაინც წამოსცდა

**ერთი დღეც და ევროპელი ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავენი კონტინენტის ჩემპიონატს დაიწყებენ მინსკში. ქართველი მოჭიდავეები გუშინ გაემგზავრნენ ბელარუსის დედაქალაქში, ორიოდ დღით ადრე კი მათ მთავარ მწვრთნელს ბეგი დარჩიას გავესაუბრეთ.**

— სამზადისი, ტურნირებიც და შეკრებებიც, ჩემი აზრით, ნორმალურად გავლიეთ. წონით კატეგორიებში ლიდერების შესარჩევად ნაკრების კანდიდატები ირანისა და ბულგარეთის „ა" კატეგორიის საერთაშორისო ტურნირებში ვაასპარეზეთ, ამას დაემატა საქართველოს ჩემპიონატიც. სწორედ ამ შეჯიბრებათა შედეგების გათვალისწინებით შეირჩა ნაკრები, რომელმაც შეკრებები გაიარა ჯერ ბაკურიანში, მერე თბილისში. ვთვლი, რომ კარგად, ნაყოფიერად ვივარჯიშეთ, გუნდის მომზადების ამჟამინდელი დონით კმაყოფილი ვარ, შემიძლია ვთქვა, რომ ევროპის ჩემპიონატზე უშანსოები არ ვიქნებით.

მინსკში ჩვენი გუნდის შემადგენლობა ასეთი იქნება: 58 კგ — **კობა გულიაშვილი**, 63 — **აკაკი ჩაჩუა**, 69 — **ტარიელ მელელაშვილი**, 76 — **ხვიჩა ბიჩინაშვილი**, 85 — **ემზარ მახარაძე**, 97 — **ზაზა სილაგაძე**, 130 — **მირიან გიორგაძე**. შეამჩნევდით, მინსკში არასრული შემადგენლობით გამოვალთ — მონაწილე არ გვეყოლება 54 კილოში. ამ წონაში უძლიერესი ახალგაზრდა ვაჟა ომანიძეა, მაგრამ ვინაიდან მას ასეთი მაღალი რანგის ტურნირებში ჭიდაობის გამოცდილება არა აქვს, მწვრთნელთა საბჭომ გადაწყვიტა, 27-30 მაისს ანკარაში, სტუდენტთა მსოფლიოს ჩემპიონატზე სცადოს ძალა სამომავლოდ აუცილებელი გამოცდილების შესამატებლად.

**— ვიცი სხვებივით, არც თქვენს ფედერაციას ულხინს ფინანსურად. თქვენს მიერ ნახსენებ მოსამზადებელ შეკრება-ტურნირებისას ვინ გეხმარებოდათ?**

— სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი გვაფინანსებს. ძალიან გვეხმარება თბილისის სპორტის სამმართველოს უფროსი ვლადიმერ კანკავა, ეს კაცი მუდამ მხარში გვიდგას. რაც შეეხება უშუალოდ, გუნდის მზადებას, ამ საქმეში მონაწილეობდნენ ოთარ ტატიშვილი, თამაზ რეხვიაშვილი, ვლადიმერ ადეიშვილი და მეცნიერ-კონსულტანტი გურამ რატიშვილი.

ბატონ ბეგისთან ინტერვიუ აქ დამთავრდა, თუმცა, მერწმუნეთ, მე აქ არაფერ შუაში ვარ. ზოგმა არცთუ უმნიშვნელო, მაგრამ პასუხგაუცემელმა კითხვამ თქვენამდე. ცხადია, მე გამიჩინა უკმარისობის გრძნობა. ამ კითხვებში მთავარი ეს იყო: ვიბრძოლებთ და ველირსებით მინსკში ჩვენთვის ესოდენ სანატრელ ევროპულ ოქროს? ჩვენიანთაგან ვის აქვს ამისი შანსი? რა მიზანს ისახავს ნაკრები საერთოდ? მსგავსი კითხვები სხვაც იყო, მაგრამ... საევროპოჩემპიონატო პერსპექტივებზე საუბრისას ბატონმა ბეგიმ, რომელიც სიტყვაძუნწი ნამდვილად არ ჩანს, რომ იტყვიან, პირში წყალი ჩაიგუბა და როგორც თავად განაცხადა, პროგნოზებისგან შეგნებულად შეიკავა თავი. რა აღარ ვცადე, მაგრამ ამაოდ. ერთადერთი, რასაც გამოვრჩი, ეს იმედიანი ფრაზა იყო — უმედლოდ არ დავბრუნდებითო, ოღონდ ამასაც როგორღაც სინანულით დაამატა, მაინც წამომცდინე რაღაცაო. ერთი სიტყვით, წინასწარ ხმამაღალ ლაპარაკს ნაკრების მწვრთნელი სიფრთხილეს არჩევს, უთუოდ შემდგომი გართულებების თავიდან ასაცილებლად, თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ეს მისი ნება და უფლებაა. მთავარი ხომ საქმეა და არა შეპირება-ლაპარაკი. სწორედ ამ საქმის ანუ ჩვენი „ბერძენ-რომაელების" წარმატების მომლოდინენი ვართ რა ხანია და კვლავაც გვიღვივის იმედი, იქნებ ახლა მაინც გამოვკრათ ოქროს ხელი... ისე კი, ბოლოს ესეც გავიხსენოთ: დღევანდელ გუნდში მსგავსი რანგის შეჯიბრების მედლებთან გაშინაურებული მხოლოდ ერთი კაცია — სამტრედიელი აკაკი ჩაჩუა, რომელმაც ორი წლის წინ, ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. იმავე ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი, 69 კგ წონის ქუთაისელი გიორგი ჯინჭველაშვილი ამჯერად ნაკრებში ვერ მოხვდა. როგორც ბატონმა ბეგიმ განაცხადა, მას ალალად და დამსახურებულად აჯობა ტარიელ მელელაშვილმა, რომელსაც ატლანტის ოლიმპიადაზე მიღებული ტრავმის შემდეგ მსგავსი რანგის ტურნირზე არც უასპარეზია. ისეთი კონკურენცია, როგორიც ამ წონაშია, მწვრთნელმა ყველა წონაში ინატრა. თუმცა, ბოლო მომენტამდე 130 კგ-შიც ყოფილა გაურკვევლობა, რომელიც ბულგარეთის ტურნირის მერეღა გაქარწყლებულა. ამ წონაში, რამდენიმე წელია, ხვიჩა ქორიძისა და მირიან გიორგაძის კონკურენციის მოწმენი ვართ. საქართველოს შარშანდელი ჩემპიონატის ფინალი ხვიჩამ მოიგო, თუმც ამას დიდი მითქმა-მოთქმაც მოჰყვა, რადგან ზოგის აზრით, გიორგაძე მსაჯებმა გაწირეს. საქართველოს წლევანდელი პირველობის ფინალში ისევ ქორიძემ იმარჯვა, თანაც ამჯერად უსკანდალოდ და წლის დამდეგისთვის კონკურენტზე მეტი შანსი მას ჰქონდა, მაგრამ ირანის ტურნირზე ხვიჩა მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა, მირიანმა კი პირველი ადგილი დაიკავა. იქ ირანში ისინი ერთმანეთს არ დასჭიდებიან, ამიტომ მწვრთნელებმა ბულგარეთში მისცეს ორივეს ბოლო შანსი და იგი გიორგაძემ ჩინებულადაც გამოიყენა — ორჯერ შეხვდა, ორჯერვე მოუგო ქორიძეს და მინსკის საგზური მოიპოვა.

ისე, თუ ყველა წონაში მართლაც ასეთი კონკურენცია იქნება, მაშინ სანატრელი აღარც ოქროს მედლები გვექნება.

**ირაკლი თავაძე**



# ქალებს მშვიდ, შვეიცარიულ ცხოვრებას არჩევენ

## მათ კაცებივით ნოკაუტით ცხოვრება მოუწევთ

**თბილისის ჭადრაკის სასახლეში 13 აპრილს დაიწყო და 23 აპრილს დასრულდება საქართველოს მოჭადრაკე ქალთა ჩემპიონატი, რომელიც წელსაც, ტრადიციულად, შვეიცარიული სისტემით, 9 ტურად ტარდება, სამომავლოდ კი...**

გუშინ მე-6 ტურის პარტიები გათამაშდა და აქამდე წაუგებელი, მონაწილეთაგან ერთადერთი დიდოსტატი მაია ლომინეიშვილიც დამარცხდა. მაიამ სოფიკო ნიკოლაძისგან იწვნია მარცხი, რაც ლიდერობის დაკარგვად დაუჯდა. ძველი ლიდერი ერთბაშად ორმა მოწინავემ შეცვალა: 6 ტურის შემდეგ 5-5 ქულა აქვთ ლომინეიშვილის მძლეველ ნიკოლაძეს და ნატო ეძგვერაძეს, რომელმაც ამ ტურში შავებით მოუგო ლელა ჯავახიშვილს. 4,5 ქულა დარჩა ლომინეიშვილს, ამდენივე კი გაუხდა სოფიკო გვეტაძეს, რომელმაც ორი სოფოს დუელში იმარჯვა — ტყეშელაშვილს მოუგო. ჩემპიონატში რეიტინგით მე-17 გვეტაძისგან ესოდენი „პრეტენზიები" ერთობ მოულოდნელი აღმოჩნდა მისი მეტოქეებისთვის. 4 ქულა ერთბაშად ხუთმა მოჭადრაკემ დააგროვა, ამდენმავე — 3,5. მოკლედ, მთავარ ბრძოლებს პირველობის მონაწილენი დარჩენილ 3 ტურში გადაიხდიან და 23 აპრილს იმ სამეულის ვინაობას შევიტყობთ, მსოფლიოს ჩემპიონატის ზონალურ ტურნირში მონაწილეობის უფლებას რომ ირგუნებს. ზონალური ტურნირის კიდევ 2 მონაწილეს საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია დაასახელებს.

ბარემ აქვე იმასაც გაუწყებთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის თაობაზე ვითარება ერთობ ბუნდოვანია. ფიდეს საქმეებში ჩახედული ხალხის თქმით, შესაძლოა, საერთოდ გაუქმდეს საზონათშორისო და პრეტენდენტთა ტურნირები და ვაჟთა ჩემპიონატის მსგავსად ქალებიც „ნოკაუტ-სისტემით" ათამაშონ. თუმცა, რანაირი სისტემითაც უნდა გაიმართოს ჩემპიონატი, ჩვენი ქალების „დიდი ტრიუმვირატის" — ჩიბურდანიძის, იოსელიანის და არახამიას მონაწილეობა ეჭვს არ იწვევს. ისინი ყოველგვარი ზონალური „ბილიკების" გაუვლელად შეუყვებიან ტახტისკენ სავალ გზას.

**დავით გულუა**



# იანკების დაბრუნება

**ბარსელონა. ესპანეთი.**
**Conde de Godo-ს პირველობა.**
**ტარდება თიხნარზე.**
**საპრიზო 950 000 $**

**მეოთხედფინალი: ალბერტო ბერასატეგი (7, ესპანეთი) — ევგენი კაფელნიკოვი (1, რუსეთი) 6:4, 6:4; ანდრეა გაუდენცი (იტალია) — სერხი ბრუგერა (8, ესპანეთი) 3:6 6:2, 6:3; კარლოს მოია (6, ესპანეთი) — დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) 4:6, 6:3, 6:3; ტოდ მარტინი (აშშ) — კარლოს კოსტა (ესპანეთი) 6:4, 6:2**

უცხო თვალისთვის მსოფლიოს მეექვსე ჩოგანი და როლან გაროსის ექსჩემპიონი ევგენი კაფელნიკოვი ალბერტო ბერასატეგისთან მატჩის ფავორიტად კი ჩაითვლებოდა, მაგრამ მათი პირადი შეხვედრების ისტორიას ვინც გადახედავდა, რუსზე გახვრეტილი გროშიანის დადებასაც კი არ ირისკებდა. „მას ხშირად უთქვამს, რომ არ უყვარს ჩემთან თამაში, მაგრამ იმედია, არც ამის შემდეგ დამემდურება" — იხუმრა მატჩის შემდეგ ბერასატეგიმ, რომელმაც სოჭელი ჟენია ზედიზედ მეექვსედ გააწბილა ერთი ხელის დაუთმობლად.

იტალიელმა ანდრეა გაუდენციმ კი ზედიზედ მესამე განთესილი იმსხვერპლა. ყოფილმა იუნიორების პირველმა ჩოგანმა უიენ ფერერასა (15) და ალექს კორეჩას (2) მეოთხედფინალში ადგილობრივთა ფავორიტი — როლან გაროსის ორგზის ჩემპიონი სერხი ბრუგერაც (8), მიაყოლა, თანაც სამივეჯერ ერთსეტიანი დეფიციტის დაძლევა მოუხდა. „არ ვიცი, პირველ ხელში რა მომდის-ხოლმე, მაგრამ მე ასე გაგრძელების წინააღმდეგიც არა ვარ" — განაცხადა გაუდენციმ.

**ნახევარფინალი. ბერასატეგი — მოია (7:6 (11:9), 6:4; მარტინი — გაუდენცი 6:4, 7:6 (7:5)**

ბერასატეგი და მოია ერთმანეთს ერთი კვირის წინ, ეშტორილის ღია პირველობის ნახევარფინალშიც შეხვდნენ და მაშინ ამ უკანასკნელისთვის ყველაფერი სავალალოდ დასრულდა: 1:6, 1:6 მარცხი ორმოციოდ წუთში. იმ მატჩიდან მოიამ, ეტყობა, ის დასკვნა გამოიტანა, რომ თანამემამულესთან უკანა ხაზზე გაჯიბრება თვითმკვლელობის ტოლფასი იყო და ამჯერად განსხვავებული ტაქტიკა არჩია — მეტოქის ბადესთან გატყუება, რამაც შედეგად ის მოიტანა, რომ მოთიხნარე ესპანელების შეხვედრა უიმბლდონზე ბეკერ-ედბურგის ფინალს დაემსგავსა, მოსაწყენი გათამაშების ნაცვლად კი მაყურებელმა მეტად თვალსასეირო დუელი იხილა. მოია ლამის ყოველ მეორე დარტყმას შემოკლებულს უნაცვლებდა და დაუშვებელი ბურთით თამაშს შეუჩვეველ მეტოქეს რეაქციის სისწრაფითა და დროული აბრაგნებით ბავშვივით აბრიყვებდა. სირბილით გულამოვარდნილმა ბერასატეგიმ ტაი-ბრეიკი ზედიზედ სამი ორმაგი შეცდომით დაიწყო, მაგრამ 6:3-ით დაწინაურებულმა მოიამ ხუთი სეტ-პოინტი გაფლანგა და მარათონული გეიმი და მასთან ერთად სეტიც მეტოქეს გადაულოცა.

მოია უპირატესობას ამის შემდეგაც კარგა ხანი ფლობდა, მაგრამ ბერასატეგი ნელნელა გაუშინაურდა ბადესთან თამაშს, რამდენჯერმე მშვენივრად შემოჰკრა და თანამემამულეს უპირატესობა ხელიდან გამოაცალა — მოიამ Conde de Godo-ს ნახევარფინალში ზედიზედ მესამედ იწვნია მარცხი.

**ფინალი: ტოდ მარტინი — ალბერტო ბერასატეგი 6:2, 1:6, 6:3, 6:2**

1,98 მეტრიანი ტოდ მარტინისა და 1,73 მეტრიანი ალბერტო ბერასატეგის ფინალური ორთაბრძოლა გარეგნულად დავითისა და გოლიათის შერკინებას კი ჰგავდა, მაგრამ მატჩში ფავორიტად მაინც თიხნარზე თამაშის ოსტატი ესპანელი ითვლებოდა, რომელსაც წლეულს ნელ საფარზე მარცხი არ უწვნევია. წინა დღით ბერასატეგიმ „ბარსელონას" ჩემპიონობა იზეიმა მის ფეხბურთელებთან ერთად და თანაქალაქელებისთვის კიდევ ერთი გამარჯვების მოსაპოვებლად თავი არ დაუზოგავს, მაგრამ ძალები აშკარად არათანაბარი გამოდგა.


ტოდ მარტინი

ერთ დროს საუკეთესოთა ათეულში შემავალი მარტინი, რომელსაც თითქმის მთელი შარშანდელი სეზონი იდაყვის ტრავმის გამო გაუცდა, ეისს ეისზე აწოდებდა და ბადესთან გასვლის შესაძლებლობას ხელიდან არ უშვებდა. მატჩში გარდატეხის მომენტი მესამე სეტში, 3:3-ზე დადგა, როდესაც ესპანელი იოლ სიტუაციაში შეცდა და საკუთარი მოწოდება დაკარგა. „ეს მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. იმ გათამაშებამ მე გამარჯვების რწმენა ჩამინერგა, ალბერტო კი საძაგელ გუნებაზე დააყენა" — თქვა მოგვიანებით მარტინმა, რომელმაც ამის შემდეგ მეტოქეს მხოლოდ ორი გეიმი დაანება.

ტოდ მარტინი, 1957 წლის შემდეგ ბარსელონური პირველობის გამარჯვებული პირველი ამერიკელი, 1994 წლის შემდეგ ევროპის სათიხნარო ტურნირის მომგები პირველი იანკიც გახდა. უკანასკნელი ორი სეზონის განმავლობაში თავისი პირველი ტიტულისთვის კი მას 162 000-იც ერგო ეროვნულ ვალუტაში.

**ტოკიო. იაპონიის ღია პირველობა.**
**ტარდება ჰარდზე.**
**საპრიზო 575 ათასი $**

**მეოთხედფინალი: იან-მაიკლ გემბილი (11, აშშ) — ტიმ ჰენმანი (3, ინგლისი) 6:3, 4:6, 6:3; დანიელ ვაცეკი (12, ჩეხეთი) — დევიდ პრინოშილი (გერმანია) 6:4, 6:1; ბაირონ ბლექი (10, ზიმბაბვე) — ჰენდრიკ დრეეკმანი (გერმანია) 6:2, 6:3; ანდრეი პაველი (16, რუმინეთი) — დევიდ დილუჩია (აშშ) 6:3, 7:6 (7:4)**

210 კმ/სთ-ით მოწოდებულ ეისების მიუხედავად, ბობოლების ტოკიურ სასაკლაოს ვერც ბრიტმა ტიმ ჰენმანმა გაუძლო და სწრაფად პროგრესირებად 20 წლის ამერიკელ იან-მაიკლ გემბილთან მარცხის შემდეგ პატრიკ რაფტერისა (1) და მაიკლ ჩანგის (2) მსგავსად მასაც აბარგება მოუხდა.

**ნახევარფინალი: პაველი — გემბილი 6:4, 6:3; ბლექი — ვაცეკი 6:3, 7:5**

**ფინალი: ანდრეი პაველი — ბაირონ ბლექი 6:3, 6:4**

დევისის თასის გათამაშებაზე ავსტრალიის დამმარხავი ბაირონ ბლექი ზედიზედ მეორე ტურნირის ფინალში გავიდა და ზედიზედ მეორედაც დამარცხდა. „გარკვეული წარმატებები აქამდეც მქონდა, მაგრამ ამოდენა თანხა არასოდეს მიმიღია, იმედია, იგი უკანასკნელი არ გამოდგება" — განაცხადა 95 000 დოლარით ხელდამშვენებულმა მსოფლიოს 109-ე ჩოგანმა ანდრეი პაველმა მატჩის შემდეგ. მისთვის ტოკიოს ტიტული კარიერაში პირველი იყო.

### ფედერაციის თასი

**მეოთხედფინალები**

**ჩეხეთი 1:4 შვეიცარია**

მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა მარტინა ჰინგისმა თავის ექსსამშობლოშიც გაისეირნა, იქ მცხოვრები ბებოც მოინახულა და ექსთანამემამულეებს, მათ შორის კლასიფიკაციით მესამე იანა ნოვოტნას ერთეულებშიც აჯობა და წყვილებშიც.

**აშშ 5:0 ჰოლანდია**

დევენპორტ-სელეშით დაკომპლექტებულ ამერიკელებს უბრენდაშულცმაკარტოდ მოთამაშე ნარინჯისფერებზე შარშანდელ მეოთხედფინალში მარცხისთვის შურისძიება იოტისოდენადაც არ გასჭირვებიათ.

**საფრანგეთი 3:2 ბელგია**

ფრანგთა კაპიტანმა იანიკ ნოამ გასულ კვირაში ტურნირის მომგებ მარი პირსს ფორმიდან ამოვარდნა (!) დასწამა, საფრანგეთის მეორე ჩოგან ნატალი ტოზიას — სიბერე, ამათ ნაცვლად ნაკლებად ცნობილი სარა პიტკოვსკი ათამაშა და კინაღამ თავიც წააგო: ფედერაციის თასის შარშანდელმა გამარჯვებულმა მარცხს მხოლოდ წყვილების გადამწყვეტ შეხვედრაში მოგებით დააღწია თავი.

**გერმანია 2:3 ესპანეთი**

გერმანელებს ტრავმის გამო შტეფი გრაფი და ანკე ჰუბერი აკლდათ, მაგრამ უიმბლდონის ყოფილ ჩემპიონ კონჩიტა მარტინესს ამათმა შემცვლელებმაც მოუგეს და 19 წლის ესპანელი მაუი სერნას გმირობა რომ არა, ნახევარფინალის საგზურსაც გაახერხებდნენ.

**ავთანდილ სვანიძე**


სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის
ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზურაბ მეძველია
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვინტალიანი, ირისე შენგელაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
გიო ახვლედიანი, ილია მხეიძე, ავთანდილ სვანიძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი ლონდონში
დავით მჭედლიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აზნაიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, ლევან ჩხეიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29



მშენებლობა დიზაინი რეკლამა

აკაცია Acacia

ჰორიზონტალური და ვერტიკალური ჟალუზები
დამცავი ჟალუზები
მარკიზები

ფასები გაგაკვირვებთ

თბილისი, გუდიაშვილის 11, ტელ.: 99 47 53,
მობილური: 8 77 41 72 57; 8 77 41 72 37
e-mail dato@acacia.postnet.ge